

ბაჩანა ჯიშკარიანი (რედ.)
Bachana Jishkariani (Hrsg.)

მარტინ პაულ ვაჰმერი (რედ.)
Martin Paul Waßmer (Hrsg.)

გერმანულ-ქართული სამართლის დიალოგი
DEUTSCH-GEORGISCHER RECHTSDIALOG

სისხლის სამართალი და ადამიანის უფლებები
STRAFRECHT UND MENSCHENRECHTE

კონფერენციის მასალები

TAGUNGSBAND

2023



თბილისი
TBILISI
2024

კრებული მომზადებულია ქართულ-გერმანული სამართლის დიალოგის ფარგლებში, 2023 წლის 3-4 ნოემბერს გამართული კონფერენციის მასალების საფუძველზე, რომელიც სისხლის სამართალსა და ადამიანის უფლებებს ეხებოდა. კონფერენცია ორგანიზებული იყო საქართველოს უნივერსიტეტის ქართული, გერმანული და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტისა (ხელმძღვ. პროფ. ბაჩანა ჯიშკარიანი) და ვიოლნის უნივერსიტეტის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის ინსტიტუტის (პროფ. მარტინ პაულ ვასმერი) მიერ. პროექტი განხორციელდა ფრიდრიხ ნუმანის ფონდის სამხრეთ კავკასიაში წარმომადგენლობის ფინანსური მხარდაჭერით.

Dieser Band wurde aufgrund der Materialien vorbereitet, die im Rahmen der am 3-4. November 2023 durchgeführten Tagung über Strafrecht und Menschenrechte bearbeitet wurden. Die Tagung fand in Zusammenarbeit zwischen dem Institut für georgisches, deutsches und internationales Strafrecht (Leiter: Prof. Dr. Bachana Jishkariani) der University of Georgia und dem Institut für Strafrecht und Strafprozessrecht der Universität zu Köln (Prof. Dr. Dr. h. c. Martin Paul Waßmer) statt.

Das Projekt des deutsch-georgischen Rechtsdialogs wurde mit finanzieller Unterstützung der Friedrich-Naumann-Stiftung für die Freiheit, Büro Südkaukasus, verwirklicht.

დამკაბადონებელი: თამარ ქიტუაშვილი

მთარგმნელები: ლაშა კალანდაძე, ეთუნა ჩაჩანიძე

Übersetzt von: Lasha Kalandadze, Etuna Chachanidze

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (ეს იქნება ტექსტი, ფოტო-ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას რედაქტორების წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

© ბაჩანა ჯიშკარიანი, მარტინ პაულ ვასმერი, 2024



გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას №75; ტელ.: 238 35 99; 557 51 51 34

ელ-ფოსტა: Lawyers.world@yahoo.com;

ვებ-გვერდი: www.law.ge

www.facebook.com/PublishingWorldofLawyers

ISBN 978-9941-9875-2-6

კრეზულის ავტორები

ბაჩანა ჯიშკარიანი, LL.M. (München), კრეზულის სამეცნიერო რედაქტორი, სამართლის დოქტორი, პროფესორი, ქართული, გერმანული და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, საქართველოს უნივერსიტეტი

მარტინ პაულ ვასმერი, კრეზულის სამეცნიერო რედაქტორი, სამართლის (საპატიო) დოქტორი, პროფესორი, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის კათედრა, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის ინსტიტუტი, კიოლნის უნივერსიტეტი

კილიან ვეგნერი, სამართლის დოქტორი, სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესისა და ეკონომიკური სისხლის სამართლის პროფესორი, ოდერის ფრანკფურტის ვიადრიხას ევროპული უნივერსიტეტი

ფაბიან ტაიხმანი, LL.M., სამართლის დოქტორი, ადვოკატი, ციურიხი

ეგნატე შამუგია, კვლევითი ინსტიტუტი Gnomon Wise, საქართველოს უნივერსიტეტი

ანია შიშანი, სამართლის დოქტორი, პროფესორი, სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის კათედრა, კიოლნის უნივერსიტეტი

კაი კორნელიუსი, LL.M., სამართლის დოქტორი, სისხლის სამართლისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის პროფესორი, ჰამბურგის უნივერსიტეტი; ჰანზის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე

ნიკოლაი ფონ მალტიტცი, LL.M. (Columbia/UvA), სამართლის დოქტორი, მიუნხენის უნივერსიტეტი

AUTORENVERZEICHNIS

Prof. Dr. **Bachana Jishkariani**, LL.M. (München), Herausgeber, Leiter des Instituts für georgisches, deutsches und internationales Strafrecht, University of Georgia

Prof. Dr. Dr. h. c. **Martin Paul Waßmer**, Herausgeber, Lehrstuhl für Strafrecht und Strafprozessrecht, Institut für Strafrecht und Strafprozessrecht, Universität zu Köln

Prof. Dr. **Kilian Wegner**, Juniorprofessur für Strafrecht, Strafprozessrecht und Wirtschaftsstrafrecht, Europa-Universität Viadrina, Frankfurt (Oder)

RA Dr. Dr. **Fabian Teichmann**, LL.M., Zürich

Egnate Shamugia, Forschungsinstitut Gnomon Wise, University of Georgia

Prof. Dr. **Anja Schiemann**, Lehrstuhl für Strafrecht, Strafprozessrecht und Kriminalpolitik, Universität zu Köln

Prof. Dr. **Kai Cornelius**, Professur für Strafrecht mit Internationalem Strafrecht, Universität Hamburg; Richter am Hanseatischen Oberlandesgericht

Dr. **Nicolai von Maltitz**, LL.M. (Columbia/UvA), LMU München

სარჩევი

კრებულის ავტორები	3
AUTORENVERZEICHNIS	4
სისხლის სამართლის ინტერნაციონალიზაციისა და ევროპეიზაციის აქტუალური ტენდენციები ევროკომისიის ანტიკორუფციული პაკეტის საფუძველზე	7
AKTUELLE TENDENZEN DER INTERNATIONALISIERUNG UND EUROPÄISIERUNG DES STRAFRECHTS AM BEISPIEL DES ANTI- KORRUPTIONS-PAKETS DER EU-KOMMISSION	16
აქტუალური ტენდენციები ქონებრივი დანაშაულების სფეროში – NON-CONVICTION-BASED CONFISCATION OF ASSETS, როგორც კორუფციასთან ბრძოლის საშუალება	24
AKTUELLE TENDENZEN IM BEREICH DER VERMÖGENSDELIKTE – NON- CONVICTION-BASED CONFISCATION OF ASSETS ALS MITTEL ZUR KORRUPTIONSBEKÄMPFUNG	40
საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალში - ცალკეული შემადგენლობების მოკლე შედარებითი ანალიზი	54
STRAFTATEN GEGEN DAS EIGENTUM IM GEORGISCHEN UND DEUTSCHEN STRAFRECHT – KURZE RECHTSVERGLEICHENDE ANALYSE VON EINZELNEN TATBESTANDSMERKMALEN.....	67
სისხლის სამართლის საკანონმდებლო პროცესი და ეკონომიკური ანალიზი	79
STRAFGESETZGEBUNG UND ÖKONOMISCHE ANALYSE.....	92

სისხლის სამართლის კანონმდებლობის ეკონომიკური ასპექტები...	104
ÖKONOMISCHE ASPEKTE DER STRAFGESETZGEBUNG	120
კვალის აღება სქესობრივი დანაშაულების ჩადენისას	132
SPURENSICHERUNG BEI SEXUALDELIKTEN	146
ხელოვნური ინტელექტის სისხლისსამართლებრივი გამოწვევები ...	158
DIE STRAFRECHTLICHEN HERAUSFORDERUNGEN DER KÜNSTLICHEN INTELLIGENZ.....	171
„ეკოციდის“ კლიმატური სისხლისსამართლებრივი გამოვლინება ...	183
KLIMASTRAFRECHTLICHE REFLEXIONEN ZUM „ÖKOZID“	195

**სისხლის სამართლის ინტერნაციონალიზაციისა და
ევროპეიზაციის აქტუალური ტენდენციები ევროკომისიის
ანტიკორუფციული პაკეტის საფუძველზე**

პროფ. დოქტ. **კილიან ვეგნერი**, ოდერის ფრანკფურტის
ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტი¹

I. შესავალი

მას შემდეგ, რაც მთელმა რიგმა კორუფციულმა სკანდალებმა შეძრა ევროპული ინსტიტუტები, განსაკუთრებით კი, ევროპარლამენტი, ევროკომისიის პრეზიდენტმა, ქ-ნმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა, 2022 წლის შემოდგომაზე, ევროკავშირის მდგომარეობასთან დაკავშირებულ გამოსვლაში განაცხადა, რომ სამომავლოდ „კანონის სრული სიმკაცრით“ განხორციელდება ნებისმიერი სახის კორუფციასთან ბრძოლა.² ამის შემდგომ, ევროკომისიამ, 2023 წლის მაისში, წარმოადგინა ღონისძიებათა შესაბამისი პაკეტის პროექტი.³ „ქვაკუთხედად“ წოდებული პროექტი საკმაოდ ამბიციური დოკუმენტია, რომელიც მიზნად ისახავს, ევროკავშირისა და მის ფარგლებს გარეთ, კორუფციასთან დაუნდობელ ბრძოლას.⁴

1 მოხსენების სტილი მხოლოდ ნაწილობრივია შენარჩუნებული. წინამდებარე სტატია ეფუძნება პასაჟებს, რომელიც ავტორმა გამოხატა შემდეგ ნაშრომებში: *El-Ghazi/Wegner/T. Zimmermann*, EU-Antikorruptions-Rechtsrahmen – ein „Meilenstein“? ZRP2023, 211 ff. და ასევე *El-Ghazi/Wegner/T. Zimmermann*, Auswirkungen der EU-Vorschläge für einen neuen Antikorruptions-Rechtsrahmen auf das deutsche Strafrecht, wistra 2023, 353 ff. საკუთარი ტექსტის სიტყვასიტყვითი ციტირება არ არის გამოყოფილი.

2 *Von der Leyen*, Rede zur Lage der Union v. 13.9.2022, <https://t1p.de/fhrvb>.

3 მიმოხილვა იხ. *Busch*, wistra 2023, Heft 6 R. 9 ff.; *El-Ghazi/Wegner/T. Zimmermann*, EU-Antikorruptions-Rechtsrahmen – ein „Meilenstein“? ZRP 2023, 211 ff.; *El-Ghazi/Wegner/T. Zimmermann*, Auswirkungen der EU-Vorschläge für einen neuen Antikorruptions-Rechtsrahmen auf das deutsche Strafrecht, wistra 2023, 353 ff.; *F. Zimmermann*, Hauptsache strafbar? Eine Bewertung des Kommissionsvorschlags für eine EU-Richtlinie zur Bekämpfung der Korruption (COM [2023] 234 final), ZfStW 2023, 383 ff.

4 EU-Kommission/Hoher Vertreter der Union für Außen- und Sicherheitspolitik, Gemeinsame Mitteilung über die Bekämpfung der Korruption v. 3.5.2023, JOIN(2023) 12 final, S. 10 f. (online abrufbar und <https://t1p.de/21dgg>).

წარმოდგენილი პროექტის საფუძველია ევროკომისიისა და საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის კორუფციასთან ბრძოლის ერთობლივი ანგარიში, რომელიც ეხება სტატუს კვოს ანალიზსა და შემდგომი წლების განმავლობაში კორუფციასთან ბრძოლის ევროკავშირის სტრატეგიას.⁵

პაკეტის მეორე შემადგენელი ნაწილი საგარეო პოლიტიკური ხასიათისაა და მოიცავს მესამე ქვეყნებში კორუფციასთან სისტემატური და ფართომასშტაბიანი ბრძოლის ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სანქციების რეგულაციის პროექტის წინადადებას.⁶ რეგულაციის მიზანია, სამომავლოდ უფლება მისცეს ევროპულ საბჭოს, გაატაროს ქმედითი ზომები კორუფციის მაღალი საფრთხის მქონე ევროკავშირის არანაწევრი ქვეყნების პოლიტიკურად გავლენიანი ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ, კერძოდ, ამაში იგულისხმება ევროკავშირში შესვლის აკრძალვა, ქონების გაყინვა/დაყადაღება თუ ეკონომიკური და სამეწარმეო საქმიანობის შეზღუდვა.

ევროკომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტების მესამე შემადგენელი ნაწილია კორუფციასთან ბრძოლის დირექტივის პროექტი, რომელმაც უნდა ჩაანაცვლოს ამ დრომდე არსებული „ფრამენტული, მოძველებული და შეზღუდული“ სამართლებრივი აქტები⁷ და მოხდეს მათი განვრცობა⁸. ევროდირექტივის პროექტი მოიცავს, მეტწილად გაეროს კორუფციასთან ბრძოლის კონვენციაზე (UNCAC)⁹ ორიენტირებულ სტანდარტებს კორუფციის პრევენციისა და მინიმალური სისხლის საპროცესო

5 იხ. იქვე.

6 Gemeinsamer Vorschlag für eine Verordnung des Rates über restriktive Maßnahmen gegen schwere Korruptionshandlungen v. 4.5.2023, JOIN(2023) 13 final, <https://t1p.de/cjhe0>.

7 წარმოდგენილი ევროდირექტივის პროექტის 27-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად ცხადდება der EG-Rahmenbeschluss 2003/568/JI v. 22.7.2003 zur Bekämpfung der Bestechung im privaten Sektor, ABl. Nr. L 192, S. 54 und das EU-Antikorruptionsübereinkommen über die Bekämpfung der Bestechung, an der Beamte der Europäischen Gemeinschaften oder der Mitgliedstaaten der Europäischen Union beteiligt sind v. 26.5.1997, BGBl. 2002 II, S. 2727, 2729.

8 Ergänzung erfährt gem. des Richtlinien-Entwurfs die PIF-Richtlinie (EU) 2017/1371, ABl. Nr. L 350, S. 50.

9 United Nations Convention Against Corruption v. 31.10.2003, United Nations Treaty Series Chapter XVIII, No. 14.

და მატერიალური მოთხოვნების მხრივ. პრევენციულ ინსტრუმენტებს განეკუთვნება „ქმედითი ნორმები საჯარო სექტორში ინტერესთა კონფლიქტის გასაჯაროებისა და მათდამი შესაბამისი მოპყრობის უზრუნველსაყოფად, საჯარო მოსამსახურეთა ქონებრივი აქტივებისა და ფასულობების გასასაჯაროებლად და გადასამოწმებლად, კერძო და საჯარო სექტორებს შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშესაწყობად“.¹⁰ ამას გარდა, დირექტივის პროექტი ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, განხორციელონ კორუფციის წინააღმდეგ მიმართული პრევენციული ღონისძიებები. ასევე, კორუფციული ქმედებების სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა მოხდეს მთავრობისაგან დამოუკიდებელი, სპეციალიზებული ორგანიზაციული ერთეულების მიერ. დირექტივის პროექტის მატერიალურსისხლისსამართლებრივი ნაწილი ითვალისწინებს მთელი რიგ, დეტალურად განწერილ კორუფციულ შემადგენლობებსა და მათთან დაკავშირებული ქმედებების დასჯადობას, კერძოდ, საუბარია მექრთამეობაზე საჯარო (მუხლი 7) და კერძო (მუხლი 8) სექტორებში, გაფლანგვაზე (მუხლი 9), ზეგავლენით ვაჭრობაზე (მუხლი 10), თანამდებობის ბოროტად გამოყენებაზე (მუხლი 11), მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლაზე (მუხლი 12), ასევე კორუფციული დელიქტების შედეგად გამდიდრებაზე (მუხლი 13). დამატებით, წესდება სანქციონირების ინსტრუმენტების მინიმალური სტანდარტები (სასჯელების მაქსიმუმები და დამატებითი შედეგები ფიზიკური პირებისა და გაერთიანებებისათვის, ასევე ხანდაზმულობის ვადებთან და სისხლის სამართლის მოქმედების ფარგლებთან დაკავშირებული დებულებები).

გემოთ აღნიშნული რეფორმის პაკეტში, ვხედავ პროტოტიპულად ორ აქტუალურ ტენდენციას საერთაშორისო და ევროპულ სისხლის სამართალში, რასაც ქვემოთ შევხვები.

10 Gemeinsame Erklärung (Fn. 3), S. 2.

II. საგარეო პოლიტიკური სანქციებით შეფუთული სისხლის საპროცესო დაცვის სტანდარტებისთვის გვერდის ავლის საფრთხე

ჩემი პირველი დაკვირვება ეხება მესამე ქვეყნებში კორუფციასთან სისტემატური და ფართომასშტაბიანი ბრძოლის შესახებ რეგულაციის პროექტს. ჩემი ამრით, აქ შეინიშნება საერთაშორისო დონეზე არსებული ტენდენცია - სისხლის სამართლის საპროცესო საგამოძიებო მოქმედებების რთული გზის საგარეო-პოლიტიკური სანქციების პრაქტიკით ჩანაცვლება და ძირითადი სისხლის საპროცესო სამართლებრივი დაცვის მექანიზმებისთვის გვერდის ავლა. ეს საფრთხე განსაკუთრებით თვალსაჩინოა კორუფციასთან დაკავშირებულ სანქციებში, რამეთუ, უკრაინის წინააღმდეგ რუსული აგრესიის შედეგად, განხორციელებული სადამსჯელო ღონისძიებებისგან განსხვავებით (მათ შორის, ევროკავშირის რეგულაცია 269/2014), სანქციების ძირითადი პათოსი აღარ არის, ხელისუფლებასთან დაახლოებულ პირებზე ზეწოლით, სახელმწიფო პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენა. რეგულაციის პროექტით გათვალისწინებული სიის შემოღება პირდაპირ უკავშირდება დანაშაულის ჩადენას. რეგულაციის პროექტის თანახმად, ევროპული საბჭო უფლებამოსილი უნდა იყოს, შეიყვანოს ის პირები სანქცირებულთა სიაში, რომელთა მიმართ არსებობს კორუფციის, სახელმწიფო სახსრებისა გაფლანგვისა და სხვა მათთან დაკავშირებული ქმედებების ჩადენის ბრალდება. მსგავსი სიის არსებობის სამართლებრივი შედეგი უნდა იყოს ის, რომ გაიყინოს ამ სიაში არსებული პირის ევროკავშირში განთავსებული ქონება, აიკრძალოს ამ პირთან ევროკავშირის წევრთა მხრიდან ეკონომიკური გარიგებები და აეკრძალოს მას ევროკავშირის ტერიტორიაზე შესვლა.

ერთადერთი განსხვავება რეგულაციისმიერ ნორმასა და კლასიკურ სისხლისსამართლებრივ დებულებას შორის მდგომარეობს შემდეგში: რეგულაციის პროექტის მე-2 მუხლის პირველი აბზაცით გათვალისწინებული, კორუფციაში მონაწილეობის ეჭვის გარდა, კონკრეტული ქმედება ასევე საფრთხეს უნდა უქმნიდეს ევროკავშირის უსაფრთხოებასა და საგარეო-პოლიტიკურ მიზნებს. ამ განუსაზღვრელი ტერმინის ზუსტად განსამარტავად, რეგულაცია შეიცავს მთელ რიგ (არაამომწურავ) კრიტერიუმებს, რომლებიც ეხება ქმედებასთან შემხებლობაში მყოფ სახელმწიფოებში კორუფციის დონეს, ამავე ქმედების მასშტაბს, ბრალდებულის

როლს, იმ საკითხის ჩათვლით, უკვე მიმდინარეობს თუ არა ქმედების სისხლისსამართლებრივი დევნა.

ეს მიდგომა, სანქციების მეშვეობით, მთელს მსოფლიოში კორუფციის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირებზე წვდომასთან დაკავშირებით, ერთი მხრივ, მიმზიდველია (*grand corruption*) სისხლისსამართლებრივი დევნის აქამდე არსებული ნაკლებად ეფექტური პრაქტიკის გათვალისწინებით. თუმცა, მეორე მხრივ, არსებობს ასევე დიდი საფრთხე იმისა, რომ შეიქმნას აპოკრიპული პარალელური სისხლის სამართალი. ყოველივე ეს მინდა განვიხილო ლიბანის ცენტრალური ბანკის ყოფილი თავმჯდომარის, რიად სალამეჰის საქმის მაგალითზე. ფრანგი და გერმანელი გამომძიებლები, თვეების განმავლობაში, აწარმოებდნენ გამოძიებას სალამეჰის წინააღმდეგ, ახორციელებდნენ რა მას სისხლის სამართლის საპროცესო წესების დაცვით. რამდენადაც შეიძლება ვენდოთ გამოძიების შედეგებსა და პრესით გაგრცელებულ ინფორმაციას, გამომძიებლებმა ამხილეს სალამეჰი მილიონობით ოდენობის სახელწიფო სახსრების გაფლანგვაში.¹¹ იმავდროულად (და სწორედ აქ ვხედავთ კონტრასტს) ამერიკის უცხოური აქტივების კონტროლის დეპარტამენტმა (OFAC) სალამეჰი შეიყვანა სანქცირებულთა სიაში.¹² საამისოდ აუცილებელი არ არის მართლზომიერი საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება და არც სისხლის სამართლის საქმეზე არსებითი განხილვის ჩატარება, არამედ საკმარისია დასაბუთებული გადანაცვლებების სულ რამდენიმე ხაზი, რომლებიც, როგორც წესი, ეფუძნება სპეცსამსახურების წყაროებს. იგივე პრინციპი მოქმედებს ევროკავშირის სამართალშიც. მიუხედავად იმისა, რომ ევროპულმა სასამართლოებმა, გასული წლების განმავლობაში სცადეს, სადამსჯელო ღონისძიებების მიმართ უფლებადაცვის გაუმჯობესება,¹³ ჯერ კიდევ მოუგვარებელი რჩება ის საკითხი, რომ საგარეო-პოლიტიკური ინდივიდუალური სასანქციო წარმოების ფარგლებში, არ არის უმზრუნველყოფილი რეფორმირებული სისხლის სამართლის პროცესის ყველა ძირითადი

11 საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიმოხილვა საქმეზე Salameh, *Mayrhofer*, Der Fall Riad Salameh, GWuR 2023, 110.

12 Pressemitteilung der OFAC vom 1. August 2023, <https://t1p.de/78w1l>.

13 შუად. ბოლო დროის მაგ. EuG 6.9.2023 – T-364/22, BeckRS 2023, 22880 – „Shulgin“ ან EuG 30.3.2022 – T-291/20, BeckRS 2022, 5775 – „Yanukovych“.

ნიშანი, იქნება ეს საქმის მასალების გაცნობა, საპირისპირო არგუმენტების წამოყენების შესაძლებლობა თუ სხვა. და ეს მიუხედავად იმისა, რომ, ძირითადად, საქმე ეხება (თუნდაც პოლიტიკურად განსაკუთრებით მნიშვნელოვან) ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ ბრალდებებს.¹⁴

ევროკომისიის მიდგომა პრობლემურია ასევე საერთაშორისოსამართლებრივად, რამეთუ ევროკავშირის არაწევრ სახელმწიფოთა მოქალაქეთა ნუსხები, გარკვეულწილად ხელყოფს ამ სახელმწიფოთა სუვერენიტეტს, ხოლო კორუფციონერები კი კვლავინდებურად არ განიხილებიან, როგორც *hostis humani generis*, რაც უნივერსალურობის პრინციპიდან გამომდინარე მოახდენდა მსგავსი სახის სუვერენიტეტის შელახვის ლეგიტიმაციას. მართალია ის, რომ *grand corruption* ხშირად მოიაზრება საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის დარღვევის (აღამიანის უფლებათა დარღვევის სახით) კონტექსტში, ტერიტორიულად მოქმედი საგარეო-პოლიტიკური სანქციების ასამოქმედებლად მაინც სუსტ რგოლად რჩება ლეგიტიმაციის საფუძველი.

III. კორუფციის სისხლის სამართლის დირექტივის პროექტი, როგორც ევროკავშირის სისხლის სამართლის კანონმდებლობის ჰიპერტროფული ტენდენციების ნიმუში

მეორე ტრენდი, რომელსაც ვხედავ ევროკომისიის ანტიკორუფციულ პაკეტში, ეხება სისხლის სამართლის საკითხებში, ევროკავშირის ჰარმონიზაციის კომპეტენციის მასშტაბებს. მე ვარ იმ აზრზე, რომ წევრ სახელმწიფოებში სისხლის სამართლის ჰარმონიზაციაზე ორიენტირებული დირექტივები უკვე დიდი ხანია მიდრეკილია წევრი სახელმწიფოების სისხლის სამართლის სისტემაში ჩარევისკენ,¹⁵ ხოლო ამჟამად წარმოდგენილი კორუფციასთან ბრძოლის ევროდირექტივის პროექტი, უბრალოდ, ცდება ევროპული ხელშეკრულებებით განსაზღვრულ ფარგლებს და

14 ამაზე და შემდგომ შეფასებაზე *El-Ghazi/Wegner/Zimmermann*, EU-Antikorruptions-Rechtsrahmen – ein „Meilenstein“?, ZRP 2023, 211, 212.

15 ანალოგიურია გერმანიის ფედერალური მიწების იუსტიციის მინისტრთა აზრიც, Beschluss II.27 v. 25./26.5.2023 (<https://t1p.de/f1cy1>).

წარმოადგენს პრიმერული სამართლის საწინააღმდეგო *ultra-vires* აქტს.

ჩემი მოსაზრებების ამოსავალი წერტილია ევროკავშირის საქმიანობის წესის ხელშეკრულების 83-ე მუხლის პირველი აბზაცი, რომლის მიხედვითაც, ევროპელი კანონმდებელი უფლებამოსილია, დირექტივის გამოცემის გზით, განსაზღვროს მე-2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული, დანაშაულის სფეროების მაპარმონიზირებელი მინიმალური მოთხოვნები. აღნიშნული დებულების თანახმად, დირექტივის გამოსაცემად შემდეგი წინაპირობები უნდა არსებობდეს: საქმე უნდა ეხებოდეს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს, რომლის წინააღმდეგ ერთობლივად ბრძოლის განსაკუთრებული საჭიროება დგას და ის ერთი ქვეყნის ფარგლებს ცდება. ერთობ საეჭვოა, აკმაყოფილებს თუ არა აღნიშნული დირექტივის პროექტი ამ სტანდარტებს.¹⁶

კომპეტენციის გადაჭარბების მაგალითის სახით მინდა შეგეხო დირექტივის პროექტის მე-11 მუხლს, რომლითაც წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, შემოიღონ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შემადგენლობა. ამ ზოგადი შემადგენლობით, დასჯადი უნდა იყოს საჯარო თანამდებობის პირის, მანდატის მატარებელი პირის თუ კერძო მოსამსახურის ზოგადი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომლის მეშვეობითაც პირს სურს თავისთვის ან მესამე პირის სასარგებლოდ არამართლზომიერი სარგებლის მიღება. ქმედების შემადგენლობა არ მოიცავს (განსხვავებით კონვენციური კორუფციული ქმედების შემადგენლობისგან) მინიმუმ ორი პირის კოლუზიური თანამშრომლობის აუცილებელ წინაპირობას (გამცემი და მიმღები). უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (დირექტივის მე-11 მუხლი) გვექნება შემდეგ მაგა-

16 იხ. დეტალურად კრიტიკული შეხედულება კომპეტენციების პერსპექტივაში, *Eisele*, Schriftliche Stellungnahme zur Sachverständigenanhörung im Rechtsausschuss des Deutschen Bundestages am Montag, dem 13. November 2023 (<https://t1p.de/murhs>), 11 ff. და *Kubiciel*, Schriftliche Fassung der Stellungnahme in der Öffentlichen Anhörung des Rechtsausschusses des Deutschen Bundestages zum Vorschlag für eine Richtlinie des Europäischen Parlaments und des Rates zur Bekämpfung der Korruption, zur Ersetzung des Rahmenbeschlusses 2003/568/JI des Rates und des Übereinkommens über die Bekämpfung der Bestechung, an der Beamte der Europäischen Gemeinschaften oder der Mitgliedstaaten der Europäischen Union beteiligt sind, sowie zur Änderung der Richtlinie (EU) 2017/1371 des Europäischen Parlaments und des Rates (<https://t1p.de/v7ol2>), 5 ff.

ლითებში: თანამდებობის პირი არ გასცემს (უმოქმედობას ჩაიდენს) მის მეზობელზე მშენებლობის ნებართვას, რათა მისი მიწის ნაკვეთი „არ ჩაიკეტოს“; ან კიდევ უფრო ბანალურად, უნივერსიტეტის ლექტორი აფასებს გამოცდას, როგორც „ჩაბარებულს“, მიუხედავად იმისა, რომ ეს გამოცდა არ უნდა შეფასებულყო, როგორც უნაკლო; ერთ-ერთი კაფეს ოფიცინანტიმა არ შეიყვანა ანგარიშში თავისი მეგობრის მიერ მოხმარებული კერძები და სასმელი. ეს არის იმგვარი ქმედებები, რომლებიც სცილდება, თუნდაც ევროკავშირის სამართლის ფართო განმარტებისას, ევროკავშირის საქმიანობის წესის ხელშეკრულების 83-ე მუხლის პირველი აბზაცის მე-2 ქვეაბზაცით ნაგულისხმევ „კორუფციას“.¹⁷

შიდა სამართალში გადაჭარბებული ჩარევის თვალნათლივი მაგალითია დირექტივის პროექტის ინსტიტუციონალური მოთხოვნა: მე-4 მუხლის მე-2 და მე-3 აბზაცებით, კორუფციული სისხლის სამართლის საქმეები უნდა წარმართონ სპეციალიზებულმა და მთავრობისაგან დამოუკიდებელმა ორგანოებმა. გერმანიაში კორუფციის საქმეებზე სისხლის-სამართლებრივი დევნის კომპეტენცია აქვს პროკურატურას, რომელიც, გერმანიის სასამართლო მოწყობის შესახებ კანონის 146-ე პარაგრაფის შესაბამისად, ექვემდებარება იუსტიციის სამინისტროს. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ, ევროკავშირის დაპატიმრების ბრძანებასთან დაკავშირებული საქმის განხილვისას, რაც თავის მხრივ ინტენსიურ საგამოძიებო ინსტრუმენტებთან არის დაკავშირებული, მთავრობისაგან არასაკმარისად დამოუკიდებლად მიიჩნია გერმანიის პროკურატურის ორგანოები.¹⁸ ვინაიდან დირექტივის კორუფციის დევნის პროექტი ითხოვს სწორედ ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებების გამოყენებას,¹⁹

17 ამ მიმართულებით იხ. *El-Ghazi/Wegner/T. Zimmermann*, EU-Antikorruptions-Rechtsrahmen – ein „Meilenstein“? ZRP 2023, 211, 212 ff.; , *El-Ghazi/Wegner/T. Zimmermann*, Auswirkungen der EU-Vorschläge für einen neuen Antikorruptions-Rechtsrahmen auf das deutsche Strafrecht, wistra 2023, 353, 356; offengelassen von *Eisele*, Schriftliche Stellungnahme zur Sachverständigenanhörung im Rechtsausschuss des Deutschen Bundestages am Montag, dem 13. November 2023 (<https://t1p.de/murhs>), 13.

18 EuGH, NJW 2019, 2145; ამასთან დაკავშ. *Eisele/Trentmann*, Die Staatsanwaltschaft – „objektivste Behörde der Welt“? NJW 2019, 2365; განსხვ. ნაკლებად ინტენსიურ ჩარევასთან დაკავშ. EuGH, NJW 2021, 1373 Rz. 73 (zur Europäischen Ermittlungsanordnung, die nicht das Grundrecht auf Fortbewegungsfreiheit zu beeinträchtigen geeignet ist).

19 შუად. დირექტივის პროექტის 23-ე მუხლი.

ეჭვგარეშეა, რომ ზემოთ აღნიშნული პრეტენზია კვლავ განმეორდება.²⁰ გერმანიამ, როგორც მინიმუმ, უნდა გააუქმოს დირექტივის პროექტით ნაგულისხმევ კორუფციულ დელიქტებთან მიმართებით (რომელიც, კორუფციის ცნების უკვე ნახსენები ფართო განმარტებით, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ბევრ ნორმას მოიცავს) იუსტიციის სამინისტროს მხრიდან პროკურატურისთვის მითითების მიცემის უფლება. ამაზე შეიძლება პოლიტიკური დისკუსია, თუმცა საორთქლოა, თუ რამდენად უფლებამოსილია ევროკავშირი, მსგავსი ინტენსივობით ჩაერიოს გერმანიის მართლმსაჯულების სისტემის მოწყობაში ევროკავშირის საქმიანობის წესის ხელშეკრულების 83-ე მუხლი პირველი აბზაცის მე-2 ქვეაბზაცზე დაყრდნობით.

IV. დასკვნა

სრულიად უდავოა, რომ ევროკავშირის საკანონმდებლო პროცესში ჩართული ორგანოების მიზანია კრიმინალურ-პოლიტიკურად ლეგიტიმური მიზნების მიღწევა. მაგრამ, ამ პროცესის პარალელურად, გასულ წლებში, აშკარად შემცირდა აუცილებელი, სამართლებრივი სახელწიფოსთვის განუყოფელი სენსიტიურობა. 2023 წლის მაისში წარმოდგენილი, კორუფციასთან ბრძოლის სარეფორმო პაკეტი წარმოქმნის კიდევ უფრო მეტ უფსკრულს. დანაშაულთან ბრძოლის ევროპული პოლიტიკა უნდა იყოს ორიენტირებული, სისხლის სამართლის პოლიტიკის სფეროში, სახელმწიფოთა სუვერენიტეტთან მჭიდროდ დაკავშირებულ სუბსიდიურობის პრინციპზე და ჰარმონიზაციისას უნდა გატარდეს მხოლოდ გარდაუვლად აუცილებელი ზომები. იქ, სადაც ევროკავშირი ლეგიტიმურად ახორციელებს თავის კრიმინალურ-პოლიტიკურ კომპეტენციას, არ უნდა გამოგვიჩეს მხედველობიდან სისხლის საპროცესო სამართლოს ძირითადი პრინციპები, როგორც ეს, სამწუხაროდ, შეინიშნება, მაგალითად, დანაშაულთან ბრძოლის საგარეო-პოლიტიკური სანქციების კონტექსტში.

20 ამავე კონტექსტში Bundesrats-Drucksache. 244/23, S. 4; *Busch*, wistra 2023, Heft 6 R 9, R 11.

AKTUELLE TENDENZEN DER INTERNATIONALISIERUNG UND EUROPÄISIERUNG DES STRAFRECHTS AM BEISPIEL DES ANTI- KORRUPTIONS-PAKETS DER EU-KOMMISSION

Prof. Dr. **Kilian Wegner**, Europa-Universität Viadrina in Frankfurt (Oder)¹

I. Einführung

Nachdem eine Reihe von Korruptionsskandalen die europäischen Institutionen, insbesondere das Europäische Parlament erschüttert hatten, erklärte die Präsidentin der EU-Kommission, Ursula von der Leyen, in ihrer Rede zur Lage der Union im Herbst 2022, künftig mit „der vollen Härte des Gesetzes“ die Korruption in allen ihren Spielarten bekämpfen zu wollen.² Darauf hat die EU-Kommission im Mai 2023 den Entwurf eines entsprechenden Maßnahmenpakets vorgestellt.³ Das als „Meilenstein“ titulierte Projekt tritt ambitioniert auf und bezweckt nicht weniger, als der Korruption innerhalb (und auch außerhalb) der EU „den Garaus zu machen“.⁴

Die Grundlage des Entwurfspakets bildet eine gemeinsame Mitteilung der EU-Kommission und des Hohen Vertreters für die Gemeinsame Außen- und Si-

1 Der Vortragsstil wurde nur teilweise beibehalten. Der Beitrag beruht auf Passagen, die der *Verf.* zu den Publikationen *El-Ghazi/Wegner/T. Zimmermann*, EU-Antikorruptions-Rechtsrahmen – ein „Meilenstein“?, ZRP 2023, 211 ff. und *dies.*, Auswirkungen der EU-Vorschläge für einen neuen Antikorruptions-Rechtsrahmen auf das deutsche Strafrecht, wistra 2023, 353 ff. beigetragen hat. Wörtliche Übernahmen des eigenen Texts sind nicht gesondert gekennzeichnet.

2 *Von der Leyen*, Rede zur Lage der Union v. 13.9.2022, online abrufbar unter <https://t1p.de/fhrvb>.

3 Überblick bei *Busch*, wistra 2023, Heft 6 R. 9 ff.; *El-Ghazi/Wegner/T. Zimmermann*, EU-Antikorruptions-Rechtsrahmen – ein „Meilenstein“?, ZRP 2023, 211 ff.; *dies.*, Auswirkungen der EU-Vorschläge für einen neuen Antikorruptions-Rechtsrahmen auf das deutsche Strafrecht, wistra 2023, 353 ff.; *F. Zimmermann*, Hauptsache strafbar? Eine Bewertung des Kommissionsvorschlags für eine EU-Richtlinie zur Bekämpfung der Korruption (COM [2023] 234 final), ZfStW 2023, 383 ff.

4 EU-Kommission/Hoher Vertreter der Union für Außen- und Sicherheitspolitik, Gemeinsame Mitteilung über die Bekämpfung der Korruption v. 3.5.2023, JOIN(2023) 12 final, S. 10 f. (online abrufbar <https://t1p.de/21dgg>).

cherheitspolitik (GASP) über die Bekämpfung der Korruption, die eine Analyse des Status quo enthält und die Strategie der EU auf dem Feld der Korruptionsbekämpfung für die nächsten Jahre skizziert.⁵

Der zweite Bestandteil des Pakets ist außenpolitischer Natur und beinhaltet einen Vorschlag für eine Verordnung über GASP-Sanktionen zur Bekämpfung systematischer und weitverbreiteter Korruption in Drittstaaten.⁶ Die Verordnung soll es dem Rat künftig u. a. erlauben, politisch einflussreiche natürliche und juristische Personen aus korruptionsbelasteten Nicht-EU-Staaten mit Einreiseverboten, Einfrieren von Vermögen und wirtschaftlichen Betätigungsverboten zu belegen.

Dritter Bestandteil der von der Kommission vorgelegten Entwürfe ist ein Vorschlag für eine Richtlinie zur Bekämpfung der Korruption, mit der die „fragmentierten, veralteten und begrenzten“ bisherigen Rechtsakte ersetzt⁷ bzw. ergänzt⁸ werden sollen. Der Richtlinien-Entwurf enthält – zumeist eng an der UN-Anti-Korruptions-Konvention (UNCAC)⁹ orientierte – Regelungen sowohl zur Korruptionsprävention als auch Mindestvorgaben strafprozessualer und materiell-strafrechtlicher Natur. Zu den Präventionsinstrumenten gehören „wirksame Vorschriften für die Offenlegung von und den Umgang mit Interessenkonflikten im öffentlichen Sektor, für die Offenlegung und Überprüfung von Vermögenswerten öffentlicher Bediensteter und für die Interaktion zwischen privatem und öffentlichem Sektor“.¹⁰ Ferner verpflichtet der RL-E die Mitgliedstaaten sowohl zur Korruptionsprävention als auch zur Korruptionsstrafverfolgung regierungsunabhängige, spezialisierte

5 A. a. O.

6 Gemeinsamer Vorschlag für eine Verordnung des Rates über restriktive Maßnahmen gegen schwere Korruptionshandlungen v. 4.5.2023, JOIN(2023) 13 final (online abrufbar unter <https://t1p.de/cjhe0>).

7 Gestrichen wird nach Artikel 27 des Richtlinien-Entwurfs der EG-Rahmenbeschluss 2003/568/JI v. 22.7.2003 zur Bekämpfung der Bestechung im privaten Sektor, ABl. Nr. L 192, S. 54 und das EU-Antikorruptionsübereinkommen über die Bekämpfung der Bestechung, an der Beamte der Europäischen Gemeinschaften oder der Mitgliedstaaten der Europäischen Union beteiligt sind v. 26.5.1997, BGBl. 2002 II, S. 2727, 2729.

8 Ergänzung erfährt gem. des Richtlinien-Entwurfs die PIF-Richtlinie (EU) 2017/1371, ABl. Nr. L 350, S. 50.

9 United Nations Convention Against Corruption v. 31.10.2003, United Nations Treaty Series Chapter XVIII, No. 14.

10 Gemeinsame Mitteilung (Fn. 4), S. 5.

Organisationseinheiten einzurichten. Der materiell-strafrechtliche Teil des Richtlinien-Entwurfs sieht die Bestrafung einer Reihe näher definierter Korruptionsdelikte oder damit im Zusammenhang stehender Taten vor, namentlich Bestechung im öffentlichen (Artikel 7) und im privaten (Artikel 8) Sektor, Veruntreuung (Artikel 9), unerlaubte Einflussnahme (Artikel 10), Amtsmissbrauch (Artikel 11), Behinderung der Justiz (Artikel 12) sowie Bereicherung durch Korruptionsdelikte (Artikel 13). Ergänzend werden auch Mindestvorgaben zum Sanktionsinstrumentarium gemacht (etwa zu Höchststrafen und Nebenfolgen für natürliche Personen und Verbände sowie Vorgaben zu Verjährungsfristen und zum Strafanwendungsrecht).

In den genannten Reformvorschlägen meine ich Muster zu erkennen, die mir prototypisch für zwei aktuelle Tendenzen im Internationalen und Europäischen Strafrechts erscheinen und die ich im Folgenden kurz beschreiben möchte.

II. Gefahr der Aushöhlung strafprozessualer Schutzstandards unter dem Deckmantel außenpolitischer Sanktionen

Meine erste Beobachtung betrifft den Vorschlag für eine Verordnung über GASP-Sanktionen zur Bekämpfung systematischer und weitverbreiteter Korruption in Drittstaaten. Hierin spiegelt sich aus meiner Sicht die international zu beobachtende Tendenz wider, den mühsamen Weg strafprozessualer Ermittlungen durch eine freihändige außenpolitische Sanktionierungspraxis abzukürzen und zentrale strafprozessuale Schutzmechanismen zu umgehen. Diese Gefahr sehe ich bei korruptionsbezogenen Sanktionen ganz besonders, da – anders etwa als bei den restriktiven Maßnahmen infolge der russischen Aggression gegen die Ukraine (u. a. EU-Verordnung 269/2014) – die Ratio der Sanktionierung nicht einmal mehr vordergründig darauf abzielt, durch Druck auf regierungsnahen Personen die Politik eines Staates zu beeinflussen. Vielmehr knüpft die Begründung einer Listung nach dem Verordnungs-Entwurf direkt an die Begehung von Straftaten an. Nach dem Verordnungs-Vorschlag soll der Rat der Europäischen Union nämlich solche Personen auf eine Sanktionsliste setzen können, die der Korruption, der Veruntreuung staatlicher Gelder oder verwandter Delikte bezichtigt werden. Rechtsfolge einer solchen Listung ist dann,

dass das in der EU befindliche Vermögen der gelisteten Person eingefroren wird, wirtschaftliche Austauschgeschäfte mit der Person für EU-Angehörige verboten sind und die Person nicht mehr in die EU einreisen darf.

Der einzige Unterschied zwischen dem Verordnungs-Vorschlag und einer klassischen Strafvorschrift liegt darin, dass eine Listung laut Artikel 2 Absatz 1 des Verordnungs-Entwurfs neben dem Verdacht der Beteiligung an Korruption voraussetzt, dass die in Rede stehenden Taten geeignet sind, die sicherheits- und außenpolitischen Ziele der EU zu gefährden. Zur näheren Auslegung dieses unbestimmten Rechtsbegriffs enthält die Verordnung eine Reihe von (nicht abschließend gemeinten) Kriterien, die von der Korruptionsbelastung der von der Tat berührten Staaten über das Ausmaß der Tat und die Bedeutsamkeit des Beschuldigten bis hin zur Frage reichen, ob der Betroffene für das in Rede stehende Verhalten bereits strafrechtlich verfolgt wird.

Dieser Ansatz, über das Sanktionsrecht weltweit schneidig Zugriff auf Korruptionsverdächtige nehmen zu können, ist angesichts der bisher überschaubaren Erfolge bei der strafrechtlichen Verfolgung von *grand corruption* einerseits verlockend. Andererseits besteht aber auch die erhebliche Gefahr, dadurch ein apokryphes Parallelstrafrecht zu schaffen. Ich will das am Fall des ehemaligen libanesischen Zentralbankchefs Riad Salameh deutlich machen. Gegen Salameh haben Ermittlerinnen und Ermittler vor allem aus Deutschland und Frankreich in monatelanger Arbeit nach allen Regeln der strafprozessualen Kunst ermittelt. Wenn man den Presseberichten über die Ermittlungsergebnisse und die Beweismittel Vertrauen schenken darf, haben sie ihn der Veruntreuung von Staatsgeldern in Millionenhöhe überführt.¹¹ Gleichzeitig – und da wird der Kontrast deutlich – hat das U.S. Department of the Treasury's Office of Foreign Assets Control (OFAC) Salameh kurzerhand auf eine Sanktionsliste gesetzt.¹² Hierfür brauchte es keine rechtsförmigen Ermittlungen und schon gar keine strafprozessuale Hauptverhandlung, sondern es genügen einige wenige Zeilen Entscheidungsbegründung, die sich zumeist aus nachrichtendienstlichen Quellen

11 Übersicht der öffentlich verfügbaren Informationen zum Fall Salameh bei *Mayrhofer*, Der Fall Riad Salameh, GWuR 2023, 110.

12 Pressemitteilung der OFAC vom 1. August 2023 (online abrufbar unter <https://t1p.de/78w1l>).

speist. Dies ist im EU-Sanktionsrecht genauso. Die Europäischen Gerichte haben sich in den vergangenen Jahren zwar erkennbar bemüht, den Rechtsschutz gegen restriktive Maßnahmen zu verbessern.¹³ Es bleibt aber dennoch dabei, dass dem außenpolitischen Individualsanktionsverfahren letztlich alle Kernmerkmale des reformierten Strafprozesses von der Akteneinsicht über das öffentliche Erkenntnisverfahren bis hin zum Konfrontationsrecht fehlen, obwohl es im Kern um (wenn auch politisch besonders bedeutsame) genuin individualstrafrechtliche Vorwürfe geht.¹⁴

Auch völkerrechtlich ist der Vorstoß der EU-Kommission nicht unproblematisch, da die Listung von Personen in Nicht-EU-Staaten mindestens als Akt mit sogenannter Persuasionswirkung die Souveränität dieser Staaten beeinträchtigt und Korruptionstäter weiterhin nicht als *hostis humani generis* gezählt werden können, für die das Universalitätsprinzip eine solche Souveränitätsbeeinträchtigung legitimieren würde. Dass *grand corruption* oft in Verbindung mit Verstößen gegen das Völkergewohnheitsrecht (etwa in Gestalt von Menschenrechtsverletzung) steht, ist zutreffend, aber eine schwache Legitimationsgrundlage, um extraterritorial wirkende außenpolitische Sanktionen einzuführen.

III. Der Richtlinien-Entwurf zum Korruptionsstrafrecht als Beispiel für hypertrophe Tendenzen der EU-Strafrechtsgesetzgebung

Der zweite Trend, den ich durch das Anti-Korruptions-Paket der EU-Kommission verkörpert sehe, betrifft die Reichweite der Harmonisierungskompetenz der Europäischen Union in Fragen des Strafrechts. Ich bin der Auffassung, dass die EU-Richtlinien zur Harmonisierung des Strafrechts der Mitgliedstaaten schon seit längerer Zeit dazu neigen, immer tiefer in die Strafrechtsordnungen der Mitgliedstaaten einzugreifen,¹⁵ und dass der jetzt vorliegende Vorschlag für

13 Vgl. aus der letzten Zeit zB EuG 6.9.2023 – T-364/22, BeckRS 2023, 22880 – „Shulgjin“ oder EuG 30.3.2022 – T-291/20, BeckRS 2022, 5775 – „Yanukovych“.

14 Hierzu und zur folgenden Bewertung bereits *El-Ghazi/Wegner/Zimmermann*, EU-Anti-korruptions-Rechtsrahmen – ein „Meilenstein“?, ZRP 2023, 211, 212.

15 So auch die Auffassung der Konferenzen der deutschen Justizministerinnen und Jus-

eine Richtlinie zur Korruptionsbekämpfung die insofern durch die Europäischen Verträge gezogenen Grenzen überschreitet und einen primärrechtswidrigen *ultra-vires*-Akt darstellt.

Ausgangspunkt meiner Überlegungen ist Artikel 83 Absatz 1 des Vertrages über die Arbeitsweise der Europäischen Union. Nach dieser Vorschrift kann der Europäische Gesetzgeber für die in Unterabsatz 2 genannten Kriminalitätsbereiche harmonisierende Mindestvorgaben im Wege einer Richtlinie festlegen, wenn sie aufgrund der Art oder der Auswirkungen der Straftaten oder aufgrund einer besonderen Notwendigkeit, sie auf einer gemeinsamen Grundlage zu bekämpfen, eine grenzüberschreitende Dimension haben. Ob sich der Richtlinien-Entwurf innerhalb dieser Grenzen bewegt, ist (von Zweifeln an der Verhältnismäßigkeit der Regelungen abgesehen) sowohl mit Blick auf Regelungsbreite als auch Regelungsdichte des Vorschlags sehr zweifelhaft.¹⁶

Ich will als Beispiel für die Kompetenzübertretung, die die EU-Kommission mit ihrem Richtlinien-Entwurf anvisiert, den Artikel 11 des Entwurfs nennen, der den Mitgliedstaaten aufgibt, einen Tatbestand des Amtsmissbrauchs einzuführen. Nach diesem Auffangtatbestand soll allgemein rechtswidriges Verhalten von öffentlichen Amts- oder Mandatsträgern und sogar von privaten Bediensteten unter Strafe gestellt werden, durch das der Täter sich selbst oder einem Dritten einen ungerechtfertigten Vorteil verschaffen will. Der Tatbestand verzichtet – anders als konventionelle Korruptionstatbestände – auf das Erfordernis eines kollusiven Zusammenwirkens von mindestens zwei Personen (Geber- und Nehmerseite). Ein Amtsmissbrauch im Sinne von Artikel 11 des Richtlinien-Entwurfs wäre

tizminister, Beschluss II.27 v. 25./26.5.2023 (online abrufbar unter <https://t1p.de/fc1y1>).

16 Für eine eingehende kritische Stellungnahme aus kompetenzrechtlicher Perspektive s. *Eisele*, Schriftliche Stellungnahme zur Sachverständigenanhörung im Rechtsausschuss des Deutschen Bundestages am Montag, dem 13. November 2023 (online abrufbar unter <https://t1p.de/murhs>), 11 ff. und *Kubiciel*, Schriftliche Fassung der Stellungnahme in der Öffentlichen Anhörung des Rechtsausschusses des Deutschen Bundestages zum Vorschlag für eine Richtlinie des Europäischen Parlaments und des Rates zur Bekämpfung der Korruption, zur Ersetzung des Rahmenbeschlusses 2003/568/JI des Rates und des Übereinkommens über die Bekämpfung der Bestechung, an der Beamte der Europäischen Gemeinschaften oder der Mitgliedstaaten der Europäischen Union beteiligt sind, sowie zur Änderung der Richtlinie (EU) 2017/1371 des Europäischen Parlaments und des Rates (online abrufbar unter <https://t1p.de/v7ol2>), 5 ff.

beispielsweise schon dann gegeben, wenn ein Amtsträger rechtswidrig die Erteilung einer Baugenehmigung an seinen Nachbarn unterlässt, damit sein Grundstück nicht „zugebaut“ wird. Oder noch banaler: Ein Hochschullehrer bewertet eine Prüfungsleistung mit bestanden, in dem Wissen, dass die Prüfungsleistung beurteilungsfehlerfrei niemals so bewertet werden dürfte. Oder: Der Kellner in einem Café verzichtet bei einem Freund darauf, die Rechnung für konsumierte Speisen und Getränke abzurechnen. Das sind Verhaltensweisen, die selbst bei einem weiten, unionsrechtsautonomen Verständnis dieses Begriffes außerhalb dessen liegen, was Artikel 83 Absatz 1 Unterabsatz 2 des Vertrages über die Arbeitsweise der Europäischen Union mit „Korruption“ beschreibt.¹⁷

Ein Beispiel für die überzogene Regelungstiefe lässt sich den institutionellen Vorgaben des Richtlinien-Entwurfs entnehmen: Artikel 4 Absatz 2, Absatz 3 verlangt, dass für Strafverfahren in Korruptionssachen spezialisierte und von der Regierung funktional unabhängige Behörden tätig sind. In Deutschland liegt die Zuständigkeit für die strafrechtliche Verfolgung von Korruption bei den zuständigen (Schwerpunkt-)Staatsanwaltschaften. Diese unterliegen nach § 146 GVG aber dem Weisungsrecht der Justizministerien. Im Zusammenhang mit dem eingriffsintensiven Ermittlungsinstrument des EU-Haftbefehls hat der EuGH die deutschen Staatsanwaltschaften deshalb als nicht hinreichend von der Regierung unabhängig qualifiziert.¹⁸ Da der Richtlinien-Entwurf zur Korruptionsverfolgung gerade auch die Möglichkeit des Einsatzes besonders eingriffsintensiver Ermittlungsmaßnahmen verlangt,¹⁹ besteht kein Zweifel daran, dass dieser Einwand hier in gleichem Maße erhoben werden würde.²⁰ Deutschland müsste

17 Mit dieser Stoßrichtung schon *El-Ghazi/Wegner/T. Zimmermann*, EU-Antikorruptions-Rechtsrahmen – ein „Meilenstein“?, ZRP 2023, 211, 212 ff.; *dies.*, Auswirkungen der EU-Vorschläge für einen neuen Antikorruptions-Rechtsrahmen auf das deutsche Strafrecht, wistra 2023, 353, 356; offengelassen von *Eisele*, Schriftliche Stellungnahme zur Sachverständigenanhörung im Rechtsausschuss des Deutschen Bundestages am Montag, dem 13. November 2023 (online abrufbar unter <https://t1p.de/murhs>), 13.

18 EuGH NJW 2019, 2145; dazu *Eisele/Trentmann*, Die Staatsanwaltschaft – „objektivste Behörde der Welt“?, NJW 2019, 2365; anders für weniger eingriffsintensive Maßnahmen EuGH NJW 2021, 1373 Rz. 73 (zur Europäischen Ermittlungsanordnung, die nicht das Grundrecht auf Fortbewegungsfreiheit zu beeinträchtigen geeignet ist).

19 Vgl. Artikel 23 des Richtlinien-Entwurfs.

20 So wohl auch Bundesrats-Drucksache 244/23, 4; *Busch*, wistra 2023, Heft 6 R 9, R 11.

also zumindest für Korruptionsdelikte i. S. d. des Richtlinien-Entwurfs (der in der schon erwähnten überdehnten Definition des Begriffes der Korruption große Teile des heutigen Besonderen Teils des StGB als Korruptionsdelikte betrachtet) das externe Weisungsrecht abschaffen. Darüber mag man politisch diskutieren, es ist aber nicht ersichtlich, dass die Europäische Union das Recht für eine derartige weitreichende Vorgabe zur deutschen Justizverfassung aus Artikel 83 Absatz 1 Unterabsatz 2 des Vertrages über die Arbeitsweise der Europäischen Union ableiten könnte.

IV. Fazit

Es ist nicht zu bestreiten, dass die in der Europäischen Union an der Gesetzgebung beteiligten Organe bei ihrer kriminalpolitischen Agenda legitime Ziele verfolgen. Bei der Umsetzung der politischen Ideen in konkrete Rechtsakte scheint die notwendige rechtsstaatliche Sensibilität in den vergangenen Jahren allerdings abzunehmen, wobei das im Mai 2023 vorgelegte Reformpaket zur Bekämpfung der Korruption einen neuen Tiefpunkt darstellt. Die europäische Kriminalpolitik wäre gut beraten, sich gerade im eng mit der Staatensouveränität verknüpften Bereich der Strafrechtspolitik auf den Gedanken der Subsidiarität zu besinnen und ihre Harmonisierungsbemühungen auf das unbedingt erforderliche Maß zu beschränken. Dort, wo sie legitimerweise ihre kriminalpolitische Regelungskompetenz ausübt, sollten die Grundprinzipien des aufgeklärten Strafrechts (auch in prozessualer Hinsicht) nicht aus dem Blick verloren werden, wie es bei den hier aufgezeigten jüngsten Expansionstendenzen des außenpolitischen Sanktionsregimes in das Revier der Kriminalitätsbekämpfung leider zu befürchten ist.

აქტუალური ტენდენციები ქონებრივი დანაშაულების სფეროში – NON-CONVICTION-BASED CONFISCATION OF ASSETS, როგორც კორუფციასთან ბრძოლის საშუალება

დოქტ. ფაბიან ტაიხმანი, LL.M., ადვოკატი

I. შესავალი

უკრაინაში არსებული კრიზისის ფონზე, საქართველო და გერმანულენოვანი ქვეყნები სულ უფრო ხშირად დგებიან რუსული წარმოშობის ქონებისგან მომდინარე პრობლემის წინაშე. შეძლებული პირები რუსეთიდან და უკრაინიდან ცდილობენ თავიანთი ქონებრივი აქტივების უცხოეთში გადატანას. საქართველო და გერმანულენოვანი ქვეყნები კი ამ მხრივ მიმზიდველ ადგილებად განიხილება. ხშირად გაურკვეველია მსგავსი სახის ქონების წარმომავლობა. არც თუ იშვიათად, ასეთი ქონება კრიმინალთანაა დაკავშირებული, განსაკუთრებით, რუსეთსა და უკრაინაში არსებული მაღალი კორუფციული მაჩვენებლების გათვალისწინებით. მიუხედავად ინტენსიური მცდელობებისა, ხშირად შეუძლებელია კონკრეტული ქონების დანაშაულებრივი წარმომავლობის დამტკიცება. სწორედ ამიტომ, წარსულში არაერთხელ გაჟღერებულა ქონებრივი აქტივების კონფისკაციის იდეა თუნდაც ეჭვის საფუძველზე. ამ სტატიაში განხილული იქნება ამ მეთოდთან დაკავშირებული, სამართლებრივი სახელმწიფოს სტანდარტების დარღვევის რისკები და ნაჩვენები იქნება ისიც, რომ ის ვერ იქნება პრობლემის გადაჭრის უებარი საშუალება. მაგრამ, მაინც რატომაა კორუფციასა და ფულის გათეთრებასთან ბრძოლა ესოდენ რთული?

II. კორუფცია

სრულად უდავო გარემოებაა, რომ კორუფციას აქვს უპირატესად ნეგატიური შედეგები.¹ სწორედ ამიტომ, 1997 წლის 17 დეკემბერს, მიღებულ იქნა საერთაშორისო ბიზნეს ტრანზაქციებში უცხოელი საჯარო მოხელეების მოსყიდვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კონვენცია. მიუხედავად ამისა, კორუფცია დღესაც მრავალი ქვეყნის ყოველდღიური მოვლენაა.² ამიტომ იბადება კითხვა, თუ რითია ყოველივე ეს განპირობებული?³ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთშედარება ნათელს ჰფენს იმ საკითხს, რომ საქართველო წარმოუდგენლად პოზიტიურად განვითარდა რუსეთსა და უკრაინასთან შედარებით. საერთაშორისო გამჭვირვალობის კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით (2022წ.), 180 ადგილიდან საქართველო იკავებს 41-ე ადგილს, უკრაინა - 116-ე, ხოლო რუსეთი 137-ე ადგილს.⁴ ამდენად, სავსებით გასაგებია, თუ რატომ ირჩევენ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მობინადრე პირები სწორედ საქართველოს, როგორც მათი ქონების უსაფრთხო ნავსაყუდელს. განსაკუთრებით კი, უკრაინაში დღესდღეობით არსებული სიტუაციისა და სანქციების გვერდის ავლის მცდელობების ფონზე.

თუმცა, ამისდა მიუხედავად, იბადება კითხვა, თუ რატომაა ცალკეულ აღმოსავლეთევროპულ ქვეყნებში ესოდენ რთული კორუფციასთან ბრძოლა. ამ ქვეყნების სასამართლო სისტემების შესწავლა ამას ცხადყოფს. ეს კიდევ უფრო ნათელი ხდება ამ ქვეყნებში მოსამართლისა თუ პროკურორის თანამდებობებზე შერჩევის პროცედურების გაცნობისას.⁵ ნაშრომში

1 *Ades/Tella*, IDS bulletin, 27/1996, 6; *Cooray/Dzhumashev*, Economic Modelling, 74/2018, 207; *Campos/Dimova/Saleh*, Journal of Institutional and Theoretical Economics 172/2016, 521; *d'Agostino/Dunne/Pieroni*, European Journal of Political Economy 43/2016, 71; *Al-Sadig*, Cato Journal 29/2019, 267.

2 *Teichmann/Falker/Sergi*, Energy Research & Social Science (08/2020), 66; *Teichmann/Falker/Sergi*, Resources Policy, 12/2020, 69; *Teichmann*, Journal of Financial Crime, 2018, 25(4), 1105-1110; *Teichmann/Falker/Sergi*, The Extractive Industries and Society, 2020, 7(3), 1022-1028; *Teichmann*, Journal of Financial Crime, 2019, 26(3), 746-752.

3 *Teichmann/Falker*, Journal for Labour and Social Affairs in Eastern Europe, 2020, 23(1), 91-108.

4 <https://www.transparency.org/en/cpi/2022> (ნანახია 8.12.2023).

5 *Teichmann*, ZfStW 6/2023, 377.

აღმოსავლეთევროპული მართლმსაჯულების ცალკეული სისტემების შემდგომი განხილვა ეფუძნება ავტორის ემპირიულ გამოკვლევებს.

მოსამართლის თანამდებობისკენ მიმავალი გზა ბევრ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, იწყება უმაღლესი იურიდიული განათლების მიღებით. ვისაც კარგი ნიშნების მიღება სურს, მან ხშირად ქრთამიც უნდა გადაიხადოს. ეს წესი, განსაკუთრებით, მოქმედებს ცნობილ კორუფციულ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. უმაღლესი იურიდიული განათლების მიღების შემდეგ, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში იწყება ე.წ. სტაჟირება, მსგავსად გერმანული რეფერენდარიატისა. თუმცა, ვაკანტური ადგილები გაიცემა კონტაქტების მეშვეობით. ამ კონტაქტების დროს კი, მაღლობის გადახდა ხდება, როგორც წესი, „საჩუქრებით“.⁶ ამის შემდგომი სამოსამართლეო საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებაც ბევრ ქვეყანაში შესაძლებელია მხოლოდ ქრთამის გადახდით. ის, ვინც წარმატებულად ჩააბარებს გამოცდას, ავტომატურად ვერ გახდება მოსამართლე. ბევრ ქვეყანაში ამისათვის აუცილებელია მოსამართლის შტატის გამოყოფა. სწორედ მოსამართლის შტატის გამოყოფასა და მოსალოდნელ თანამდებობრივ სარგომეა ორიენტირებული გადასახდელი ქრთამის ოდენობა. იმას, ვისაც სურს სამენარმეო საქმეთა განმხილველი მოსამართლის ადგილი რომელიმე დიდ ქალაქში, როგორც წესი, მეტის გადახდა უწევს, ვიდრე ეს იქნებოდა პროვინციაში სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველი მოსამართლის შტატის შემთხვევაში. ქრთამის ოდენობაში არსებული განსხვავებები კი ეფუძნება იმ რეალობას, რომ დიდ ქალაქში მომუშავე სამენარმეო საქმეთა მოსამართლე ბევრად უფრო მეტ ქრთამს მიიღებს სამომავლოდ, ვიდრე პროვინციაში დასაქმებული სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველი მოსამართლე. წარსულში არაერთხელ მომხდარა, რომ მოქმედი მოსამართლე, რომელმაც წარმატებით განვლო ეს გზა, სასამართლო რეფორმის ფარგლებში, ხელახლა დაექვემდებარა შემონმბებასა თუ გამოცდის გავლას. ამის გამო, ამ მოსამართლეებს უწევდათ ქრთამის გადახდა თანამდებობაზე დარჩენის სანაცვლოდ. აღწერილი მექანიზმი კი განაპირობებს ე.წ. არასასურველ შერჩევას (*Adverse Selection*). პატიოსანი მოქალაქეები, რომლებიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან კორუფციას, მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში გამო-

6 Teichmann, ZfJStW 6/2023, 377.

ხატავენ მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის სურვილს. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ ისინი მაინც მიიღებენ ამგვარ გადაწყვეტილებას, მოსალლონელი არაა, რომ მოახერხებენ ყველა დაბრკოლების დაძლევისა და მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნას ქრთამის გადახდის გარეშე. ხოლო მათ, ვისაც აქვს კრიმინალური ხასიათი და გახსნილად ხვდება კორუფციას, მიმზიდველად მიაჩნიათ მსგავსი გზა. ეს კი განაპირობებს იმას, რომ მოსამართლის თანამდებობას ირჩევენ ის პირები, რომლებსაც აქვთ კორუფციასთან შემგუებლური დამოკიდებულება. ამას გარდა, ზემოთ ნახსენები მართლმსაჯულების რეფორმით შეფუთული განმეორებითი გამოცდის შედეგად, მოქმედი მოსამართლე, რომელიც პრინციპულად ეწინააღმდეგება კორუფციას, სამუდამოდ ემშვიდობება დაკავებულ თანამდებობას. მოსამართლის თანამდებობის შესანარჩუნებლად განმეორებითი ქრთამის გადახდა კი ხელეწიფება მხოლოდ იმ მოსამართლეს, რომელიც თავად გახდა/არის კორუმპირებული.⁷

უმეტეს შემთხვევაში, პროკურორის კარიერა იდენტურია მოსამართლის პროფესიული კარიერისა. თუმცა პროკურორებს ხშირად აკლიათ მოსამართლის „დამოუკიდებლობა“. პროკურორმა, ხშირად, მიღებული ქრთამი უნდა გაუნაწილოს ზემდგომ პროკურორს. ეს უკანასკნელი კი, ქრთამის სახით მიღებული თანხის ნაწილს, თავად ინარჩუნებს, ხოლო მეორე ნაწილს კი გადასცემს გენერალურ პროკურატურას. ყოველივე ეს კი განაპირობებს გარკვეულ ჯგუფურ დინამიკას. ვინც თავს იკავებს ამ სისტემაში მონაწილეობის მიღებისაგან, თავადვე შეიძლება იქცეს სისხლის სამართლის საქმის ბრალდებულად.⁸

კორუფციის ზემოთ აღწერილი სქემა ბევრ ქვეყანაშია აქტუალური. ვინაიდან მართლმსაჯულების სისტემა თავად არის კორუმპირებული, კორუფციის ფაქტზე სისხლისსამართლებრივი საგამოძიებო მოქმედებები ხშირად არ არის ეფექტური და წარმატებული.⁹ სწორედ ამიტომ, სისტემატურად ხდებოდა წარსულში იმის არგუმენტირება, რომ კორუფციასთან ბრძოლა (როგორც მინიმუმ) შესაძლებელია ფულის გათეთრების შემადგენლობის სახით. ეს მოსაზრება ეფუძნება იმ ვარაუდს, რომ არ უნდა

7 *Teichmann*, Die Polizei 11, 2021, 501; *Teichmann*, ZfStW 6/2023, 377.

8 *Teichmann/Wittmann*, Journal of Financial Crime, 2023, 30(2), 512-521.

9 *Teichmann/Boticu/Sergi*, Journal of Economic Criminology, 2023, 2.

ღირდეს მძიმე დანაშაულის ჩადენა. დამნაშავე თითქოსდა ვერსად გამოიყენებს დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ფულს. თუმცა, გარკვეულწილად საორტოფოა, თუ რამდენად რეალურია ეს. ფულის გათეთრების შემადგენლობამ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება შეუწყოს ხელი კორუფციასთან ბრძოლას, როდესაც პირი მარტივად ვერ აუვლის გვერდს ფულის გათეთრების პრევენციულ ღონისძიებებს. აქედან გამომდინარე, იბადება კითხვა, თუ რამდენად მარტივია ფულის გათეთრება? ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართული პრევენციული ღონისძიებებისთვის გვერდის მარტივად ავლის შემთხვევაში, ფულის გათეთრების სისხლის-სამართლებრივი შემადგენლობა, ხშირად ვერ დააშინებს და ვერ შეაჩერებს უცხოეთში მყოფ დამნაშავე პირებს.¹⁰

III. ფულის გათეთრება

ფულის გათეთრების სიმარტივის შესაფასებლად, მთავარია წინარე ქმედებაზე ორიენტირის გაკეთება.¹¹ აქ განხილული ფულის გათეთრების მეთოდები – ანუ, ე.წ. ჭკვიანი დამნაშავეების მოქმედების მეთოდები – ასევე ეფუძნება ავტორის ემპირიულ კვლევებს.¹²

დამნაშავის გადმოსახედიდან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დანაშაულებრივად მიღებული ქონების წარმომავლობა. ნარკომოგაჭრეს სრულიად სხვა მოთხოვნილებები აქვს, ვიდრე კორუმპირებულ თანამდებობის პირს. ასევე, იბადება კითხვა, საქმე ეხება ნაღდ ფულს თუ ე.წ. უზრუნველყოფის სახით გამოსადეგ ქონებას („Bankable Assets“).¹³ ვისაც დიდი ოდენობით ნაღდი ფული აქვს, სხვა გამონკვევების წინაშე დგას, ვიდრე ის დამნაშავე, ვინც ფლობს თანხებს საბანკო ანგარიშებზე თუ კრიპტოვალუტას. ეს უკანასკნელი, ანონიმურობის გამო, უდიდესი პოპულარობით

10 *Teichmann*, ZfIStW 6/2023, 377 (379).

11 *Teichmann*, ZfIStW 6/2023, 377 (379).

12 *Teichmann*, Journal of money laundering control, 2017, 20(2), 130-137; *Teichmann*, Crime, Law and Social Change, 2020, 73, 237-247; *Teichmann*, Journal of Financial Regulation and Compliance, 2019, 27(1), 2-12.

13 *Teichmann*, Jusletter v. 14.11.2022, https://jusletter.weblaw.ch/jusliissues/2022/1132/unterschätzte-geldwa_9a6cd8a79c.html__ONCE&login=false (ნანახია 8.12.2023).

სარგებლობს ფულის გამთეთრებლებსა და ტერორიზმის დამფინანსებლებში.¹⁴

ამასთანავე, გასათვალისწინებელია შემოსავლების მიღების პერიოდულობა. ის, ვისაც ქრთამის სახით ერთჯერადად გადაეცა 500 000 ევრო, სრულიად სხვა გამოწვევის წინაშე დგას, ვიდრე ის თანამდებობის პირი, რომელსაც, ყოველთვიური შემოსავლის სახით, გადაეცემა იგივე ოდენობის ქრთამი.¹⁵ ერთჯერადად მოქრთამულ თანამდებობის პირს დანამდვილებით მოუნდება მიღებული 500 000 ევროს მის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენება, მაშინ როცა, ის თანამდებობის პირი, რომელმაც, წლიური ქრთამის სახით, დააგროვა 6 000 000 ევრო, დიდი ალბათობით, მოისურვებს მის დაბანდებას. დამნაშავის გადმოსახედიდან, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქონების ადგილმდებარეობასაც. ვისაც საბანკო აქტივები გააჩნია შვეიცარიაში, ბევრად უფრო განსხვავებული საწყისი მდგომარეობა აქვს, როგორც დამნაშავეს, ვიდრე იმას, ვისაც ნაღდი ფული გააჩნია მოსკოვში. ასევე, ძალზე მნიშვნელოვანია საკითხი, კონკრეტულ ქონებას აქვს თუ არა ე.წ. ლეგენდა. ანუ, ის საბანკო აქტივები, რომლებიც ამონაგების სახით დეკლარირებულია შერწყმისა და შთანთქმის ტრანზაქციიდან (M&A Transaktionen), ბევრად უფრო მარტივად გამოსაყენებელია, ვიდრე სამხრეთ აფრიკაში არსებული ნაღდი ფული. ზემოთ ხსენებული ემპირიული კვლევის ფარგლებში, მოხდა ბევრი საწყისი მდგომარეობის იდენტიფიცირება. დამნაშავე პირები ხშირად ფლობენ ნაღდი ფულს და საბანკო აქტივებს ერთდროულად. ამას გარდა, ფულის გამთეთრებლებს ხშირად აქვთ პერიოდული/სისტემატური შემოსავლები. ეს მარტივად აიხსნება. უპირველეს ყოვლისა, ფაქტია, რომ თანამდებობის პირთა უმეტესობა უპირატესობას ანიჭებს ნაღდი ფულის მიღებას. თუმცა, ეს ყოველთვის არაა შესაძლებელი. მაგალითად, მრავალეროვნული კომპანიის, როგორც კონტრაჰენტის შემთხვევაში. ასევე სავარაუდოა, რომ ფულის გამთეთრებლებს ხშირად აქვთ პერიოდული/სისტემატური შემოსავლები.

14 *Teichmann*, Journal of Money Laundering Control, 2018, 21(4), 513-519; *Teichmann/Falker*, Journal of Money Laundering Control, 2021, 24(4), 775-788; *Teichmann/Falker*, Artificial Intelligence: Anthropogenic Nature vs. Social Origin, 2020, 500-511; *Teichmann/Falker*, Journal of Money Laundering Control, 2020, 24(1), 91-101.

15 *Teichmann/Falker*, Journal of Money Laundering Control 23/2020, 805.

ის, ვინც ერთხელ მაინც აიღებს ქრთამს, ამას კიდევ არაერთხელ გაიმეორებს.¹⁶

უძრავი ქონების სფეროს მაგალითზე, კარგად ჩანს, თუ რაოდენ მარტივია ფულის გათეთრება.¹⁷ ის, ვისაც სურს ინკრიმინირებული უძრავი ნივთების ამ ბაზარზე გათეთრება, როგორც წესი, უპირველეს ყოვლისა, იძენს შესაბამის მიწის ნაკვეთს და ბუნებრივია, მას არ აფორმებს საკუთარ სახელზე. ფულის გამთეთრებლები იყენებენ ცრუმაგიერ პირებსა და სტრუქტურებს საკუთარი ეკონომიკური გამდიდრების შესაფუთად.¹⁸ მიწის ნაკვეთის შეძენისას, ყურადღება ექცევა იმ გარემოებას, რომ ეს არ უნდა იყოს ე.წ. ეტალონური ნაკვეთი.¹⁹ გარდა ამისა, ფულის გამთეთრებლები ერიდებიან მედიალურ აჟიოტაჟს.²⁰ ამის შემდგომ ხდება ნასყიდობის საფასურისა და სხვა ხარჯების ნაწილის ნაღდი ფულით გადახდა. მაგალითად, 70% ოფიციალურად გადარიცხვით და 30% ნაღდი ფულის სახით პროპორციით. ბუნებრივია, აქაც ფულის გამთეთრებელი არ მოქმედებს საკუთარი სახელით და იყენებს ე.წ. ცრუმაგიერ პირებს. თუკი შესაძლებელია, ხშირად ისინი ერთმანეთში ურევენ ინკრიმინირებულ და არაინკრიმინირებულ ქონებას, რის გამოც, ფაქტობრივად, შეუძლებელია ფულის გამთეთრებლის იდენტიფიცირება. უკიდურეს შემთხვევაში, ისედაც ცრუმაგიერი პირის გამოვლენა მოხდება.²¹

ბუნებრივია, უძრავი ქონების სფერო არ არის ერთადერთი სექტორი, რომელშიც შედარებით მარტივია ფულის გათეთრება. სხვა მაგალითები მოიცავს ვაჭრობას ხელოვნების ნიმუშებით, ოქროთი,²² ანტიკვარით,²³ ბრილიანტებითა და ძვირფასეულობით²⁴. ფულის გამთეთრებლებს ასე-

16 *Teichmann*, ZfStW 6/2023, 377 (379).

17 *Teichmann*, Methoden der Geldwäscherei. 2. Aufl. 2021, 149.

18 *Teichmann*, Journal of Money Laundering Control, 2023, 26(2), 418-432.

19 *Teichmann*, Journal of Money Laundering Control, 21(3), 370-375.

20 *Teichmann/Sergi*, Money Laundering, Terrorism Financing and Sanctions, Emerald Publishing Limited, 2018; *Teichmann*, ZfStW 6/2023, 377 (379 f.).

21 *Teichmann*, Journal of Money Laundering Control, 2023, 26(2), 337-348; *Teichmann*, ZfStW 6/2023, 377 (380).

22 *Teichmann/Falker*, Journal of Money Laundering Control, 2023, 26(3), 509-522.

23 *Teichmann*, Journal of Money Laundering Control, 2019, 22(3), 410-416.

24 *Teichmann*, Journal of Money Laundering Control, 2020, 23(3), 691-697.

ვე უყვართ საკონსულტაციო მომსახურება²⁵ და შერწყმა და შთანთქმა (Mergers & Acquisitions). დამატებით კიდევ გამოიყენება ოფშორული ბანკები,²⁶ ვალუტის გადამცვლელი ჯიხურები²⁷ და Hawala Banker-ის სისტემა ქონების წარმომავლობის მისაჩქმალად.²⁸ ყველა ამ მეთოდს აერთიანებს ის, რომ ძალიან დაბალია იდენტიფიცირების რისკი.²⁹

ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ ფულის გათეთრების შემადგენლობა წარსულში არაერთხელ შესულა ჩიხში. მაღალი ალბათობით, ფულის გათეთრების შემადგენლობა არ წარმოადგენს კორუფციასთან ბრძოლის ეფექტურ საშუალებას. ეს ყველაფერი იმიტომ, რომ, ერთი მხრივ, ფულის გათეთრება კვლავინდებურად რჩება გამოვლენის დაბალი რისკის მქონე შემადგენლობად. მეორე მხრივ კი, დარტყმის ქვეშ აღმოჩნდება ხოლმე ცრუმაგიერი პირი.³⁰ ძალიან ხშირად შეუძლებელია (სავარაუდოდ, კრიმინალურ) ქონებასა და გარკვეულ ქმედებებს შორის ურთიერთკავშირის დამტკიცება. ასევე სისხლისსამართლებრივი დევნა არ ეხება მის უკან მდგომ პირებს. ამას განსაკუთრებით გადამწყვეტი როლი აქვს ეკონომიკური დამნაშავეების შემთხვევაში, რომლებიც ახდენენ ხარჯებისა და სარგებლის გაანგარიშებას.³¹

IV. Non-Conviction-Based Confiscation of Assets

გინაიდან ხშირად შეუძლებელია კონკრეტულ ქონებასა და ცალკეულ ქმედებებს შორის გარკვეული ურთიერთკავშირის დამტკიცება, წარსულში არაერთხელ ყოფილა საუბარი ქონებრივი აქტივების კონფისკაციის იდე-

25 *Teichmann*, Journal of Money Laundering Control, 2019, 22(1), 32-37; *Teichmann/Falker*, Journal of Financial Regulation and Compliance, 2020, 28(3), 485-500.

26 *Teichmann/Falker*, Journal of Financial Regulation and Compliance, 2020, 28(3), 337-352; *Teichmann*, Journal of Money Laundering Control, 2023, 26(2), 337-348; *Teichmann/Wittmann*, Journal of Money Laundering Control, 2022, 26(4), 709-718.

27 *Teichmann/Falker*, Journal of Money Laundering Control, 2023, 26(3), 445-461.

28 *Teichmann/Wittmann*, Journal of Money Laundering Control (2022), 26(3), 665-677; *Teichmann/Falker*, Journal of Financial Regulation and Compliance, 2021, 29(1), 1-14.

29 *Teichmann*, Journal of Money Laundering Control, 2020, 23(1), 90-95.

30 *Teichmann*, ZfStW 6/2023, 377 (380).

31 *Teichmann*, Journal of Money Laundering Control, 2020, 23(2), 309-314.

ამე თუნდაც ეჭვის საფუძველზე. ამის ყველაზე ცნობილი მაგალითია შვეიცარიაში მიღებული, უცხოელ პოლიტიკური თანამდებობის პირთა მიერ უკანონოდ შეძენილი ქონების დაბლოკვის/დაყადაღებისა და უკან დაბრუნების შესახებ ფედერალური კანონი (das schweizerische Bundesgesetz über die Sperrung und die Rückerstattung unrechtmäßig erworbener Vermögenswerte ausländischer politisch exponierter Personen (SRVG)). ეს გახლავთ 2015 წლის კანონი, რომელიც შეიქმნა, როგორც ე.წ. „პოტენტატების, ანუ, გავლენიანი პირების ფულის“ დაყადაღების, ჩამორთმევისა და უკან დაბრუნების საფუძველი. შვეიცარიას უნდოდა ამ კანონით საკუთარი ფინანსური ინტერესების ბოროტად გამოყენებისაგან დაცვა. თავდაპირველად, წინა პლანზე იდგა ხანდაზმულობა, როგორც სამართლებრივი ურთიერთდახმარების დამაბრკოლებელი გარემოება. დადგენილი გარემოებაა, რომ სამართლებრივი ურთიერთდახმარების ინსტიტუტი არცთუ ეფექტურია და აქვს გარკვეული შეზღუდული ფარგლები პოლიტიკურ პროცესში. ამ კანონის გამოყენება კი სუბსიდიურია სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთდახმარების მხრივ.³²

კანონის პირველი მუხლი აწესრიგებს უცხოელი პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და მათთან დაახლოებული პირებისათვის ქონების დაყადაღების, ჩამორთმევა-ამოღებისა და უკან დაბრუნების მექანიზმებს, რომლებიც, სავარაუდოდ, მოპოვებულია კორუფციის, არაკეთილსინდისიერი მართვისა თუ სხვა მძიმე დანაშაულებრივი გზით.³³ აქედან გამომდინარეობს კანონის პერსონალური ფოკუსი. კანონი მუდმივად ორიენტირებულია პიროვნებაზე და არა ქონებაზე. მაშასადამე, საუბარია არა *in rem* ღონისძიებებზე. კანონის მე-2 მუხლი ტერმინებს - უცხოელი პოლიტიკური თანამდებობის პირები, მათთან დაახლოებული პირები და ქონება/ქონებრივი ფასეულობები - დეტალურად განმარტავს. მათთან დაახლოებული პირები არიან, მათ შორის, ოჯახის წევრები, მეგობრები და საქმიანი პარტნიორები. კანონის მოქმედების ქვეშ ექცევა როგორც უძრავი, ისე მოძრავი ქონებრივი ფასეულობები.

კანონის მე-3 მუხლი განსაზღვრავს დაყადაღების/დაბლოკვის წინაპირობებს, რომლებიც აუცილებელია სამართლებრივი ურთიერთდახმა-

32 Teichmann, Journal of money laundering control 20/2017, 130; Teichmann, ZfStW 6/2023, 377 (380).

33 Artikel 1 SRVG; Teichmann, ZfStW 6/2023, 377 (380).

რების თანამშრომლობის განსახორციელებლად. მე-3 მუხლის პირველი აბზაცის ა ქვეპუნქტით, უცხოელ პოლიტიკურ თანამდებობის პირსა თუ მასთან დაახლოებულ პირს უნდა ჰქონდეს განკარგვის უფლებამოსილება (ა) ან ეკონომიკური უფლებამოსილება (ბ). ბუნებრივია, ეს მოიცავს იურიდიული პირის მიმართ არაპირდაპირ ეკონომიკურ უფლებამოსილებასაც (გ/ც). დაყადაღება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კუმულაციურად შექმნილია შემდეგი წინაპირობები: უპირველეს ყოვლისა, სახეზე უნდა იყოს მთავრობისა ან ხელისუფლების ცალკეული წევრების მიერ ძალაუფლების დაკარგვა კონკრეტულ სახელმწიფოში ან უნდა არსებობდეს დაკარგვის შეუქცევადი საფრთხე. ამასთანავე, კორუფციის ხარისხი აღნიშნულ ქვეყანაში უნდა იყოს საყოველთაოდ მაღალი. კონკრეტული ქონება სავარაუდოდ მოპოვებული უნდა იყოს კორუფციის, არაკეთილსინდისიერი ეკონომიკური საქმიანობისა თუ სხვა მძიმე დანაშაულებრივი გზით. შვეიცარიული ინტერესების დაცვა უნდა მოითხოვდეს დაყადაღებას. დამატებით ხდება მნიშვნელოვანი პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების აზრის გათვალისწინება (გარდა გადაუდებელი შემთხვევებისა).³⁴

ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 აბზაცი კი აწესრიგებს დაყადაღებას წარუმატებელი სამართლებრივი ურთიერთდახმარების შემთხვევაში შესაბამისი შუამდგომლობის წარდგენის შემდეგ. ეს ნორმა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა უკრაინაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით. როგორც წესი, ქონების დაყადაღების ვადა განისაზღვრება ოთხი წლით.³⁵ თუმცა, შესაძლებელია ამ ვადის კიდევ თითო წლით გახანგრძლივება, იმ შემთხვევაში, თუ შუამდგომელ ქვეყანას (ქონების წარმოშობის ქვეყანა) სურს სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ თანამშრომლობის განხორციელება. მაქსიმალური ვადა კი შეადგენს ათ წელს. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ ვადის კიდევ გაგრძელება. განსაკუთრებით, ეს ეხება ამ კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს. ასეთ დროს, დაყადაღების მაქსიმალურმა ვადამ შეიძლება შეადგინოს 20 წელი.³⁶

34 *Teichmann, ZfStW 6/2023, 377 (380).*

35 Artikel 5 Abs. 1 SRVG.

36 *Teichmann, ZfStW 6/2023, 377 (381).*

ამ კანონის მე-15 მუხლის პირველი აბზაცი განსაზღვრავს ე.წ. უკანონობის/არამართლმომიერების პრეზუმფციას. ნორმის თანახმად, ივარაუდება, რომ ქონება შექცნილია არამართლმომიერად, იმ შემთხვევაში, თუ არაპროპორციულად გაიზარდა ქონება იმ პირისა, რომელსაც გააჩნია ამ ქონების განკარგვის ან კიდევ მათი ეკონომიკური მართვის უფლებამოსილება, ჰქონდა რა საჯარო ვალდებულებების განმახორციელებელი უცხოელი პოლიტიკური თანამდებობის პირის მხრიდან ხელშეწყობა (a) და წარმოდგენლად მაღალი იყო კონკრეტული სახელმწიფოს ან კონკრეტული უცხოელი პოლიტიკური თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადის დროს, კორუფციის ხარისხი (b). მე-15 მუხლის მე-2 აბზაცის შესაბამისად, არაპროპორციულია ქონების იმგვარი ზრდა, როდესაც არსებობს, ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილებითა და ქვეყნის კონტექსტით აუხსნელი, აშკარა შეუსაბამობა მართლმომიერ შემოსავალსა და ქონების ზრდას შორის. მე-15 მუხლის მე-3 აბზაცის თანახმად, აღნიშნული პრეზუმფცია არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც, მაღალი ალბათობით, დადასტურებადია ქონების მართლმომიერად შექცნა. ამგვარად, სახეზეა მტკიცების ტვირთის შებრუნება.³⁷

V. სამართლებრივი სახელმწიფოს/კანონის უზენაესობის ფარგლების გადამეტების საფრთხე

1. შვეიცარიის ფედერალური კონსტიტუცია

შვეიცარიის უცხოელ პოლიტიკური თანამდებობის პირთა მიერ უკანონოდ შექცნილი ქონების დაყადაღებისა და უკან დაბრუნების ფედერალური კანონი წარმოადგენს შვეიცარიის ფედერალური კონსტიტუციის 26-ე მუხლით გარანტირებულ საკუთრების უფლებაში უხეში ჩარევას. მსგავსი სახის ძირითადი უფლებების შემლუღვის წინაპირობები გათვალისწინებულია შვეიცარიის კონსტიტუციის 36-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც, სახეზე უნდა იყოს კანონისმიერი საფუძველი, საჯარო ინტერესი, თანაზომიერება და ხელშეუხებელი კერძო ბირთვის დაცვა. აღნიშნული კანონი აკმაყოფილებს ამ წინაპირობებს. შესაბამისად, დარღვეული არ არის

37 *Teichmann, ZfStW 6/2023, 377 (381).*

კონსტიტუციის მოთხოვნები.³⁸

2. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს, გონივრული ვადის ფარგლებში, სამართლიანი სასამართლოს უფლებას. განსახილველ კანონთან მიმართებით, შესაძლოა, ვთქვათ, რომ ის ეხება არა სასამართლო, არამედ ადმინისტრაციულ წარმოებას. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, გონივრული იქნებოდა წარმოების ხუთწლიანი ვადა.³⁹ გასათვალისწინებელია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თითქმის უგამონაკლისოდ არაგონივრულად მიიჩნევს შვიდ წელზე მეტი ხანგრძლივობის სამართალწარმოებას.⁴⁰ ამასთანავე, ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ბრალდებული და არაბრალდებული პირები. როგორც წესი, არასისხლისსამართლებრივი კონფისკაციის საკითხები ეხებათ არაბრალდებულ პირებს. შესაბამისად, გონივრულ ვადად მიიჩნევა სისხლის სამართლის წარმოებისთვის დადგენილი ვადის არაუმეტეს 2/3. კანონიდან გამომდინარე, ათ წლამდე წარმოების ვადების არსებობა ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დებულებებს.⁴¹

3. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი

აღნიშნული კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მტკიცების ტვირთის შებრუნება ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს. მართალია, შეიძლება იმ არგუმენტის მოშველიება, რომ საკუთრების უფლების ჩამორთმევა არის სამოქალაქო-სამართლებრივი და არა სისხლისსამართლებრივი საკითხი და შესაბამისად, არ გამოიყენება ადამი-

38 *Teichmann*, NZWiSt 2023, 207.

39 EGMR, Urt. v. 15.07.1982 – 8130/78.

40 EGMR, Entsch. v. 27.11.2012 – 46601/07.

41 *Teichmann*, ZfISW 6/2023, 377 (381).

ანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი. ეს არც არის დარღვევა.⁴² თუმცა, ქონების დაყადაღება წარმოადგენს პრევენციულ სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას, რომელიც შედარებადი სისხლის საპროცესო იძულებით ღონისძიებასთან. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, საკითხის შესაფასებლად არ არის გადამწყვეტი სანქციის გამოქალაქო, სისხლის თუ ადმინისტრაციულ სამართალში ფორმალურად ჩაწერა. უპირველეს ყოვლისა, ყველაფერი დამოკიდებულია ქმედების „ჭეშმარიტ ბუნებასა“ და მის შედეგებზე, სანქციის სიმძიმეზე.⁴³ შვეიცარიის უცხოელ პოლიტიკური თანამდებობის პირთა მიერ უკანონოდ შეძენილი ქონების დაყადაღებისა და უკან დაბრუნების ფედერალური კანონის პირველივე მუხლი ეხება კორუფციის, არაკეთილსინდისიერი ეკონომიკური საქმიანობისა და სხვა მძიმე დანაშაულების ცნებებს.⁴⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომით კი, საქმის სისხლის სამართლისთვის მიკუთვნებისთვის საკმარისია ეჭვი ან სისხლისსამართლებრივი ქმედების ბრალად წაყენება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ხაზგასმით ავტონომიურად განმარტავს სისხლისსამართლებრივი ბრალდების ცნებას. მის წინაპირობას არ წარმოადგენს ფორმალური ბრალდების წარდგენა. აქ გადამწყვეტია ეჭვისა თუ სისხლისსამართლებრივი ქმედების ჩადენისათვის ბრალის წაყენება. ქონების დაბლოკვის წინაპირობა კი, კანონიდან გამომდინარე, ქონების სწორედ წინარე, მძიმე დანაშაულებრივ ქმედებებთან კავშირია. აქედან გამომდინარე, შვეიცარიული კანონის შედარება შესაძლებელია სისხლის სამართლის კოდექსის 70-ე მუხლთან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამოღებას/ჩამორთმევას, ზემოთ აღნიშნული კანონის შესაბამისად, აქვს რეპრესიული ხასიათი. საუბარია ეჭვის საფუძველზე სანქცირებაზე.⁴⁵

ანალოგიურ შედეგამდე მივალთ იმ შემთხვევაში, როდესაც შევაფასებთ უკანონო ქმედების ბუნებასა და მის შედეგებს. კანონის მე-15 მუხ-

42 *Jositsch/Poulikakos*, *ContraLegem* 2019/2, 151.

43 EGMR, *Urt. v. 27.08.1991 – 13057/87*; *Urt. v. 22.05.1990 – 11034/84*; *Urt. v. 28.06.1984 – 7819/77*; *7878/77*; *Urt. v. 21.12.1984 – 8544/79*; *Urt. v. 08.06.1976 – 5100/71*; *5101/71*; *5102/71*; *5354/72*; *5370/72*.

44 *Teichmann*, *NZWiSt* 2023, 207 (208).

45 *Teichmann*, *NZWiSt* 2023, 207 (211); *Teichmann*, *ZfStW* 6/2023, 377 (382).

ლის პირველი აბზაცი ერთმნიშვნელოვნად საუბრობს ქონებრივი ფასეულობების არამართლზომიერ შექენაზე. ამასთანავე, კონკრეტულ ქვეყანაში არსებული კორუფციის ხარისხი გამოყენებულია, როგორც ეჭვის კრიტერიუმი. საბოლოოდ, ჩნდება ჰიპოთეზა, რომ აღნიშნული ქონება, კონკრეტულ ქვეყანაში, კრიმინალური წარმომავლობისაა. ამას გარდა, შედეგებს უდავოდ აქვთ როგორც დამაშინებელი, ისე შურისმაძიებელი ხასიათი. განსაკუთრებით კი, მათ ხელეწიფებათ გარკვეული ქვეყის, მოქმედებისა თუ უმოქმედობის, იძულება. არც სანქციის ნაირსახეობისა და სიმძიმის შეფასებას მივყავართ სხვა შედეგამდე. და ბოლოს, ქონებრივი ფასეულობების ამოღება/ჩამორთმევა უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც უკიდურესი ზომა. აღნიშნული სანქცია იწვევს კონკრეტული პირის საკუთრების უფლების სრულად დაკარგვას/ჩამორთმევას. ამდენად, შეუძლებელია, რომ საკუთრების უფლებაში ჩარევა დაკვალიფიცირდეს, როგორც მხოლოდ საპროცესო, ეჭვზე დაფუძნებული, კონკრეტული ქონების დროებითი უზრუნველყოფა, კონკრეტული პირების თანხმობის გარეშე. მხოლოდ დროებითი საპროცესო ჩარევა, როგორც წესი, დასაშვები იქნებოდა. თუმცა, კანონი მხოლოდ ასეთ ჩარევას არ იწვევს. ხდება მტკიცების ტვირთის შებრუნება. როგორც წესი, სისხლის სამართლის საქმის „ფიგურანტი პირები“ არ არიან ვალდებული, გააქარწყლონ მათ მიმართ არსებული ეჭვი და მოიყვანონ გამამართლებელი გარემოებები. მტკიცების ტვირთის შებრუნება კი ეწინააღმდეგება უდანაშაულობის პრეზუმციას.⁴⁶

საქმეზე ბომერი გერმანიის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სახეზეა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უდანაშაულობის პრეზუმციის დარღვევა, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო გადაწყვეტილება შეიცავს გარკვეულ შეფასებებს ჯერ კიდევ გაუსამართლებელი პირის ბრალზე.⁴⁷ თითქმის შეუძლებელია ქონების იმგვარი ამოღება/კონფისკაცია, რომელიც ეფუძნება საზღვარგარეთ დანაშაულის საგარაუდო ჩადენას, ისე, რომ ეს არ აღმოჩნდეს სისხლის სამართლებრივი ბრალის დადგენის შეფასების სფეროში.⁴⁸

46 *Teichmann*, NZWiSt 2023, 207 (211); *Teichmann*, ZfStW, 6/2023, 377 (382).

47 EGMR, Urt. v. 15.11.2001 – 37568/97.

48 *Teichmann*, NZWiSt 2023, 207 (211); *Teichmann*, ZfStW 6/2023, 377 (382).

4. შუალედური დასკვნა

შეჯამების სახით, შეიძლება აღინიშნოს, რომ, ათი ან მეტი წლით, ქონების დაყადაღება/დაბლოკვა ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის დებულებებს. მტკიცების ტვირთის შებრუნება კი ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევა კი მეტყველებს გერმანიაში ან საქართველოში მსგავსი რეგულაციის დანერგვის შეუძლებლობაზე. ავტორი განსაკუთრებით სვამს კითხვას, თუ როგორ არის შესაძლებელი კონკრეტული ქონების კონფისკაციის თავიდან აცილება, როდესაც პირებს არ ეძლევათ კონკრეტულ საკითხზე აზრის გამოხატვის შესაძლებლობა (*nemo tenetur*-ის პრინციპი)? და ბოლოს, ზემოთ ხსენებული შვეიცარიული კანონი არ წარმოადგენს ფულის გათეთრებასა და კორუფციასთან ბრძოლის ეფექტურ საშუალებას.

VI. In rem მოდელები, როგორც შესაძლო ალტერნატივები

შვეიცარიული კანონის წარუმატებლობა განპირობებულია, სხვა ხარვეზებთან ერთად, მისი პერსონალური კონტექსტით. აღნიშნული კანონით არასისხლისსამართლებრივ საქმეზე დაფუძნებული კონფისკაცია ყოველთვის უკავშირდება პოლიტიკური თანამდებობის პირს თუ მასთან დაახლოებულ პირს. შესაძლო ალტერნატიული მოდელი შეიძლება იყოს *in rem*-ის გამოყენება.

In rem მოდელები განსაკუთრებით ხელსაყრელია იმ ქონების მიმართ, რომელიც არის იურიდიული პირის თუ გაერთიანების ხელში და ვერ შეერაცხება რომელიმე ფიზიკურ პირს. ერთი მხრივ, ეს ქონება ხშირად არ უკავშირდება გარკვეული ქმედების ჩადენის ეჭვს.⁴⁹ მეორე მხრივ, დღის წესრიგიდან მოიხსნებოდა *nemo tenetur*-ის პრინციპის დარღვევის საკითხი. ასევე გამოირიცხებოდა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამარ-

49 *Wegner/Ladwig/Zimmermann/El-Ghazi*, *Kriminalpolitische Zeitschrift*, 6/2023.

თლოში საჩივრის წარდგენაც.⁵⁰

აქედან გამომდინარეობს ის, რომ *in rem* წარმოებები დასაშვებია მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში. განსაკუთრებით, იმ ქონების მიმართ, რომელიც არ მიეკუთვნება არცერთ ფიზიკურ პირს.

VII. პრაქტიკული შეფასება

პრაქტიკული თვალსაზრისით, გასათვალისწინებელია ის, რომ ჭკვიანი დამნაშავე ქონების დასამალად აუცილებლად ირჩევს ისეთ ქვეყანას, რომელშიც არ მოქმედებს ქონების კონფისკაციის არასისხლისსამართლებრივი მექანიზმი. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება გადაინაცვლებს ხოლმე სწორედ ისეთ ქვეყნებში, რომლებშიც დამნაშავეს არ ექნება მისი ქონების ჩამორთმევის შიში. ამავდროულად (ჭერ კიდევ), არ არსებობს ფულის გათეთრებასა და კორუფციასთან ბრძოლის ეფექტური მექანიზმები.

VIII. შეჯამება და მომავლის პერსპექტივა

უდანაშაულობის პრეზუმფცია და ბრალის პრინციპი არაკეთილსინდისიერ ეკონომიკურ საქმიანობასთან, ფულის გათეთრებასა და კორუფციასთან ბრძოლის დროსაც უნდა მოქმედებდეს. საქართველო და გერმანია, განსაკუთრებით, უკრაინაში არსებული მდგომარეობის გამო, იმყოფებიან გამონწვევის წინაშე, რამეთუ ხდება პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან არაპროპორციულად მაღალი კორუფციული ხარისხის მქონე ქონების უსაფრთხო აღგილას გადატანა.⁵¹ ერთი შეხედვით, ქონების კონფისკაციის არასისხლისსამართლებრივი მოდელი საკმაოდ მიმზიდველია, თუმცა, მისი ზუსტი ანალიზი ცხადყოფს, რომ საქმე არ გვაქვს კორუფციასა და ფულის გათეთრებასთან ბრძოლის ეფექტურ მეთოდთან. მსგავსი წარმოება ნაკლებად თავსებადია სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტურ პრინციპებთან. ამის საპირწონედ, *in rem* წარმოებები წარმოადგენს შებლუღულად ვარგის საშუალებას.

50 BGE 142 IV 207, 215 E. 8.3.3; BGE 140 II 384, 393 E. 3.3.4.

51 *Teichmann*, Journal für Strafrecht 66/2021, 588.

AKTUELLE TENDENZEN IM BEREICH DER VERMÖGENSDELIKTE – NON-CONVICTION-BASED CONFISCATION OF ASSETS ALS MITTEL ZUR KORRUPTIONSBEKÄMPFUNG

RA Dr. Dr. **Fabian Teichmann**, LL.M.

I. Einleitung

Aufgrund der aktuellen Krise in der Ukraine sehen sich sowohl Georgien als auch deutschsprachige Länder vermehrt mit Vermögenswerten aus dem russischsprachigen Raum konfrontiert. Vermögende Privatpersonen aus Russland und der Ukraine versuchen ihre Vermögenswerte ins Ausland zu transferieren. Georgien und der deutschsprachige Raum gelten als beliebte Ziele. Allerdings ist die Herkunft dieser Vermögenswerte häufig kritisch zu betrachten. Nicht selten stellt sich die Frage, ob die Vermögenswerte allenfalls inkriminiert sein könnten. Dies insbesondere im Hinblick auf die in Russland und der Ukraine nach wie vor hohen Korruptionsraten. Trotz intensiver Bemühungen lässt sich häufig nicht nachweisen, dass die Vermögenswerte tatsächlich inkriminiert sind. Folglich wurde in der Vergangenheit wiederholt die Idee einer sog. Non-Conviction-Based-Confiscation of Assets in den Raum gestellt. Vorliegend wird aufgezeigt, weshalb diese Idee rechtsstaatliche Grenzen überschreiten könnte und somit kein Allheilmittel darstellen dürfte. Aber warum sind Korruption und Geldwäsche überhaupt so schwer zu bekämpfen?

II. Korruption

Es ist weitestgehend unbestritten, dass Korruption überwiegend negative Folgen hat.¹ Folglich wurde am 17. Dezember 1997 die Konvention gegen die

1 *Ades/Tella*, IDS bulletin, 27/1996, 6; *Cooray/Dzhumashev*, Economic Modelling, 74/2018, 207; *Campos/Dimova/Saleh*, Journal of Institutional and Theoretical Economics 172/2016, 521; *d'Agostino/Dunne/Pieroni*, European Journal of Political Economy 43/2016, 71; *Al-Sadig*, Cato Journal 29/2019, 267.

Bestechung ausländischer Amtsträger im internationalen Geschäftsverkehr zur Unterzeichnung aufgelegt. Allerdings prägt die Korruption nach wie vor den Alltag in zahlreichen Ländern.² Es stellt sich somit die Frage, woran das liegt.³ Ein Vergleich ehemaliger UdSSR-Staaten verdeutlicht, dass sich Georgien im Gegensatz zu Russland und der Ukraine außerordentlich positiv entwickelt hat. Im Corruption Perceptions Index von Transparency International (2022) belegt Georgien den Platz 41 von 180. Die Ukraine liegt auf Platz 116 von 180. Russland belegt Platz 137 von 180.⁴ Es ist also nachvollziehbar, warum Personen aus anderen ehemaligen UdSSR Staaten Georgien als sicheren Zielhafen für ihre Vermögenswerte empfinden. Dies insbesondere im Kontext der aktuellen Krise in der Ukraine und allfälligen Bemühungen zur Umgehung von Sanktionen.

Allerdings stellt sich die Frage, warum Korruption in manchen Ländern Osteuropas so schwer zu bekämpfen ist. Ein Blick auf osteuropäische Justizsysteme verdeutlicht, weshalb der Kampf gegen Korruption bisher mehrheitlich erfolglos war. Dies kann anhand der Frage, wie man Richter oder Staatsanwalt in manchen Ländern Osteuropas wird, verdeutlicht werden.⁵ Die nachfolgenden Ausführungen zu osteuropäischen Justizsystemen basieren auf empirischen Untersuchungen des Autors.

Der Weg zum Richteramt beginnt in vielen ehemaligen UdSSR-Staaten, ähnlich wie im Rest der Welt, mit einem Studium der Rechtswissenschaften. Wer gute Noten möchte, muss jedoch häufig Bestechungsgelder bezahlen. Dies gilt insbesondere in den nach wie vor als besonders korrupt bekannten Ländern der ehemaligen UdSSR. An das Studium der Rechtswissenschaften schließt sich auch in den ehemaligen UdSSR-Staaten das Pendant zum deutschen Referendariat an. Allerdings werden geeignete Plätze bevorzugt über Kontakte vergeben.

2 *Teichmann/Falker/Sergi*, Energy Research & Social Science (08/2020), 66; *Teichmann/Falker/Sergi*, Resources Policy, 12/2020, 69; *Teichmann*, Journal of Financial Crime, 2018, 25(4), 1105-1110; *Teichmann/Falker/Sergi*, The Extractive Industries and Society, 2020, 7(3), 1022-1028; *Teichmann*, Journal of Financial Crime, 2019, 26(3), 746-752.

3 *Teichmann/Falker*, Journal for Labour and Social Affairs in Eastern Europe, 2020, 23(1), 91-108.

4 <https://www.transparency.org/en/cpi/2022> (zuletzt abgerufen am 8.12.2023).

5 *Teichmann*, ZfStW 6/2023, 377.

Bei diesen Kontakten bedankt man sich in der Regel mit „Geschenken“.⁶ Die anschließende Prüfung zur Qualifikation als Richter ist in vielen Ländern ohne Bestechungsgeld nur schwer zu bestehen. Auch wer die Prüfung bestanden hat, wird nicht automatisch zum Richter. In den meisten Ländern ist hierfür die Zuteilung eines Richterpostens erforderlich. An der Zuteilung eines Richterpostens richtet sich das zu bezahlende Bestechungsgeld nach dem erwarteten Verdienst. Wer Handelsrichter in einer Großstadt werden möchte, muss in der Regel tiefer in die Tasche greifen als ein Strafrichter in der Provinz. Die Unterschiede in der Höhe der Bestechungsgelder beruhen auf der Annahme, dass ein Handelsrichter in einer Großstadt in Zukunft höhere Bestechungsgelder erheben können wird als ein Strafrichter in der Provinz. In der Vergangenheit ist es vorgekommen, dass Richter, welche diesen Weg erfolgreich absolviert hatten, im Rahmen von Justizreformen neu geprüft wurden. Häufig mussten diese Richter für den Verbleib im Amt ebenfalls Bestechungsgelder bezahlen. Der beschriebene Mechanismus führt zu einer sogenannten *Adverse Selection*. Ehrliche Bürger, welche Korruption entschieden ablehnen, dürfen sich in den wenigsten Fällen für eine Karriere als Richter entscheiden. Sollten sie sich dennoch für eine derartige Karriere entscheiden, ist nicht davon auszugehen, dass sie sämtliche Hürden ohne die Bezahlung von Bestechungsgeld nehmen können. Wer hingegen grundsätzlich kriminell ist und Korruption offen gegenübersteht, dürfte den beschriebenen Weg als durchaus attraktiv empfinden. Das führt dazu, dass sich primär Personen, welche Korruption offen gegenüberstehen, für den Richterposten entscheiden dürften. Die oben erwähnte erneute Prüfung im Rahmen von Justizreformen führt außerdem dazu, dass auch Richter, welche Korruption inzwischen ablehnen, aus dem Amt entfernt werden. Nur wer weiterhin Bestechungsgelder erhebt, ist auch in der Lage, die für die Abwendung des Verlustes des Richterpostens zu leistende Zahlung vorzunehmen.⁷

Die Karriere von Staatsanwälten ist in vielen Fällen mit jener von Richter vergleichbar. Allerdings fehlt Staatsanwälten häufig die richterliche „Unabhängigkeit“. Staatsanwälte müssen ihre Bestechungsgelder häufig mit Vorgesetzten teilen. Ein Staatsanwalt gibt einen Teil seines Bestechungsgeldes an den Ober-

6 *Teichmann, ZfJStW 6/2023, 377.*

7 *Teichmann, Die Polizei 11, 2021, 501; Teichmann, ZfJStW 6/2023, 377.*

staatsanwalt ab. Dieser behält einen Teil der erhaltenen Bestechungsgelder für sich und leitet den anderen Teil an die Generalstaatsanwaltschaft weiter. Dies führt zu einer gewissen Gruppendynamik. Wer sich weigert, bei diesem System mitzuwirken, wird allenfalls selbst zum Beschuldigten in einem Strafverfahren.⁸

Die beschriebene Korruptionsthematik ist in vielen Ländern allgegenwärtig. Da das Justizsystem selbst von Korruption befallen ist, erscheinen strafrechtliche Ermittlungen wegen Korruptionsdelikten häufig nicht besonders aussichtsreich.⁹ Daher wurde in der Vergangenheit regelmäßig argumentiert, dass man Korruption (zumindest auch) über den Geldwäschetatbestand bekämpfen könnte. Diese Überlegung beruht auf der Annahme, dass sich Verbrechen nicht lohnen dürfen. Straftäter sollen mit dem Geld nichts anfangen können. Allerdings bestehen Zweifel daran, ob dies realistisch ist. Letztendlich kann der Geldwäschetatbestand nur dann zur Korruptionsbekämpfung beitragen, wenn Täter die Geldwäschepräventionsmaßnahmen nicht ohne weiteres umgehen können. Daher stellt sich die Frage, wie leicht Geld zu waschen ist. Sofern die Geldwäschepräventionsmaßnahmen leicht umgangen werden können, ist davon auszugehen, dass der Geldwäschetatbestand die häufig im Ausland ansässigen Täter nicht abzuschrecken vermag.¹⁰

III. Geldwäsche

Für die Beurteilung der Frage, wie leicht Geld zu waschen ist, muss stets die Vortat als Ausgangspunkt dienen.¹¹ Die nachfolgenden Ausführungen zu Methoden der Geldwäsche – also den Vorgehensweisen vermeintlich intelligenter Täter – basieren ebenfalls auf empirischen Untersuchungen des Autors.¹²

8 *Teichmann/Wittmann*, Journal of Financial Crime, 2023, 30(2), 512-521.

9 *Teichmann/Boticiu/Sergi*, Journal of Economic Criminology, 2023, 2.

10 *Teichmann*, ZfStW 6/2023, 377 (379).

11 *Teichmann*, ZfStW 6/2023, 377 (379).

12 *Teichmann*, Journal of money laundering control, 2017, 20(2), 130-137; *Teichmann*, Crime, Law and Social Change, 2020, 73, 237-247; *Teichmann*, Journal of Financial Regulation and Compliance, 2019, 27(1), 2-12.

Aus Täterperspektive ist besonders relevant, aus welcher Straftat die Vermögenswerte stammen. Wer mit Betäubungsmitteln handelt, hat unter Umständen andere Bedürfnisse als ein korrupter Amtsträger. Im nächsten Schritt stellt sich die Frage, ob es sich um Bargeld oder um sogenannte „Bankable Assets“ handelt.¹³ Wer größere Summen Bargeld hat, steht vor anderen Herausforderungen als ein Täter, welcher über Bankguthaben oder Kryptowährungen in gleicher Höhe verfügt. Kryptowährungen erfreuen sich aufgrund ihrer Anonymität großer Beliebtheit bei Geldwäschern und Terrorismusfinanzierern.¹⁴

Zudem muss berücksichtigt werden, ob die Einkünfte wiederkehrend sind. Wer einmalig ein Bestechungsgeld in der Höhe von EUR 500.000,00 erhebt, steht vor anderen Herausforderungen als ein Amtsträger, welcher monatlich EUR 500.000,00 in Form von Bestechungsgeldern erhält.¹⁵ Während der einmalige bestochene Amtsträger die erhaltenen EUR 500.000,00 für die Finanzierung seines alltäglichen Lebensunterhalts verwenden kann, möchte ein Amtsträger, der jährlich EUR 6 Mio. erhält, seine Vermögenswerte mit hoher Wahrscheinlichkeit investieren. Ferner spielt aus Täterperspektive eine wesentliche Rolle, wo sich die Vermögenswerte befinden. Wer über Bankguthaben in der Schweiz verfügt, hat eine andere Ausgangslage als ein Täter, der über den gleichen Betrag in bar in Moskau verfügt. Auch ist wesentlich, ob die Vermögenswerte bereits über eine Legende verfügen. Bankguthaben, welches als Ertrag aus M&A Transaktionen deklariert wurde, dürfte leichter zu verwenden sein als Bargeld, das sich in Südafrika befindet. Im Rahmen der erwähnten empirischen Untersuchungen wurden häufige Ausgangslagen identifiziert. Täter verfügen häufig sowohl über Bargeld als auch über Bankguthaben. Zudem haben Geldwäscher oft wiederkehrende Einkünfte. Dies lässt sich plausibel erklären. Zunächst ist davon auszugehen, dass sich die meisten Amtsträger bevorzugt mit Bargeld bestechen lassen. Dies dürfte

13 *Teichmann*, Jusletter v. 14.11.2022, abrufbar unter https://jusletter.weblaw.ch/jusissues/2022/1132/unterschaltzte-geldwa_9a6cd8a79c.html__ONCE&login=false (zuletzt abgerufen am 8.12.2023).

14 *Teichmann*, *Journal of Money Laundering Control*, 2018, 21(4), 513-519; *Teichmann/Falker*, *Journal of Money Laundering Control*, 2021, 24(4), 775-788; *Teichmann/Falker*, *Artificial Intelligence: Anthropogenic Nature vs. Social Origin*, 2020, 500-511; *Teichmann/Falker*, *Journal of Money Laundering Control*, 2020, 24(1), 91-101.

15 *Teichmann/Falker*, *Journal of Money Laundering Control* 23/2020, 805.

jedoch nicht immer möglich sein. Gedacht sei exemplarisch an multinationale Unternehmen als Gegenpartei. Auch erscheint es naheliegend, dass Geldwäscher häufig wiederkehrende Einkünfte haben. Wer sich einmal bestechen lässt, lässt sich allenfalls auch weitere Male bestechen.¹⁶

Am Beispiel der Immobilienbranche lässt sich verdeutlichen, wie leicht Geld zu waschen ist.¹⁷ Wer inkriminierte Vermögenswerte in der Immobilienbranche waschen möchte, erwirbt in der Regel zunächst eine geeignete Liegenschaft. Dies selbstverständlich nicht in eigenem Namen. Vielmehr nutzen Geldwäscher Strohleute und Strukturen zur Verschleierung der eigentlichen wirtschaftlichen Berechtigung.¹⁸ Beim Erwerb der Liegenschaft wird darauf geachtet, dass es sich um Liegenschaften ohne direkte Vergleichsobjekte handelt.¹⁹ Geldwäscher meiden zudem Liegenschaften mit medialer Aufmerksamkeit.²⁰ Im nächsten Schritt wird ein Teil des Kaufpreises und der Sanierungskosten mit Bargeld bezahlt. Denkbar wäre beispielsweise eine Aufteilung im Verhältnis 70 % (offiziell per Überweisung) und 30 % (bar). Selbstverständlich handeln Geldwäscher dabei nicht eigenem Namen. Sie setzen Strohleute ein. Ferner vermischen sie, sofern möglich, inkriminierte und nicht inkriminierte Vermögenswerte miteinander. Dies führt dazu, dass die Geldwäscher selbst faktisch kaum belangt werden können. Das Entdeckungsrisiko ist ohnehin gering. Im Zweifelsfall wird der Strohhalm belangt.²¹

Selbstverständlich ist die Immobilienbranche nicht der einzige Sektor, in welchem sich Geld verhältnismässig leicht waschen lässt. Andere Beispiele umfassen den Handel mit Kunst, Gold²², Antiquitäten²³, Diamanten und Schmuck²⁴. Auch die Erbringung von Beratungsdienstleistungen²⁵ sowie Mergers

16 *Teichmann*, ZfiStW 6/2023, 377 (379).

17 *Teichmann*, Methoden der Geldwäscherei. 2. Aufl. 2021, 149.

18 *Teichmann*, Journal of Money Laundering Control, 2023, 26(2), 418-432.

19 *Teichmann*, Journal of Money Laundering Control, 21(3), 370-375.

20 *Teichmann/Sergi*, Money Laundering, Terrorism Financing and Sanctions, Emerald Publishing Limited, 2018; *Teichmann*, ZfiStW 6/2023, 377 (379 f.).

21 *Teichmann*, Journal of Money Laundering Control, 2023, 26(2), 337-348; *Teichmann*, ZfiStW 6/2023, 377 (380).

22 *Teichmann/Falker*, Journal of Money Laundering Control, 2023, 26(3), 509-522.

23 *Teichmann*, Journal of Money Laundering Control, 2019, 22(3), 410-416.

24 *Teichmann*, Journal of Money Laundering Control, 2020, 23(3), 691-697.

25 *Teichmann*, Journal of Money Laundering Control, 2019, 22(1), 32-37; *Teichmann/*

& Acquisitions sind bei Geldwäschern beliebt. Ferner helfen Offshore-Banken²⁶ sowie Wechselstuben²⁷ und Hawala Banker bei der Verschleierung der Herkunft der Vermögenswerte.²⁸ All diese Methoden haben gemeinsam, dass das Entdeckungsrisiko verhältnismäßig gering ist.²⁹

Dies hat dazu geführt, dass der Geldwäschetatbestand in der Vergangenheit wiederholt als Sackgasse bezeichnet wurde. Es ist davon auszugehen, dass der Geldwäschetatbestand kein geeignetes Mittel zur Bekämpfung von Korruption darstellt. Das liegt daran, dass Geld einerseits nach wie vor mit geringem Entdeckungsrisiko zu waschen ist. Ferner wird im Zweifelsfall lediglich der Strohmann belangt.³⁰ Der Zusammenhang zwischen (vermeintlich inkriminierten) Vermögenswerten und den ihnen zugrundeliegenden Vortaten lässt sich häufig nicht beweisen. Folglich haben die Hintermänner nicht mit einer Strafverfolgung zu rechnen. Dies dürfte insbesondere bei Wirtschaftsstraftätern, die eine Kosten-Nutzen-Abwägung vornehmen, eine wesentliche Rolle spielen.³¹

IV. Non-Conviction-Based Confiscation of Assets

Da sich der Zusammenhang zwischen Vermögenswerten und allfälligen Vortaten häufig nicht beweisen lässt, wurde in der Vergangenheit wiederholt über die Möglichkeit einer sogenannten Non-Conviction-Based Confiscation of Assets gesprochen. Ein prominentes Beispiel hierfür stellt das schweizerische Bundesgesetz über die Sperrung und die Rückerstattung unrechtmäßig erworbener Vermögenswerte ausländischer politisch exponierter Personen (SRVG) dar. Dabei

Falker, Journal of Financial Regulation and Compliance, 2020, 28(3), 485-500.

²⁶ *Teichmann/Falker*, Journal of Financial Regulation and Compliance, 2020, 28(3), 337-352; *Teichmann*, Journal of Money Laundering Control, 2023, 26(2), 337-348; *Teichmann/Wittmann*, Journal of Money Laundering Control, 2022, 26(4), 709-718.

²⁷ *Teichmann/Falker*, Journal of Money Laundering Control, 2023, 26(3), 445-461.

²⁸ *Teichmann/Wittmann*, Journal of Money Laundering Control (2022), 26(3), 665-677; *Teichmann/Falker*, Journal of Financial Regulation and Compliance, 2021, 29(1), 1-14.

²⁹ *Teichmann*, Journal of Money Laundering Control, 2020, 23(1), 90-95.

³⁰ *Teichmann*, ZfStW 6/2023, 377 (380).

³¹ *Teichmann*, Journal of Money Laundering Control, 2020, 23(2), 309-314.

handelt es sich um ein Gesetz aus dem Jahr 2015, welches als Grundlage für die Sperrung, Einziehung und Rückerstattung von sogenannten „Potentatengeldern“ geschaffen wurde. Die Schweiz wollte damit ihren eigenen Finanzplatz vor Missbrauch schützen. Ursprünglich stand das Rechtshilfehindernis der Verjährung im Vordergrund. Man hatte festgestellt, dass das Institut der Rechtshilfe im Falle politischer Umwälzungen regelmäßig an seine Grenzen stößt. Folglich ist die Anwendung des SRVG subsidiär zur internationalen Rechtshilfe in Strafsachen.³²

Gemäß Artikel 1 SRVG regelt dieses Gesetz die Sperrung, die Einziehung und die Rückerstattung von Vermögenswerten ausländischer politisch exponierter Personen bzw. ihnen nahestehender Personen, welche vermutlich durch Korruption, ungetreue Geschäftsbesorgung oder andere Verbrechen erworben wurden.³³ Daraus ergibt sich der starke personenbezogene Fokus des Gesetzes. Das Gesetz knüpft stets an der Person und nicht an den Vermögenswerten selbst an. Es handelt sich somit nicht um *in rem*-Maßnahmen. In Artikel 2 SRVG werden die Begriffe der ausländischen politisch exponierten Personen, der ihnen nahestehenden Personen und der Vermögenswerte näher definiert. Als nahestehende Personen gelten u.a. Familienmitglieder, Freunde und Geschäftspartner. Es werden sowohl immobile als auch mobile Vermögenswerte erfasst.

Aus Artikel 3 SRVG ergeben sich die für eine Sperrung im Hinblick auf eine Rechtshilfезusammenarbeit notwendigen Voraussetzungen. Gemäß Artikel 3 Abs. 1 lit.a SRVG muss eine ausländisch politisch exponierte Person bzw. ihr nahestehende Person Verfügungsmacht haben (lit.a) oder wirtschaftlich berechtigt sein (lit.b). Dies gilt selbstverständlich auch bei einer indirekten wirtschaftlichen Berechtigung über eine juristische Person (lit.c). Die Sperrung ist zudem nur zulässig, wenn nachfolgende Voraussetzungen kumulativ erfolgt sind: Zunächst muss ein Machtverlust der Regierung oder gewisser Regierungsmitglieder im Herkunftsstaat eingetreten sein oder sich als unaufhaltsam abzeichnen. Ferner muss der Korruptionsgrad im Herkunftsgrad notorisch hoch sein. Zudem müssen die Vermögenswerte wahrscheinlich durch Korruption, ungetreue

32 *Teichmann*, Journal of money laundering control 20/2017, 130; *Teichmann*, ZfStW 6/2023, 377 (380).

33 Artikel 1 SRVG; *Teichmann*, ZfStW 6/2023, 377 (380).

Geschäftsbesorgungen oder andere Verbrechen erworben worden sein. Die Wahrung der Schweizer Interessen muss die Sperrung erfordern. Ergänzend wird die Haltung der wichtigsten Partnerländer und internationaler Organisationen berücksichtigt (außer bei Gefahr in Verzug).³⁴

In Artikel 4 Abs. 3 SRVG ist hingegen die Sperrung bei Scheitern einer Rechtshilfezusammenarbeit geregelt. Dies ist insbesondere dann der Fall, wenn die Zusammenarbeit mit dem Herkunftsstaat nach erfolgter Einreichung eines Rechtshilfeersuchens ausgeschlossen erscheint. Diese Regelung ist von besonderer Relevanz im Kontext des aktuellen Konflikts in der Ukraine. Die Dauer der Sperrung der Vermögenswerte ist grundsätzlich auf vier Jahre befristet.³⁵ Allerdings ist eine Verlängerung um jeweils ein Jahr möglich, sofern der Herkunftsstaat die Rechtshilfezusammenarbeit wünscht. Die maximale Sperrungsdauer beträgt zehn Jahre. In Ausnahmefällen ist jedoch eine längere Sperrung möglich. Dies ist insbesondere in Verfahren nach Artikel 4 SRVG der Fall. In diesen Fällen kann die Sperrungsdauer auf bis zu 20 Jahre angehoben werden.³⁶

Das SRVG enthält zudem in Artikel 15 Abs. 1 eine sogenannte Vermutung der Unrechtmäßigkeit. Demnach gilt die Vermutung, dass Vermögenswerte unrechtmäßig erworben wurden, wenn das Vermögen der Person, welche die Verfügungsmacht über die Vermögenswerte hat oder an diesen wirtschaftlich berechtigt ist, begünstigt durch die Ausübung des öffentlichen Amtes durch die ausländische politisch exponierte Person außerordentlich stark gestiegen ist (lit.a) und der Korruptionsgrad des Herkunftsstaats oder der betreffenden ausländischen politisch exponierten Person während deren Amtszeit notorisch hoch war (lit.b). Gemäß Artikel 15 Abs. 2 SRVG ist der Vermögensanstieg außerordentlich stark, wenn ein großes, nicht durch die allgemeine Lebenserfahrung und den Kontext des Landes zu erklärendes Missverhältnis zwischen dem rechtmäßigen Einkommen und dem fraglichen Vermögensanstieg besteht. Die Vermutung wird gemäß Artikel 15 Abs. 3 SRVG umgestoßen, wenn mit überwiegender Wahrscheinlichkeit nachgewiesen werden kann, dass Vermögenswerte rechtmäßig erworben wurden.

34 *Teichmann, ZfStW 6/2023, 377 (380).*

35 Artikel 5 Abs. 1 SRVG.

36 *Teichmann, ZfStW 6/2023, 377 (381).*

Es liegt somit eine Umkehr der Beweislast vor.³⁷

V. Gefahr der Überschreitung rechtsstaatlicher Grenzen

1. Schweizerische Bundesverfassung

Das SRVG sieht schwerwiegende Eingriffe in die Eigentumsgarantie im Sinne von Artikel 26 der Schweizerischen Bundesverfassung (BV) vor. Die Voraussetzungen für eine derartige Einschränkung von Grundrechten sind in Artikel 36 BV geregelt. Demnach müssen eine gesetzliche Grundlage, ein öffentliches Interesse, Verhältnismäßigkeit sowie die Wahrung des unantastbaren Kerngehalts vorliegen. Diese Voraussetzungen erfüllt das SRVG. Folglich liegt kein Verstoß gegen die Schweizerische Bundesverfassung vor.³⁸

2. Artikel 6 Abs. 1 EMRK

Artikel 6 Abs. 1 EMRK sieht ein Recht auf ein faires Verfahren innert angemessener Frist vor. Nun könnte man argumentieren, dass das SRVG keine gerichtlichen Verfahren, sondern Verwaltungsverfahren betreffe. Allerdings wäre auch in diesem Fall eine Verfahrensdauer von fünf Jahren gerade noch als angemessen zu betrachten.³⁹ Es muss berücksichtigt werden, dass der EGMR Verfahrensdauern von mehr als sieben Jahren fast ausnahmslos als unangemessen betrachtet hat.⁴⁰ Ferner ist zwischen beschuldigten und nicht beschuldigten Personen zu differenzieren. Naturgemäß handelt es sich bei der Non-Conviction-Based Confiscation of Assets stets um nicht beschuldigte Personen. Folglich sind maximal zwei Drittel der sonst üblichen Verfahrensdauer als angemessen zu betrachten. Verfahrensdauern von bis zu zehn Jahren verstoßen gegen Artikel 6 Abs. 1 EMRK.⁴¹

37 *Teichmann, ZfStW 6/2023, 377 (381).*

38 *Teichmann, NZWiSt 2023, 207.*

39 EGMR, Ur. v. 15.07.1982 – 8130/78.

40 EGMR, Entsch. v. 27.11.2012 – 46601/07.

41 *Teichmann, ZfStW 6/2023, 377 (381).*

3. Artikel 6 Abs. 2 EMRK

Zudem dürfte die in Artikel 15 Abs. 3 SRVG vorgesehene Umkehr der Beweislast gegen Artikel 6 Abs. 2 EMRK verstoßen. Zwar könnte man argumentieren, dass der Verlust der Eigentumsrechte eine zivilrechtliche und keine strafrechtliche Angelegenheit darstelle und Artikel 6 Abs. 2 EMRK folglich nicht zur Anwendung gelange. Damit läge auch kein Verstoß vor.⁴² Allerdings handelt es sich bei der Sperrung der Vermögenswerte um eine präventive Strafmaßnahme, welche mit einer strafprozessualen Zwangsmaßnahme vergleichbar ist. Gemäß der ständigen Rechtsprechung des EGMR ist nicht die formelle Verankerung im Zivil-, Straf- oder Verwaltungsrecht maßgebend. Vielmehr kommt es auf die „wahre Natur“ der Tathandlung sowie deren Konsequenzen und die Schwere der Sanktion an.⁴³ Das SRVG nimmt in Artikel 1 ausdrücklich auf Korruption, ungetreue Geschäftsbesorgung und andere Verbrechen Bezug.⁴⁴ Den betroffenen Personen wird strafbares Verhalten unterstellt. Aus Sicht des EGMR genügt somit der Verdacht oder die Anschuldigung einer strafrechtlichen Handlung. Insbesondere nimmt der EGMR eine autonome Auslegung der strafrechtlichen Anklage vor. Es wird keine formelle Anklageerhebung vorausgesetzt. Entscheidend ist vielmehr, ob der Verdacht bzw. die Anschuldigung einer strafrechtlichen Handlung im Raum steht. In casu werden Verbrechen als Vortaten genannt. Das SRVG ist somit mit einer Einziehung im Sinne von Artikel 70 StGB vergleichbar. Eine mögliche Gegenargumentation wäre, dass präventive Einziehungen nicht als strafrechtliche Anklagen gelten. Allerdings ist zu berücksichtigen, dass die Einziehungen gemäß SRVG repressive Absichten verfolgen. Es handelt sich um Verdachtstrafen.⁴⁵

Zu einem vergleichbaren Ergebnis kommt man, wenn man die Natur der Zuwiderhandlung und ihrer Folgen beurteilt. Artikel 15 Abs. 1 SRVG spricht explizit vom unrechtmäßigen Erwerb der Vermögenswerte. Zudem wird als Verdachtskriterium der Korruptionsgrad des Herkunftsstaats herbeigezogen.

42 *Jositsch/Poulikakos*, *ContraLegem* 2019/2, 151.

43 EGMR, Urt. v. 27.08.1991 – 13057/87; Urt. v. 22.05.1990 – 11034/84; Urt. v. 28.06.1984 – 7819/77; 7878/77; Urt. v. 21.12.1984 – 8544/79; Urt. v. 08.06.1976 – 5100/71; 5101/71; 5102/71; 5354/72; 5370/72.

44 *Teichmann*, *NZWiSt* 2023, 207 (208).

45 *Teichmann*, *NZWiSt* 2023, 207 (211); *Teichmann*, *ZfStW* 6/2023, 377 (382).

Damit wird letztendlich die Hypothese in den Raum gestellt, dass die betroffenen Vermögenswerte aus Straftatbeständen im Herkunftsland stammen. Ferner weisen die Folgen zweifelsohne sowohl abschreckenden als auch vergeltenden Charakter auf. Sie sind insbesondere geeignet, ein Verhalten - als ein Tun oder Unterlassen - zu erzwingen. Zu einem anderen Ergebnis kommt man auch nicht bei der Beurteilung der Art und Schwere der Sanktion. Schließlich ist die Einziehung von Vermögenswerten als erhebliche Sanktion zu qualifizieren. Insbesondere führt diese Sanktion zum vollständigen Verlust der Eigentumsrechte der betroffenen Person. Ferner sieht das SRVG die definitive Einziehung der Vermögenswerte vor. Daher kann der Eingriff in das Vermögen der Betroffenen auch nicht als lediglich prozessuale, also auf Verdacht beruhende vorläufige Sicherstellung von Vermögenswerten ohne Einverständnis der betroffenen Personen, bewerten werden. Ein lediglich prozessualer Eingriff wäre allenfalls zulässig. Allerdings liegt ein solche in casu nicht vor. Zudem kommt es zu einer Umkehr der Beweislast. Die Betroffenen sind im Strafverfahren grundsätzlich nicht verpflichtet, im Hinblick auf deliktische Verdachtsmomente zu ihrer Entlastung beizutragen. Die vorgesehene Umkehr der Beweislast steht in stoßendem Widerspruch zur Unschuldsvermutung.⁴⁶

In *Böhmer vs. Deutschland* hat der EGMR ausdrücklich festgehalten, dass ein Verstoß gegen die in Artikel 6 Abs. 2 EMRK verankerte Unschuldsvermutung vorliegt, sofern eine gerichtliche Entscheidung Aussagen zur Schuld einer noch nicht verurteilten Person enthält.⁴⁷ Es dürfte kaum möglich sein, die Einziehung von Vermögenswerten, gestützt auf mutmaßliche Verbrechen im Ausland, vorzunehmen, ohne in den Anwendungsbereich einer strafrechtlichen Schuldfeststellung zu geraten.⁴⁸

4. Zwischenfazit

Zusammenfassend lässt sich festhalten, dass die Versperrung von Vermögenswerten für zehn Jahre oder mehr gegen Artikel 6 Abs. 1 EMRK verstößt. Die Umkehr der Beweislast verstößt zudem gegen die in Artikel 6 Abs. 2 EMRK verankerte

46 *Teichmann*, NZWiSt 2023, 207 (211); *Teichmann*, ZfISW, 6/2023, 377 (382).

47 EGMR, Urt. v. 15.11.2001 – 37568/97.

48 *Teichmann*, NZWiSt 2023, 207 (211); *Teichmann*, ZfISW 6/2023, 377 (382).

Unschuldsumvermutung. Die EMRK-Verstöße sprechen gegen die Umsetzung einer vergleichbaren Regelung in Deutschland oder Georgien. Insbesondere stellt sich aus Sicht des Autors die Frage, wie die Einziehung der Vermögenswerte verhindert werden könnten, wenn sich die betroffenen Personen nicht zur Sache äußern können bzw. müssten (*nemo tenetur* Prinzip). Folglich dürfte das SRVG keinen geeigneten Lösungsansatz zur Bekämpfung von Geldwäsche und Korruption darstellen.

VI. In rem Ansätze als mögliche Alternativen

Das SRVG scheidet u.a. an seinem personenbezogenen Ansatz. Im Fokus der Non-Conviction-Based Confiscation of Assets steht im Falle des SRVG stets die politisch exponierte Person bzw. mit ihr verbundene Personen. Ein möglicher alternativer Ansatz könnte in der Anwendung von in rem Lösungsvorschlägen bestehen.

In rem Ansätze bieten entscheidende Vorteile mit Blick auf Vermögenswerte, welche in Händen von juristischen Personen oder Personengesellschaften, die keiner natürlichen Person zugerechnet werden können. Diese Vermögenswerte können einerseits häufig nicht mit einem Tatverdacht oder einer bestimmten Tat in Verbindung gebracht werden.⁴⁹ Andererseits dürfte sich hier die Frage des Verstoßes gegen den *nemo tenetur*-Grundsatz nicht stellen. Schließlich dürfte in diesen Fällen auch eine Berufung auf die EMRK ausscheiden.⁵⁰

Daraus folgt, dass in rem Verfahren in einem eng begrenzten Rahmen zulässig sein könnten. Dies insbesondere im Hinblick auf Vermögenswerte, die keiner natürlichen Person zugeordnet werden können.

VII. Praktische Würdigung

Aus praktischer Sicht ist zu berücksichtigen, dass intelligente Täter darauf achten dürften, Länder ohne Non-Conviction-Based Confiscation of Assets Mechanismen

49 *Wegner/Ladwig/Zimmermann/El-Ghazi*, Kriminalpolitische Zeitschrift, 6/2023.
50 BGE 142 IV 207, 215 E. 8.3.3; BGE 140 II 384, 393 E. 3.3.4.

für die Aufbewahrung ihrer inkriminierten Vermögenswerte zu wählen. Somit dürften die erwähnten Mechanismen zu einer Verlagerung der Vermögenswerte in Jurisdiktionen, welche keine Non-Conviction-Based Confiscation of Assets vorsehen, führen. Hingegen ist (zumindest noch) nicht von einer effektiveren Bekämpfung der Geldwäsche und der Korruption auszugehen.

VIII. Zusammenfassung und Ausblick

Die Unschuldsvermutung sowie das Schuldprinzip müssen auch bei der Bekämpfung von ungetreuer Geschäftsbesorgung, Geldwäsche und Korruption gelten. Georgien und Deutschland stehen insbesondere im Kontext der aktuellen Krise in der Ukraine vor der Herausforderung, dass Vermögenswerte aus Ländern der ehemaligen UdSSR mit notorisch hohen Korruptionsgraden in sichere Häfen transferiert werden sollen.⁵¹ Folglich erscheint der Ansatz einer Non-Conviction-Based Confiscation of Assets auf den ersten Blick verlockend. Bei einer genaueren Betrachtung kommt man jedoch zum Ergebnis, dass es sich dabei nicht um einen geeigneten Ansatz zur Bekämpfung von Korruption und Geldwäsche handeln dürfte. Zumindest in personam Verfahren dürften aufgrund rechtsstaatlicher Bedenken ausscheiden. Hingegen stellen in rem Verfahren in einem begrenzten Rahmen einen validen Lösungsansatz dar.

51 *Teichmann*, Journal für Strafrecht 66/2021, 588.

**საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები
ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალში -
ცალკეული შემადგენლობების მოკლე შედარებითი
ანალიზი**

პროფ. დოქტ. ბაჩანა ჯიშკარიანი, საქართველოს უნივერსიტეტი

I. შესავალი

ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მსგავსებაზე, განსაკუთრებით ზოგადი ნაწილის თვალსაზრისით, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში უკვე ბევრჯერ თქმულა,¹ შესაბამისად, მოცემული ტექსტის მიზანი არ არის განზოგადებული შედარებების გაკეთება, არამედ, ამ ჯერზე ყურადღება გამახვილდება სისხლის სამართლის კერძო ნაწილზე - საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე. ბუნებრივია, ამ მცირე ნაშრომის ფორმატში, შეუძლებელია მნიშვნელოვანი პრობლემების სიღრმისეული განხილვა, მაგრამ ვინაიდან ამ მიმართულებით შედარებითსამართლებრივი კვლევები ახალია ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში, ეს იქნება ერთი დამატებითი ნაბიჯი, რათა ხელი შეეწყოს უკეთესი პრაქტიკის ჩამოყალიბებას სხვადასხვა ნაშრომის თუ თუნდაც სასამართლო გადაწყვეტილების შედარების მეშვეობით. ქართულ-გერმანული სამართლის დიალოგის არსიც სწორედ ამაში მდგომარეობს. კონკრეტულად, ყურადღებას გაგამახვილებთ ორ დანაშაულზე, ქურდობასა და თაღლითობაზე, როგორც, ასე ვთქვათ, გავრცელებულ „კლასიკურ“ შემადგენლობებზე.

II. ეკონომიკური დანაშაულის ცნებისადმი განსხვავებული მიდგომა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალში

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, ცალკე კარის სახით (მერვე კარი) შეიცავს ეკონომიკურ დანაშაულებს. ანუ, კანონმდებელმა,

1 იხ. მაგ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამ., 2013, 55 და შემდეგი.

სულ მცირე, ცნების დონეზე, ამ ერთ კარში მოაქცია ყველა ეკონომიკური დანაშაული. ეს კარი დაყოფილია თავებად. მასში შედის საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, სამეწარმეო საქმიანობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, დანაშაულები საფინანსო საქმიანობის სფეროში და ა.შ. გერმანული სისხლის სამართლის კოდექსი კი მსგავს, ერთ თავში ან კარში ეკონომიკური დანაშაულების ასახვას არ იცნობს. ეს გამონგველია თუნდაც იმ თავისებურებით, რომ გერმანულ სისხლის სამართალში დანაშაულები მოქცეულია არა მხოლოდ ერთ კანონში, სისხლის სამართლის კოდექსში, არამედ სპეციალურ კანონებშიც სისხლის სამართლის მიღმა (ე.წ. დამატებითი, პარალელური სისხლის სამართალი).² ქართული სისხლის სამართლისთვის კი მსგავსი მიდგომა უცხოა და დანაშაულის ყველა შემადგენლობა სისხლის სამართლის კოდექსში არის გაწერილი. თვითონ ამ კანონის მეშვიდე მუხლის პირველი ნაწილში ხაზგასმით არის მითითებული, რომ დანაშაული არის ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. მაშასადამე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედი რედაქცია არც კი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ დანაშაულები სხვა კანონებშიც გაიწეროს. თუ რომელი მიდგომა არის უკეთესი, არ არის მოცემულ ეტაპზე ჩვენი განხილვის მთავარი საკითხი, შესაბამისად ამ თემას არ გავაღრმავებთ. თუმცა, იმის თქმა შეიძლება, რომ გერმანულ სისხლის სამართალში, ეკონომიკური დანაშაულების ცნება ბევრად უფრო ფართოა და პოტენციურად ყველა იმ შემადგენლობას მოიცავს სისხლის სამართლის კოდექსიდან და სპეციალური კანონებიდან, რომლებშიც ეკონომიკური ასპექტი ფიგურირებს.

მაშასადამე, ეკონომიკური სისხლის სამართლის ერთიან ცნებას გერმანული სისხლის სამართალი არ იცნობს, არც დოქტრინის და არც საკანონმდებლო დონეზე. დოქტრინაში ცნებები ერთმანეთისგან განსხვავდება იმისდა მიხედვით, თუ რა ჭრილში უდგებიან ამ საკითხს - კრიმინოლოგიურ, პროცესუალურ თუ მატერიალურ-დოგმატურში.³

2 დაწვრ. ამ ცნებასთან დაკავშირ., იხ. *Rutkowski*, in: *Buddendiek/Rutkowski*, *Lexikon des Nebenstrafrechts, Einführung in das Nebenstrafrecht*, 46. EL März 2023, Rn. 1.

3 დაწვრ. იხ. *Wittig*, *Wirtschaftsstrafrecht*, 6. Aufl., 2023, § 2 Rn. 5 ff.

ქართულ სისხლის სამართალში კი, შესაძლებელია ითქვას, რომ ეკონომიკური სისხლის სამართლისა და ეკონომიკური დანაშაულების ცნება ერთმნიშვნელოვნად არ არის გამიჯნული ერთმანეთისგან და იდენტურადაც კი ხდება მათი აღქმა. საბოლოო ჯამში, ეკონომიკური სისხლის სამართალი მაინც ორიენტირებულია ზემოთ ნახსენებ, სისხლის სამართლის კოდექსის მერვე კარში ჩადებულ დანაშაულებზე.

ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალს შორის განსხვავებები მარტივად ჩანს კონკრეტული დანაშაულების მაგალითზე. საჯარო ან კერძო სექტორში ჩადენილი კორუფციული შინაარსის დანაშაულები, გერმანულ სისხლის სამართალში ეკონომიკურ დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება, მიუხედავად იმისა, რომ დაცული სამართლებრივი სიკეთე, მაგალითად მოხელის მოსყიდვისას, საჯარო სექტორისადმი ნდობა და მისი ნორმალური ფუნქციონირებაა.⁴ ქართულ სისხლის სამართალშიც, სამართლებრივი სიკეთის თვალსაზრისით, მსგავსი მიდგომაა,⁵ მაგრამ ქრთამის მიცემა, ქრთამის აღება, და სხვა მსგავსი სამოხელეო დანაშაულები არ მიიჩნევა ეკონომიკურ დანაშაულებად. სამოხელეო დანაშაულები სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების კარშია მოქცეული. ხოლო კომერციული მოსყიდვა, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, მექრთამეობა კერძო სექტორში, მოქცეულია ეკონომიკური დანაშაულების კარში.

მიუხედავად ამ განსხვავებებისა ეკონომიკური დანაშაულების ცნებასთან დაკავშირებით, ორივე სამართლებრივ სისტემაში, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, ნაწილობრივ მაინც, მაგ. თაღლითობა, ეკონომიკური დანაშაულების რიცხვს მიეკუთვნება. იგივეს თქმართულია ქურდობასთან ან ყაჩაღობასთან მიმართებით. ეს ორივე დანაშაული, ქართულ სისხლის სამართალში უდავოდ ეკონომიკურ დანაშაულებად ითვლება, ხოლო გერმანულ სისხლის სამართალში განსხვავებული მიდგომა და თუ გადავხედავთ ეკონომიკური სისხლის სამართლის სხვადასხვა სახელმძღვანელოს ან კომენტარს, აღნიშნული შემადგენ-

4 *Fischer, Strafgesetzbuch*, 69. Aufl., 2022, § 331 Rn. 2.

5 *ლექციები/თოდუა*, წიგნი: *ლექციები/მამულაშვილი/თოდუა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 2, 2020, 390.

ლობები მათში არ არის განხილული.⁶

ნაშრომის მომდევნო თავს საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ცალკეული დანაშაულების, კერძოდ ქურდობისა და თაღლითობის მოკლედ შედარებით ანალიზს დავეთმობთ. მიუხედავად ეკონომიკური დანაშაულების დეფინიციისადმი სხვადასხვანაირი მიდგომისა, ორივე სამართლებრივ სისტემაში ისინი უდავოდ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებს მიეკუთვნება.

III. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ცალკეული დანაშაულები

1. ქურდობა

ჩვენი მიზანი, ქართულ-გერმანული სამართლის დიალოგის ფარგლებში არ არის დეტალურად დანაშაულის ყველა ელემენტის განხილვა, შესაბამისად, აქ შემოვიფარგლებით, ორივე სამართლებრივი სისტემიდან მხოლოდ იმ ცალკეული ელემენტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განხილვით, რაც საინტერესო იქნება შედარებითსამართლებრივ ჭრილში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მიხედვით, ქურდობა, ეს არის სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. დაცული სამართლებრივი სიკეთეა სხვისი საკუთრება. კერძოდ, ნორმაში დაკონკრეტებულია დანაშაულის საგანი მოძრავი ნივთის სახით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 149-ე მუხლის თანახმად, უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე. შესაბამისად, ყველა დანარჩენი ნივთი მოძრავად შეგვიძლია ჩავთვალოთ.⁷

მართალია, სისხლის სამართალი დანაშაულის ცალკეულ ელემენტებთან დაკავშირებით ორიენტირებულია სამოქალაქოსამართლებრივ

6 იხ. მაგ. *Wabnitz/Janovsky/Schmitt*, Handbuch Wirtschafts- und Steuerstrafrecht, 5. Aufl., 2020; *Wittig*, Wirtschaftsstrafrecht, 6. Aufl., 2023.

7 *თოთლაძე*, წიგნში: ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, 2018, მუხ. 148, აბზ. 3.

წესებზე, თუმცა, ეს ყოველთვის არ ნიშნავს ერთი ერთში სხვა დარგის სტანდარტების გაზიარებას. გარკვეულ შემთხვევებში, სისხლის სამართლის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია, ცალკეული სამართლებრივი მიდგომების კორექტურა და სისხლის სამართლის მიზნებიდან გამომდინარე განმარტება, რაც ნიშნავს იმას, რომ საწყისი განმარტებისთვის ვეყრდნობით სამოქალაქო სამართალს, მაგრამ კონკრეტულ პრობლემატურ შემთხვევებზე მსჯელობისას გადახვევებიც არ არის დაუშვებელი.⁸

მაგალითად, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები ითვლება უძრავ ნივთებად, თუმცა, ხეები მოჭრის შედეგად გადაქცევა მოძრავ ნივთებად, ანუ ქურდობის ობიექტად. მიწისგან მოშორების შედეგად ისინი მოძრავ ნივთებად იქცევიან.⁹ ანალოგიურად იგივეს თქმა შეიძლება უშუალოდ მიწასთან დაკავშირებითაც. მიწის მასის მოხსნა სხვისი ეზოდან და ფარულად გატანა უნდა დაკვალიფიცირდეს ქურდობად. შეიძლებოდა გვეფიქრა სსკ-ის 187-ე მუხლით კვალიფიკაციაზე სხვისი ნივთის დაზიანების გამო, მაგრამ ეს წინააღმდეგობაში მოვიდოდა სსკ-ის 177-ე და 187-ე მუხლების გამიჯვნასთან. როდესაც ხდება სხვის ნივთზე ახალი პატრონობის დაფუძნება და მერე მისი განკარგვა (მაგ. გატანილი მიწის ვინმესთვის მიყიდვა), ეს შეესაბამება ქურდობის კონსტრუქციას. ხოლო ნივთის დაზიანების ან განადგურების დროს ამსრულებელს საერთოდ არ სურს ვინმეს ქონებრივი ფონდისთვის სხვისი ქონების მიერთება. სხვანაირი მიდგომის შემთხვევაში წაიშლებოდა ზღვარი ამ ორ ნორმას შორის. მიუხედავად ამისა, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, სხვისი ეზოდან მიწის მასის მოხსნა და გატანა სხვისი ნივთის დაზიანებად შეაფასა.¹⁰

საინტერესოა ერთი-ერთი საქმეც,¹¹ რომელშიც დამნაშავემ მეორე პირი მოატყუა, რომ სხვის ეზოში მდგარი კაკლის ხეები მისი იყო, მოჭრა რამდენიმე ძირი და ამ დაინტერესებულ პირს მიყიდა. სამივე ინსტანციის სასამართლომ აღნიშნული ქმედება ქურდობად დააკვალიფიცირა, მათ

8 შვად. *Kretschmer*, in: Leipold/Tsambikakis/Zöller, Anwaltkommentar StGB, 3. Aufl., 2020, § 242, Rn. 4; *Wittig*, in: v. Heintschel-Heinegg, BeckOG StGB, 2023, § 242 Rn. 4.

9 *Schmitz*, in: Münchener Kommentar zum StGB, 4. Aufl., 2021, § 242, Rn. 45.

10 საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №983აპ.-22.

11 საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №220აპ.-23.

შორის დამამძიმებელი გარემოებით, მიყენებული ზიანის ოდენობიდან გამომდინარე.

გერმანული სასამართლო პრაქტიკიდან, მოკლედ შეგვხოთ კიოლნის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას,¹² რომელმაც სხვის საკუთრებად ჩათვალა სიმბოლურად ხიდზე დამაგრებული ე.წ. სასიყვარულო ბოქლომები, ვინაიდან, სასამართლოს მოსაზრებით, თავიანთი ქმედებით, შეყვარებული წყვილი უარს არ ამბობს თავის საკუთრებაზე ბოქლომთან მიმართებით. საუბარია პირის მიერ წაღებულ 53 ცალ, ხიდზე მიმაგრებულ ბოქლომზე, რომლის წონაც 15 კგ-ს შეადგენდა და რომლების ჩაბარებასაც ის ჯართში აპირებდა. სასამართლოს მსჯელობით, ბოქლომის ბედი მათი დამმაგრებლებისთვის სულ ერთი არ ყოფილა. პირიქით, როგორც მარადიული სიყვარულის სიმბოლო, მათ ეს ბოქლომი კონკრეტულ ადგილას განათავსეს და ეს ქმედება სულაც არ ნიშნავდა საკუთრებაზე უარის თქმას. ამაზე ისიც მიუთითებდა, რომ მოგვიანებით, ინფორმაციის პრესაში გავრცელების შემდეგ, რამდენიმე პირმა თავისი ბოქლომი იცნო და უკან დაბრუნებას მოითხოვდა. მართალია, ბოქლომების რეალური მფლობელი ქალაქი კიოლნი იყო, როგორც ხიდის მესაკუთრე, მაგრამ, საერთო სურათს ეს არ ცვლიდა. ყოველივე აქედან გამომდინარე, ეს ქმედება ქურდობად დაკვალიფიცირდა.

ქურდობის ობიექტურ შემადგენლობაში, მთავარი განმასხვავებელი ნიშანი, ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალს შორის, მდგომარეობს ჩადენის ხერხთან მიმართებით. რაოდენ წარმოდგენელიც არ უნდა იყოს ეს ქართული სისხლის სამართლის გადმოსახედიდან, გერმანიის სსკ-ის 242-ე პარაგრაფიდან გამომდინარე (ქურდობის შემადგენლობა), სულაც არ არის აუცილებელი, რომ ის ფარულად იქნას ჩადენილი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლში კი ეს წინაპირობა პირდაპირ არის განწერილი. სხვისი ნივთის აშკარად დაუფლების შემთხვევაში მივიღებთ, მაგ. ძარცვის შემადგენლობას (სსკ. მუხ. 178), ხოლო სხვისი მოძრავი ნივთის აშკარად დაუფლებას თუ თან ახლავს სიცოცხლისადმი ან ჯანმრთელობისადმი საშიში ძალადობა, ეს უკვე ყაჩაღობად გადაიქცევა (სსკ მუხ. 179). ქურდობის, ძარცვისა და ყაჩაღობის ასეთ

12 AG Köln, Beck RS 2012, 20013.

დაყოფას გერმანულ სისხლის სამართალში ვერ შევხვდებით.

განსხვავების უკეთ წარმოსაჩინად შეგვიძლია ავიღოთ გსსკ-ის 244-ე პარაგრაფი. მასში საუბარია იარაღით ან სხვა საშიში საშუალებით ჩადენილ ქურდობაზე და ეს ითვლება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად, ვინაიდან ამ დროს დამნაშავესგან პოტენციურად უფრო მეტი საფრთხე მომდინარეობს. ყოველ წუთს არსებობს ლატენტური საფრთხე, რომ მან ეს იარაღი გამოიყენოს.¹³ მაშასადამე, აღნიშნული ნორმა სულაც არ გულისხმობს სხვისი ნივთის დაუფლების დროს იარაღის გამოყენებას, ხელში დაჭერას, არამედ პასუხისმგებლობისთვის საკმარისია უბრალოდ მისი თან ქონა ისე ახლოს, რომ ნებისმიერ დროს, ამსრულებელს ქონდეს მასზე წვდომა მნიშვნელოვანი დაბრკოლების გარეშე.¹⁴ ასეთ საკანონმდებლო რეგულირებას კი მივყავართ უამრავ დისკუსიამდე გერმანულ დოქტრინასა და პრაქტიკაში სამსახურებრივად უფლებამოსილ პირებთან მიმართებით, კერძოდ, როდესაც მაგ. პოლიციელი, რომელსაც ისედაც თან აქვს იარაღი, ჩაიდენს ქურდობას და უნდა შეფასდეს თუ არა მისი ქმედება აღნიშნული დამამძიმებელი გარემოებით.

სასამართლო პრაქტიკა, მსგავს შემთხვევებს, მაინც დამამძიმებელ გარემოებად აკვალიფიცირებს, ვინაიდან ასეთი სტატუსის მქონე პირიც პოტენციურად ზუსტად ისეთივე საშიშია, როგორც სხვა ნებისმიერი პირი.¹⁵ თუმცა, ნაწილობრივ, დოქტრინაში არსებობს საპირისპირო მოსაზრებებიც, რომლებიც ნორმის ვიწრო განმარტებას ემხრობიან და მასში სამსახურებრივი სტატუსიდან გამომდინარე, იარაღის ტარებაზე უფლებამოსილ პირებს არ მოიაზრებენ.¹⁶

მსგავსი დისკუსიები ქართული სისხლის სამართლისთვის უცხოა, ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქურდობის ჩადენა, ნებისმიერ შემთხვევაში, ფარულად უნდა მოხდეს და ამ დროს ჯიბეში უდევს თუ არა იარაღი თავდამსხმელს, არარელევანტურია. კვალიფიკაცია მხოლოდ მაშინ შეიცვლება, თუ დავუშვათ, სხვისი ნივთის ფარულად დაუფლების პროცესში, პირს შეამჩნევენ და ამის შემდეგ, ის იარაღის გამოყენებით

13 BGHSt 52, 268.

14 *Rengier*, Strafrecht Besonderer Teil I, 25. Aufl., 2023, § 4 Rn. 43.

15 BGHSt 30, 44.

16 დაწვრ. იხ. *Fischer*, Strafgesetzbuch, 69. Aufl., 2022, § 244 Rn. 12.

დაემუქრება ნივთის მფლობელს და ამ ხერხით დაასრულებს მიმდინარე პროცესს. ქმედება ქურდობიდან გადაიზრდება ყაჩაღობაში და სსკ-ის 179-ე მუხლით დაკვალიფიცირდება.¹⁷

მოკლედ მივბრუნდეთ ისევ ფარულად დაუფლების საკითხს. ქართულ სისხლის სამართალში, ფარულობის შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ამსრულებლის სუბიექტურ აღქმას აქვს, ანუ, ის უნდა ფიქრობდეს, რომ სხვებისგან შეუმჩნეველად ეუფლება სხვის ნივთს.¹⁸ მაგალითად, თუ ის, თავისი აზრით, სხვას ჯიბიდან საფულეს ფარულად ამოაცლის და სინამდვილეში ამ ყველაფერს ხედავდა სხვა პირი, ქმედება მაინც ქურდობად, ანუ ფარულ დაუფლებად დაკვალიფიცირდება. ასეთი მიდგომის საფუძველი მდგომარეობს იმაში, რომ დამნაშავე ნაკლები კრიმინალური ენერჯის მატარებელი პირია. ის სხვისი საფულის დაუფლების პროცესში არ არის ამკარად ამის გაკეთების რისკზე წამსვლელი და ასე ვთქვათ, „ერიდება“ მართლწესრიგის. სწორედ აქედან გამომდინარე ხდება მისი ქმედების ქურდობად, ანუ უფრო მსუბუქად დასჯად დანაშაულად კვალიფიკაცია. ძარცვად კვალიფიკაციის შემთხვევაში ის უფრო მკაცრად დაისჯებოდა, რაც ზემოთ მოყვანილ მსჯელობასთან წინააღმდეგობაში მოვიდოდა.

ასევე, საინტერესოა და დისკუსიის საგანს წარმოადგენს საბანკო ბარათების გამოყენებით ჩადენილი სხვისი თანხის დაუფლება. ამის სტანდარტული შემთხვევაა პირის მიერ სხვისი ბარათის უნებართვოდ გამოყენება და ბანკომატიდან თანხის მოხსნა.

ერთი შეხედვით, მარტივად შეიძლება სხვისი ფულის ამ გზით დაუფლების ქურდობად კვალიფიკაცია, მაგრამ პრობლემას ის ქმნის, რომ ბანკომატის, ანუ რეალურად ბანკის და მის მიერ გამოყენებადი კომპიუტერული სისტემის მოტყუება ხდება, რის შედეგადაც გაიცემა ეს თანხა ნებაყოფლობით. ეს კი ქურდობის კონსტრუქციას არ შეესაბამება. მოტყუებით სხვისი ქონების დაუფლება თაღლითობაა. ბანკმა საკუთარი „ნებით“ გასცა ეს თანხა, ვინაიდან ბანკომატს ბარათის გამტარებელი პირი უფლე-

17 *ლეკვეიშვილი/თოდუა*, წიგნში: *ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 1, ნაწ. მეორე, 2023, 31.

18 *თოდუა*, წიგნში: *ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 1, ნაწ. მეორე, 2023, 32.

ბამოსილი პირი „ეკონა“. თუმცა, არც თაღლითობით კვალიფიკაცია არის მარტივი, ვინაიდან თაღლითობის დროს სხვა ადამიანის მოტყუება ხდება, მოცემულ შემთხვევაში კი მოხდა საბანკო სისტემის მოტყუება. კვალიფიკაციისას მსგავსი პრობლემის თავიდან ასარიდებლად გერმანულ სისხლის სამართალში ცალკე ნორმის სახით არსებობს კომპიუტერული თაღლითობის შემადგენლობა (სსკ § 263a), რომლის გამოსაყენებლადაც არ არის საჭირო მაინცდამაინც ადამიანის მოტყუება. იგივე პრობლემის წინაშე ვდგებით თუნდაც გაყალბებული საბანკო ბარათის გამოყენებისას.

გამოდის, რომ ქართულ სისხლის სამართალში ვერც 177-ე (ქურდობა) და ვერც 180-ე (თაღლითობა) მუხლებს გამოვიყენებთ. გამოსავალი შეიძლება დავინახოთ სსკ-ის 180-ე მუხლის ფართოდ განმარტებაში, ვინაიდან იქ ზოგადად მოტყუება არის ნახსენები და არა კონკრეტულად ადამიანის მოტყუება.

ქართულ სასამართლო პრაქტიკაში მსგავსი შემთხვევების კვალიფიკაცია მაინც ქურდობით ხდება, თუმცა, სამწუხაროდ შესაბამისი დასაბუთების გარეშე. ადრე, სსკ-ის 177-ე მუხლთან ერთად სსკ-ის 284-ე მუხლიც გამოიყენებოდა ერთობლიობით, ვინაიდან ბანკის კომპიუტერულ სისტემაში ხდებოდა შეღწევა.¹⁹ სისხლის სამართლის კოდექსში, დღეისათვის უფრო სპეციალური, 286¹ მუხლიც ნორმაც არსებობს - კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფა ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით. მაგრამ ამ მუხლების გამოყენებაც სადავოა, ვინაიდან მათში საუბარია „უნებართვო“ შეღწევაზე. საბანკო სისტემა კი იმ ადამიანს აძლევს ბანკომატის გამოყენების უფლებას, რომელსაც აქვს საბანკო ბარათი და შესაბამისი კოდი. კონკრეტულად თუ ვის ხელშია ეს ბარათი, ამას ბანკომატი არ და ვერ ამოწმებს. ანუ გამოდის, რომ თუნდაც უცხო პირი სხვისი ბარათის გამოყენებისას საბანკო სისტემაში მაინც ბანკის „უნებართვით“ შედის. ამ საკითხის დანახვა სხვა მხრიდანაც შეიძლება, მაგრამ მთავარი ის არის, რომ სასურველი იქნებოდა უფრო სიღრმისეულად ანალიზი პრაქტიკაში მსგავსი საკითხების კვალიფიკაციისას.

19 იხ. მაგ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებები №334აპ.-17 და №575აპ.-09.

2. თაღლითობა

ზოგადი გადმოსახედიდან, თაღლითობასთან მიმართებით მიდგომა, ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალში, ერთმანეთის მსგავსია. ორივე შემთხვევაში ამოსავალი წერტილია დაზარალებულის მოტყუება. თუმცა, რა თქმა უნდა, განსხვავებები გვხვდება ცალკეული შემადგენლობებისა და პრაქტიკის დონეზე.

ქურდობისგან განსხვავებით, თაღლითობა ისეთი დანაშაულია, რომლის დროსაც მსხვერპლი თავისივე შეცდომიდან გამომდინარე, საკუთარი ნებით გადასცემს დამნაშავეს ნივთს ან ქონებრივ უფლებას. ხშირ შემთხვევაში, ზიანის დადგომა უშუალოდ მსხვერპლის მხრიდან არარეალური მოლოდინებიდან და სიხარბიდან გამომდინარეობს, ვინაიდან მას სჭერა სხვისი დაპირების, რომ თუ მაგალითად, ჩადებს რაღაც სხვის ბიზნესში ინვესტიციას, უცებ დიდ თანხას მიიღებს მოგების სახით. ამიტომ, ჩნდება კითხვა, საერთოდ იმსახურებს თუ არა ასეთი მსხვერპლი სისხლისსამართლებრივ დაცვას?²⁰ მიუხედავად ამისა, არ იქნებოდა სწორი თუნდაც ხარბი მსხვერპლის სისხლისსამართლებრივად დაუცველად დატოვება და მისი საკუთრების მხოლოდ სამოქალაქოსამართლებრივი ანაზღაურების იმედად დატოვება. მსგავსი რეაგირება არ იქნებოდა საკმარისი მომავალი თაღლითობების პრევენციის თვალსაზრისით.²¹ გარდა ამისა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველა მსხვერპლი არ არის საკუთარი სიხარბის გამო დაზარალებული და სხვა პირი უბრალოდ მისი ნდობით სარგებლობს.

თაღლითობის საინტერესო მაგალითია ერთ-ერთი საქმე²² გერმანიის სასამართლო პრაქტიკიდან, რომლის არსიც მდგომარეობდა შემდეგში:

რამდენიმე ექიმმა, წინასწარი შეთანხმებით დაარწმუნა პაციენტები, რომ მათი ავადმყოფობა დედამიწის გამოსხივების ბრალი იყო და მათი განკურნება შესაძლებელი იყო დამცავი აპარატებით. ამის გამო მათ პა-

20 *Heinrich*, in: *Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf*, *Strafrecht Besonderer Teil*, 4. Aufl., 2021, § 20 Rn. 4.

21 *Heinrich*, in: *Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf*, *Strafrecht Besonderer Teil*, 4. Aufl., 2021, § 20 Rn. 4.

22 BGHSt 13, 233.

ციენტებს რამდენიმე სრულიად უსარგებლო აპარატი მიყიდეს, რომლის არაეფექტურობის შესახებ ექიმები ინფორმაციას ფლობდნენ.

ქართული სისხლის სამართლის გადმოსახედიდან ეს კაზუსი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილ თაღლითობად შეფასდება (მუხ. 180 ნაწ. 2, ქვეპ. ა, ნაწ. 3, ქვეპ. ა), ვინაიდან ექიმებმა ისარგებლეს პაციენტების ნდობით და მოტყუების გზით მიიღეს შემოსავალი. ამ დროს არ აქვს მნიშვნელობა, თუ რამდენად დაუჯერებელ ინფორმაციას იყენებენ ისინი ქმედების განხორციელებისას. სულ რომ არავის დაეჯერებინა იმ რამდენიმე პაციენტის გარდა ამ აპარატების ეფექტურობის შესახებ, ვინაიდან ობიექტური გადმოსახედიდან ეს აშკარად სისულელე იყო, ისინი და მათი საკუთრება მაინც დაცულები არიან სისხლისსამართლებრივად.

სამართლებრივი შეფასება იცვლება რადიკალურად, როდესაც თვითონ ექიმებსაც ექნებოდათ აღნიშნული აპარატების ეფექტურობის იმედი. მაშინ გამოდის, რომ მათ არ ამოძრავებდათ სხვების მოტყუების მიზანი. შესაბამისად, ისინი საერთოდ არ დაისჯებოდნენ.

თაღლითობის შემადგენლობას არ მოგვცემს ე.წ. გაბერილი ან თუნდაც იმწუთიერად შეცვლილი ფასები. მაგალითად, ავიაბილეთის ყიდვის დროს, სრულიად ნორმალური მოვლენაა, რომ ზუსტად ერთსა და იმავე რეისზე ბილეთები რადიკალურად განსხვავებულ ფასებში იყიდებოდა. ეს დამოკიდებულია იმ ალგორითმებზე, რომლებიც ონლაინ დაჯავშნის პროცესის დროს ბევრ ფაქტორს ითვალისწინებენ (მყიდველის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, მოთხოვნის ოდენობა საიტზე, სეზონი და ა. შ.). აქედან გამომდინარე, ავიაკომპანიას/მის წარმომადგენელს ვერ დაგდებთ ბრალს თაღლითობაში, თუ ერთმა მგზავრმა ბილეთში 1000 ლარი გადაიხადა და მეორეს კი 1500 ლარის გადახდა მოუწია. მსგავსი სხვაობა სრულიად მიღებულია ასეთ სპეციფიურ სფეროებში. იგივეს თქმა შეიძლება სასტუმროების ჯავშანზეც, რომლის ფასებიც სულ მერყეობს.

პერიოდულად საქართველოში აქტუალური ხდება კლუბებში თუ რესტორნებში უცხოელი ტურისტების მოტყუების ფაქტები, როდესაც ისინი სხვადასხვა ხერხით შეცდომაში შეყავთ და ასტრონომიულად გაზრდილი ფასების გადახდას თხოვენ, მაგალითად, სასმელებში, რისი მოლოდინიც სტუმარს საერთოდ არ ქონია. საუბარია ასეულობით ლარის გადახდაზე

ერთ სასმელში, რომელიც სინამდვილეში ბევრად ნაკლები ღირს. რა თქმა უნდა, ნებისმიერ დანესებულებას აქვს უფლება, დაადგინოს ფასები და თუ ეს წინასწარ ცნობილია მომხმარებლისთვის, მაშინ ეს რაც არ უნდა ძვირი იყოს, რესტორნის მეპატრონეს ვერ მოვთხოვთ პასუხს. კლიენტს უბრალოდ შეუძლია არ ისარგებლოს კონკრეტული რესტორნის სერვისით.

ამისგან განსხვავებით, პრობლემას ქმნის ე.წ. დამალული ფასები, როდესაც მომხმარებელი განზრახ შეცდომაში შეყავთ მენიუში დაბალი ფასის ჩვენებით და შემდეგ კი ბევრად მეტს ახდევინებენ. საავიაციო ან სასტუმროების სფეროსგან განსხვავებით, ასეთი იმნუთიერი ფასის ცვლილებები არ არის დამახასიათებელი სარესტორნო ბიზნესისთვის. ერთი ფასის ჩვენება, ამის საფუძველზე ვინმეს შეცდომაში შეყვანა, მომსახურების განწევა და მერე სრულიად განსხვავებული თანხის მოთხოვნა წინასწარ დაგეგმილი სცენარის მიხედვით, შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც თაღლითობა.

ერთ-ერთ საქმეში დადგინდა, რომ პირებმა ჩამოაყალიბეს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, რომელიც მოქმედებდა წინასწარ შემუშავებული სქემის შესაბამისად, კერძოდ: აღნიშნულ პირებთან შეთანხმებულ ე.წ. პრომო გოგონებს უცხოელი ტურისტები მიჰყავდათ ბარში, რა დროსაც კლიენტთან შეუთანხმებლად უკვეთავდნენ დიდი რაოდენობის ძვირადღირებულ სასმელს და საკვებს, რომელიც რეალურად არ მიჰქონდათ მომხმარებელთან. ასევე, ანგარიშსწორებისას სტუმარს მიწოდებულ მომსახურებასთან შეუსაბამო დიდი ოდენობით თანხას უანგარიშებდნენ და მის გადახდას აიძულებდნენ.²³

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი, 291-ე პარაგრაფის სახით (Wucher), შეიცავს საინტერესო შემადგენლობას, რომლის მიხედვითაც დასჯადია პირის ქმედება, როდესაც ის სარგებლობს მსხვერპლის გამოუცდლობით, გამოუვალი მდგომარეობით, ნების გამოხატვის ნაკლით და მის ექსპლუატაციას ახდენს, მაგალითად, ბინის არაპროპორციულად მაღალი ღირებულებით მიქირავებით. სასამართლო პრაქტიკაში ასეთად

23 <https://bm.ge/news/tbilisis-kafe-barebshi-turistebistvis-tanxis-tagliturad-gamodzalvis-faqtebi-gamovlinda---shss/91538> (ნანახია 8.8.2023).

მიიჩნევა სულ მცირე 50 პროცენტიანი ფასნამატი.²⁴ ნორმა მხოლოდ ფართის გაქირავებით არ შემოიფარგლება და სხვა სერვისებზეც ვრცელდება, მაგ. იქნება ეს სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა, კომეოპათიური მომსახურება თუ სხვა.²⁵

დანაშაულის მსგავს შემადგენლობას საქართველოს კანონმდებლობა საერთოდ არ იცნობს. ასეთის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა, გვეფიქრა ზემოთ ნახსენები კაზუსის (ფასების ხელოვნური გაზრდა რესტორანში ან ბარში) მისი მეშვეობით გადაწყვეტაზე. ახლა კი საკითხის გადაწყვეტა ხდება თაღლითობის ან გამოძალგის (როდესაც კლიენტს მუქარით აიძულებენ თანხის გადახდას) შემადგენლობების ფარგლებში.

IV. დასკვნა

მოკლედ რომ შევაჯამოთ ეს შედარებითი ანალიზი, კონკრეტულ დანაშაულებთან მიმართებით ვხედავთ, როგორც მნიშვნელოვან განსხვავებებს, ასევე მსგავსებებს ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალს შორის. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება მდგომარეობს ეკონომიკური დანაშაულების გაგებასთან დაკავშირებით. მეორე კი ქურდობის ფარულობასთან მიმართებით. რაც შეეხება თაღლითობას, ორივე სამართლებრივ სისტემაში ეს დანაშაული მოტყუების ელემენტს ეფუძნება, განსხვავებები კი ცალკეულ დეტალებსა და სასამართლო პრაქტიკაშია. იმედია, ეს მცირე ანალიზი ხელს შეუწყობას ქართულ-გერმანული სამართლის დიალოგის ფარგლებში დამატებით შედარებითსამართლებრივ იმპულსებს უკეთესი პრაქტიკის განსავითარებლად.

24 BGHSt 30, 281.

25 დანჯრ. ob. *Fischer*, Strafgesetzbuch, 69. Aufl., 2022, § 291 Rn. 7.

STRAFTATEN GEGEN DAS EIGENTUM IM GEORGISCHEN UND DEUTSCHEN STRAFRECHT – KURZE RECHTSVERGLEICHENDE ANALYSE VON EINZELNEN TATBESTANDSMERKMALEN

Prof. Dr. **Bachana Jishkariani**, University of Georgia

I. Einleitung

In der georgischen juristischen Literatur wurde bereits viel über die Gemeinsamkeiten zwischen dem georgischen und deutschen Strafrecht geschrieben, insbesondere im Hinblick auf den Allgemeinen Teil.¹ Daher bezweckt die vorliegende Abhandlung hierzu keine vergleichende Darstellung, sondern das Augenmerk soll diesmal auf den Besonderen Teil gerichtet werden, nämlich auf die Eigentums- bzw. Vermögensdelikte. Obwohl es in diesem kurzen Beitrag nicht möglich ist, alle wichtigen Fragen in beiden Rechtssystemen eingehend zu erörtern, stellt er doch einen weiteren Beitrag zu dem für die georgische Rechtswissenschaft noch relativ neuen Gebiet der rechtsvergleichenden Forschung dar, der durch eine vergleichende Analyse der Rechtslehre und Rechtsprechung die Entwicklung besserer Praktiken fördern soll. Genau darin besteht auch der Sinn des georgisch-deutschen Rechtsdialogs. Konkret wird es um zwei Delikte gehen, nämlich um Diebstahl und Betrug, um zwei sog. „klassische“ Delikte.

II. Unterschiedliche Herangehensweisen im georgischen und deutschen Strafrecht in Bezug auf Wirtschaftsdelikte

Das georgische Strafgesetzbuch enthält ein eigenes Kapitel (Kapitel 8) zu Wirtschaftsdelikten. Damit hat der Gesetzgeber zumindest begrifflich alle wirtschaftsbezogenen Straftaten in einem einzigen Kapitel geregelt. Dieses Kapitel ist in Abschnitte gegliedert. Dazu gehören die Eigentums- und Vermögensdelikte, die Straftaten gegen die unternehmerische Tätigkeit, die Finanzdelikte usw.

1 Siehe z.B. *Turava*, Strafrecht, Allgemeiner Teil, 9. Aufl., 2013, 55 ff.

Diese Vorgehensweise ist dem deutschen Strafgesetzbuch fremd. Es kennt eine solche Zusammenfassung von Wirtschaftsdelikten in einem Kapitel oder Abschnitt nicht. Dies ist unter anderem auf eine Besonderheit des deutschen Strafrechts zurückzuführen, das die Straftatbestände nicht ausschließlich und abschließend in einem einzigen Gesetz regelt, sondern außer im Kernstrafrecht (Strafgesetzbuch) auch in Spezialgesetzen (sog. Nebenstrafrecht).² Dies ist wiederum dem georgischen Strafrecht fremd, wo alle Straftatbestände in einem Gesetz – dem Strafgesetzbuch – abschließend definiert und geregelt sind. Darüber hinaus bestimmt Art. 7 Abs. 1 gStGB ausdrücklich, dass eine Straftat (nur) ein in diesem Gesetz vorgesehenes rechtswidriges und schuldhaftes Verhalten ist. Folglich sieht der geltende Wortlaut des georgischen Strafgesetzbuches keine Möglichkeit vor, Straftatbestände in anderen Gesetzen zu regeln. Es kann an dieser Stelle dahingestellt bleiben, welche Lösung oder Herangehensweise die bessere ist, da diese Frage hier nicht behandelt werden soll. Festzuhalten ist jedoch, dass der Begriff der Wirtschaftsdelikte im deutschen Strafrecht wesentlich weiter ist und potenziell alle Tatbestände des Kern- und des Nebenstrafrechts mit wirtschaftlichem (ökonomischem) Bezug umfasst. Daraus folgt, dass das deutsche Strafrecht weder in der Lehre noch in der Gesetzgebung einen einheitlichen Begriff des Wirtschaftsstrafrechts kennt. In der Lehre unterscheiden sich die Begriffe je nach Blickwinkel – kriminologisch, prozessual oder materiell-dogmatisch.³

In Bezug auf das georgische Strafrecht ist zu erwähnen, dass die Begriffe Wirtschaftsstrafrecht und Wirtschaftsdelikte nicht klar voneinander abgegrenzt sind und oft als identisch angesehen werden. Letztlich knüpft das Wirtschaftsstrafrecht jedoch an die oben dargestellten Straftatbestände an, die in Kapitel 8 des georgischen Strafgesetzbuches geregelt sind.

Die Unterschiede zwischen dem georgischen und dem deutschen Strafrecht lassen sich leichter anhand konkreter Beispiele aufzeigen und erkennen. So sind im deutschen Strafrecht Korruptionsdelikte, die im privaten oder öffentlichen Sektor begangen werden, den Wirtschaftsdelikten zuzuordnen, obwohl die geschützten Rechtsgüter beispielsweise bei der Bestechung eines Amtsträgers das Vertrauen

2 Ausführlich zu diesem Begriff *Rutkowski*, in: Buddendiek/Rutkowski, Lexikon des Nebenstrafrechts, Einführung in das Nebenstrafrecht, 46. EL März 2023, Rn. 1.

3 Ausführlich *Wittig*, Wirtschaftsstrafrecht, 6. Aufl., 2023, § 2 Rn. 5 ff.

in die öffentliche Verwaltung und deren Funktionsfähigkeit sind.⁴ Hinsichtlich der genannten Schutzgüter ist die Rechtslage im georgischen Strafrecht ähnlich.⁵ Allerdings gelten die Beamtenbestechung und ähnliche Amtsdelikte nicht als Wirtschaftsdelikte. Die Amtsdelikte sind im georgischen Strafgesetzbuch im Kapitel „Straftaten gegen den Staat“ geregelt, während die Bestechung im privaten Sektor zu den Wirtschaftsdelikten zählt.

Ungeachtet dieser Unterschiede im Begriff der Wirtschaftsdelikte sind Vermögensdelikte zumindest teilweise, wie z.B. der Betrug, in beiden Rechtsordnungen Wirtschaftsdelikte. Gleiches lässt sich kaum für Diebstahl oder Raub sagen. Diese beiden Delikte sind im georgischen Strafrecht unstrittig Wirtschaftsdelikte. Im deutschen Strafrecht und in den Lehrbüchern sowie Kommentaren zum Wirtschaftsstrafrecht werden diese Eigentumsdelikte nicht erwähnt.⁶

Die beiden folgenden Abschnitte sind zwei Delikten, dem Diebstahl und dem Betrug gewidmet. Während bei der Definition der Wirtschaftsdelikte unterschiedliche Ansätze bestehen, besteht bei Diebstahl und Betrug Einigkeit darüber, dass beide Delikte in beiden Rechtsordnungen zu den Eigentums- bzw. Vermögensdelikten gehören.

III. Einzelne Straftaten gegen das Eigentum bzw. Vermögen

1. Diebstahl

Das Ziel im Rahmen des georgisch-deutschen Rechtsdialogs ist es nicht, jedes einzelne Tatbestandsmerkmal ausführlich zu behandeln und zu analysieren. Vielmehr sollen diejenigen Tatbestandsmerkmale sowie einschlägige Gerichtsentscheidungen aus beiden Rechtsordnungen herausgegriffen werden, die für eine rechtsvergleichende Darstellung interessant erscheinen.

4 *Fischer*, Strafgesetzbuch, 71. Aufl., 2024, § 331 Rn. 2.

5 *Lekveishvili/Todua* in: *Lekveishvili/Mamulashvili/Todua*, Strafrecht, Besonderer Teil, 2. Band, 2020, 390.

6 Siehe z.B. *Wabnitz/Janovsky/Schmitt*, Handbuch Wirtschafts- und Steuerstrafrecht, 5. Aufl., 2020; *Wittig*, Wirtschaftsstrafrecht, 6. Aufl., 2023.

Nach Art. 177 gStGB ist Diebstahl die heimliche Wegnahme einer fremden beweglichen Sache in der Absicht, sich diese rechtswidrig zuzueignen. Schutzgut ist das fremde Eigentum, wobei die Definition der beweglichen Sache das Tatobjekt konkretisiert. Nach Art. 149 des Zivilgesetzbuches (ZGB) Georgiens, der den Begriff der unbeweglichen Sachen definiert, gehören zu den unbeweglichen Sachen: Grundstücke, auf Grundstücken befindliche Bodenschätze, auf dem Boden wachsende Pflanzen sowie Gebäude, die fest mit dem Boden verbunden sind. Dementsprechend können alle anderen Sachen als bewegliche Sachen angesehen werden.⁷

Auch wenn sich das Strafrecht bei einzelnen Tatbestandsmerkmalen an zivilrechtlichen Regelungen orientiert, bedeutet dies nicht, dass es in jedem Fall und vollständig den Normen und Vorgaben eines anderen (Rechts-)Gebietes folgt. Es kann durchaus vorkommen, dass aufgrund der Besonderheiten des Strafrechts eine Korrektur bzw. Anpassung einzelner rechtlicher Ansätze im Sinne der jeweils verfolgten Ziele stattfindet. Dies bedeutet, dass als Ausgangspunkt zivilrechtliche Ausführungen zugrunde gelegt werden, während bei der Behandlung konkreter rechtsgebietspezifischer Probleme Abweichungen möglich sind.⁸

So gelten z.B. Pflanzen, die auf dem Boden fest verankert sind, als unbeweglich, während Bäume nach dem Absägen zu beweglichen Sachen und damit zu Diebstahlsubjekten werden.⁹ Dasselbe gilt für den Boden bzw. die Erde. So ist das Abtragen von Erdschichten und deren heimliche Entfernung von einem fremden Grundstück als Diebstahl zu qualifizieren. Man könnte hier auch an einen Rückgriff auf Art. 187 gStGB (Beschädigung einer fremden Sache) denken, was aber die Abgrenzung von Art. 177 gStGB zu Art. 187 gStGB konterkarieren würde. Überall dort, wo es um die Wegnahme bzw. Begründung einer neuen Sachherrschaft und deren weitere Verfügung (z.B. Verkauf der weggenommenen Erdmasse an Dritte) geht, liegt eine dem Diebstahlsdelikt entsprechende Fallkonstruktion vor. Bei der Beschädigung oder Zerstörung einer Sache kommt es dem Täter nicht darauf an,

7 *Totladze*, in: Tchanturia, Kommentar zum Zivilgesetzbuch, Buch II, 2018, Art. 148, Abs. 3.

8 Vgl.: *Kretschmer*, in: Leipold/Tsambikakis/Zöller, Anwaltkommentar StGB, 3. Aufl., 2020, § 242, Rn. 4; *Wittig*, in: v. Heintschel-Heinegg, BeckOK StGB, 2023, § 242 Rn. 4.

9 *Schmitz*, in: Münchener Kommentar zum StGB, 4. Aufl., 2021, § 242, Rn. 45.

Vermögensvorteile durch Vermehrung fremden Vermögens, durch Hinzufügung fremder Vermögensvorteile zu erlangen. Bei anderer (unterschiedlicher) Handhabung wäre eine klare Abgrenzung zwischen den genannten Vorschriften nicht möglich. Dennoch hat der Oberste Gerichtshof Georgiens das Entfernen von Erdschichten und deren Abtransport von einem fremden Grundstück als Sachbeschädigung beurteilt.¹⁰

Interessant erscheint unter diesem Gesichtspunkt ein weiteres Verfahren,¹¹ in dem der Täter Nussbäume auf fremdem Grund und Boden gefällt und an einen Interessenten unter Vorspiegelung seines Eigentums verkauft hatte. Alle drei Gerichtsinstanzen qualifizierten diese Tat als Diebstahl, wegen der Höhe des zugefügten Vermögensschadens sogar als schweren.

Aus der deutschen Rechtsprechung möchte ich kurz auf ein Urteil des Amtsgerichts Köln eingehen, in dem das Gericht an einer Brücke angebrachte „Liebesschlösser“ als fremdes Eigentum angesehen hat.¹² Nach Auffassung des Gerichts konnte aus dem Verhalten eines Ehepaares geschlossen werden, dass dieses sein Eigentum an den Schlössern nicht aufgegeben hatte. Es handelte sich um 53 kleine, an der Brücke befestigte Schlösser mit einem Gesamtgewicht von fünfzehn Kilogramm, die der Täter entfernt und mitgenommen hatte, um sie als Sperrgut zu verkaufen. Das Gericht stellte fest, dass das Schicksal der Schlösser den Personen, die sie angebracht hatten, nicht gleichgültig war. Vielmehr hätten sie die Schlösser als Zeichen ihrer ewigen Liebe an dem konkreten Ort befestigt, was keineswegs als Eigentumsverzicht zu verstehen sei. Dafür spreche auch, dass einige von ihnen nach der Berichterstattung in der Presse ihre Schlösser wiedererkannt und zurückverlangt hätten. Auch wenn Eigentümer der Schlösser die Stadt Köln (als Eigentümer der Brücke) gewesen wäre, hätte dies nichts am Gesamtbild geändert. Daher wurde die Tat als Diebstahl eingestuft.

Der Hauptunterschied zwischen dem georgischen und dem deutschen Strafrecht beim Diebstahl liegt in der Begehungsweise. So überraschend dies aus Sicht des georgischen Strafrechts erscheinen mag: § 242 dStGB (Diebstahl) setzt keine heimliche Tatbegehung voraus. In Art. 177 gStGB wird es jedoch ausdrücklich

10 Beschluss des Obersten Gerichts Georgiens №983ap-22.

11 Beschluss des Obersten Gerichts Georgiens №220ap-23.

12 AG Köln, BeckRS 2012, 20013.

als notwendige Voraussetzung genannt und dient auch der Abgrenzung zum Raub. Würde man die Heimlichkeit weglassen, käme man mit dem Merkmal der offensichtlichen Wegnahme zum Tatbestand des Raubes (Art. 178 gStGB). Erfolgt die offensichtliche Wegnahme einer fremden beweglichen Sache zusätzlich unter Androhung von Gewalt, die das Leben oder die Gesundheit des Täters gefährdet, so ist der Tatbestand des räuberischen Diebstahls erfüllt (Art. 179 gStGB). Eine solche Differenzierung zwischen Diebstahl, Raub und räuberischem Diebstahl ist dem deutschen Strafrecht fremd.

Der bloße Hinweis darauf, dass „in letzter Zeit die Fälle von Tierquälerei zugenommen haben“, reicht allerdings nicht aus, um eine mögliche Zunahme solcher Straftaten zu belegen. Im Zeitalter der sozialen Medien und der modernen Technologien können aktive und breit angelegte Aufklärungskampagnen in der Gesellschaft und der Bevölkerung und die daraus resultierende wachsende Intoleranz gegenüber diesen Straftaten eine gute Grundlage für die Schaffung von privaten und öffentlichen Kontrollmechanismen sein, die ein gesetzgeberisches Eingreifen nicht notwendig erscheinen lassen.

Auf der anderen Seite ist die Aufklärungsquote von Straftaten nach Art. 259 gStGB relativ gering (Grafik 1). In einem solchen Fall ist eine Strafverschärfung ineffizient, da Verurteilungswahrscheinlichkeit und Straferwartung gering sind.

Wenn eine Strafverschärfung keine präventive Wirkung entfaltet, kann der soziale Schaden nicht verringert werden. Im Gegenteil, es ist sogar mit einer Zunahme zu rechnen. Wird das Strafmaß erhöht, aber bleibt die Aufklärungsrate (die Effizienz der Strafverfolgung) niedrig, erhalten wir einen suboptimalen Zustand. Das menschliche Verhalten wird sich nicht wesentlich ändern.

Unter diesen Umständen sind aus ökonomischer Sicht die sozialen Kosten höher als sonst. Wenn die Gesamtkriminalität nicht sinkt und die Strafen für die aufgeklärten Taten sowie die Freiheitsstrafen für die Verurteilten erhöht werden, muss der Staat noch mehr öffentliche Mittel aufwenden als vor der Erhöhung der Strafen. Sind diese Personen zudem arbeitsfähig und würden sich sonst an der Vermehrung der Gemeingüter beteiligen, so sind die gesellschaftlichen Kosten und Verluste wesentlich höher, da diese Personen durch die Strafe gerade daran gehindert werden.

b. Art. 287¹, 299 und 304¹ gStGB

Der oben beschriebene Ansatz spiegelt sich auch in den Änderungen der Umweltdelikte wider. Im April 2018 wurde das Kapitel 36 des georgischen Strafgesetzbuches wesentlich geändert. Die Änderungen betrafen Art. 299 gStGB, zudem wurden die neuen Art. 287¹ gStGB und 304¹ gStGB eingeführt. Hierdurch wurden bestehende Strafen verschärft und neue Strafen eingeführt:


- Einführung des Art. 287¹ gStGB, der das Aufstellen einer Säge- und/oder Wärmebehandlungsanlage (Maschine) und/oder eines Geräts in einem Sägewerk ohne Registrierung (zur Bearbeitung von Rundholz, Stammholz) zu einer Straftat erklärt. Zuvor war dieses Verhalten als Ordnungswidrigkeit ausgestaltet. Als Strafe ist eine Geldstrafe und/oder eine Freiheitsstrafe von ein bis zwei Jahren vorgesehen;
- Einführung von Art. 304¹ gStGB, der die strafrechtliche Verantwortlichkeit für den Transport von Rundholz (Stammholz), Baumpflanzen oder Brennholz unter wiederholtem Verstoß gegen das vorgeschriebene Verfahren vorsieht, d.h. ohne entsprechendes Dokument und/oder ohne Kennzeichnung mit einem besonderen Zeichen durch eine Person. Wenn der Täter wegen des gleichen Verstoßes bereits mit einer Ordnungsstrafe belegt

wurde, ist die Strafe Geldstrafe oder Freiheitsstrafe bis zu einem Jahr, im Wiederholungsfall Freiheitsstrafe von einem bis zu drei Jahren.

- Mit der Änderung des Art. 299 gStGB wurde der Strafraum für die unbefugte Ausbeutung von Bodenschätzen von Geldstrafe oder Freiheitsstrafe bis zu einem Jahr auf Geldstrafe oder Freiheitsstrafe von einem bis zu drei Jahren erhöht. Im Wiederholungsfall droht nun eine Freiheitsstrafe von drei bis fünf Jahren.

Die Verfasser des Änderungsentwurfs weisen darauf hin, dass das Gesetz auf eine Verschärfung der Verantwortlichkeit für Umweldelikte abzielt.⁷ Ziel der Novelle sei es, angemessene Strafen vorzusehen, die den Schutz des Staatseigentums, die nachhaltige Entwicklung der Umwelt, den Schutz von Rechtsvorschriften, die Achtung der allgemeinen Lebensbedingungen bzw. des Lebensraums sowie die Abschreckung vor künftigen Straftaten ermöglichen. Dies soll durch eine Verschärfung erreicht werden.

Grafik N 2: Umweldelikte, Art. 287 – 306 gStGB



Anmerkung* Erste Jahreshälfte 2023. Quelle: Innenministerium.

Die Autoren weisen darauf hin, dass das vorgeschlagene Strafmaß optimal und dem Präventionszweck angemessen sei. Solche Aussagen erfordern jedoch

7 Siehe <https://info.parliament.ge/#law-drafting/13913> (zuletzt aufgerufen am 01.03.2024).

zunächst eine ökonomische Analyse, die im Rahmen des Gesetzgebungsverfahrens nicht durchgeführt wurde. Jede Erhöhung des Strafrahmens kann die Kosten für potentielle Täter erhöhen, doch kann hier nur von einer Erhöhung der Schwellenwerte die Rede sein. Die ökonomische Analyse ist per se eine Grenzwertanalyse, die dem Gesetzgeber die Möglichkeit gibt, im Vorhinein abzuschätzen, welche Mittel zur Kriminalprävention effizienter sind. Das Fehlen einer Grenzwertanalyse bei der Politikgestaltung hat dazu geführt, dass andere Alternativen, wie die Verbesserung der Aufklärungsrate, nicht sichtbar waren. Solche Faktoren sind jedoch für den potenziellen Täter von erheblicher Bedeutung, um von einer Straftat Abstand zu nehmen, da die Wahrscheinlichkeit einer Verurteilung unter den Bedingungen einer höheren Entdeckungsrate steigt.


Bewertet man die oben genannten Veränderungen im Nachhinein (post factum), so zeigt sich, dass die Zahl der registrierten Umweltdelikte nach Inkrafttreten der neuen Regelungen tatsächlich zurückgegangen ist. Dieser Rückgang beginnt im ersten Jahr der Pandemie. In diesem Zusammenhang ist ein Aspekt zu berücksichtigen: Zum Zeitpunkt der Verschärfung der Strafrechtspolitik in Bezug auf diese Delikte war die Aufklärungsrate niedrig. Sie verbesserte sich bereits im ersten Jahr und stieg in den Folgejahren deutlich an. Demnach kann schon bei einer oberflächlichen Betrachtung festgestellt werden, dass die „Hauptursache“ für den Rückgang der registrierten Straftaten im Bereich der Umweltkriminalität in der Effizienzsteigerung der Tätigkeit der Ermittlungsbehörden sowie in einer deutlichen Erhöhung der Aufklärungsrate und nicht in der Verschärfung der Strafen zu sehen war.

V. Die Folgen der gegenwärtigen Politik

Die Erhöhung der Aufklärungsquote und des Strafmaßes schlägt sich in einer Erhöhung der Zahl der Verurteilten und – bei Freiheitsstrafen – der Zahl der Inhaftierten nieder. Dies bedeutet eine Erhöhung der Kosten für den Staat und eine Verringerung des Nutzens, da bei Freiheitsstrafen die Arbeitskraft reduziert wird. Die gegenwärtige strenge Strafrechtspolitik in Georgien spiegelt sich insbesondere in der Zahl der Verurteilten (einschließlich der Inhaftierten) wider.

Der Anstieg dieser Zahlen ist auf die oben analysierten Regelungen zurückzuführen. Nach einer großen Amnestiewelle im Jahr 2012 stieg die Zahl der Verurteilten wieder.⁸ Im Jahr 2022 belief sich die Zahl der Verurteilten auf 418 Personen pro 100.000 Einwohner. Die Zahl der wegen anderer Straftaten Verurteilten pro 100.000 Einwohner lag bei 269, während sie vor der Pandemie im Durchschnitt bei 280 Personen gelegen hatte, was den Daten der Jahre 2006 bis 2009 entspricht. Die Verteilung nach Art der Strafe zeigt, dass 21,9% Freiheitsstrafen, 51,9% Bewährungsstrafen waren und der Rest 26,2% ausmachte (Grafik N3).

Grafik N 3: Anzahl von Verurteilten, 1.000 Personen



Quelle: Statistikamt „Sakstati“. Anmerkung* Gruppe 2 umfasst Straftaten gegen das Leben und gegen das Eigentum, Verkehrsdelikte, Rowdytutum und Drogendelikte, Gruppe 1 – Verurteilte wegen aller anderen Delikte.


Was die Zahl der Inhaftierten betrifft, so hatte sich diese nach der Abschaffung des Kumulationsprinzips im Jahr 2013 halbiert.⁹ Dennoch ist sie in Georgien nach wie vor hoch. Im Jahr 2022 verbüßten 255 Verurteilte pro 100.000 Einwohner eine Freiheitsstrafe (Grafik N4). Unter den Mitgliedstaaten des Europarates steht Georgien an zweiter Stelle, was die Zahl der Inhaftierten betrifft. An erster Stelle steht die Türkei, an dritter und vierter Stelle stehen Aserbaidtschan und Ungarn – ein weiterer Beleg für eine repressive Strafrechtspolitik. Auch die Dauer der Inhaftie-

8 Georgisches Gesetz über Amnestie, Amtsblatt des Parlaments, 28/12/2012.

9 Änderungsgesetz zum Strafgesetzbuch Georgiens, Amtsblatt des Parlaments, 04/10/2013.

zung ist für eine repressive Politik bedeutsam. Diese beträgt in Europa 8,5 Monate und in Georgien 14 Monate.¹⁰

Grafik N 4: Anzahl von Häftlingen pro 100.000 Einwohner



Quelle: Das Nationale Statistikamt

Hinzu kommt, dass die Inhaftierten in Georgien relativ jung sind. Der Anteil der Gefangenen, die älter als 50 Jahre sind, liegt mit 16% unter dem europäischen Durchschnitt. Der Anteil der Gefangenen, die 65 Jahre und älter sind, liegt mit 2,0% sogar erheblich unter dem europäischen Durchschnitt. Diese Zahlen deuten erneut darauf hin, dass in den georgischen Haftanstalten deutlich mehr arbeitsfähige Personen inhaftiert sind, als dies im europäischen Durchschnitt der Fall ist. Dies ist zum Teil auch auf die strenge Strafrechtspolitik im Bereich der Drogendelikte zurückzuführen.

VI. Schlussbemerkungen

Eine repressive Strafrechtspolitik ist nicht nur auf der Mikroebene suboptimal, sondern hat auch auf der Makroebene negative Auswirkungen. Zum einen wer-

10 Aebi/Cocco/Molnar, Prisons and Prisoners in Europe 2022: Key Findings of the SPACE I Survey, 2022, https://wp.unil.ch/space/files/2023/06/230626_Key-Findings-SPACE-I_Prisons-and-Prisoners-in-Europe-2022.pdf (zuletzt aufgerufen am 12.12.2023).

den vor dem Hintergrund einer solchen Politik mehr staatliche Ressourcen für die Umsetzung einer angemessenen Strafverfolgung und Verurteilung benötigt, zum anderen werden immer weniger Menschen an der Produktion von Gütern beteiligt und die Arbeitsleistung sinkt. Hinzu kommt, dass durch den möglichen Qualifikationsabbau unter Haftbedingungen immer mehr Menschen (die aus der Haft entlassen werden) nicht über eine für den Arbeitsmarkt ausreichende Qualifikation verfügen.

In jedem Modell wirtschaftlichen Wachstums kommt dem Humankapital sowohl kurz- als auch langfristig eine große Bedeutung zu. Eine repressive Strafrechtspolitik kann daher nicht nur unter dem Gesichtspunkt der Gerechtigkeit und Fairness, sondern auch unter dem Aspekt des Gemeinwohls kritisiert werden.

Das Fehlen einer ökonomischen Analyse und insbesondere das Fehlen rechtsökonomischer Instrumente im Strafgesetzgebungsverfahren nimmt dem Gesetzgeber die Möglichkeit, eine effiziente Politik zu gestalten. Eine solche Analyse ist von erheblicher Bedeutung, da sie darauf abzielt, eine Alternative zu finden, mit der die legitimen strafrechtspolitischen Ziele zu den geringstmöglichen Kosten erreicht werden können.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის ეკონომიკური ასპექტები

პროფ. დოქტ. მარტინ შაულ ვასმერი, კიოლნის უნივერსიტეტი

I. შესავალი

სამართლის ეკონომიკური ასპექტები (Law and Economics) აშშ-ის სამართლის სკოლებში 1960-იანი წლებიდან არის ინტენსიური დაკვირვების და კვლევის საგანი. 1970-იანი წლებიდან მოყოლებული კი გერმანელი სამართალმცოდნეებიც აქტიურად მსჯელობენ აღნიშნულ თემატიკაზე.¹ ოლონდ, ამ შემთხვევაში ძირითადი ფოკუსი სამოქალაქო სამართლის ეკონომიკურ ანალიზზეა გაკეთებული.² სისხლის სამართლის ეკონომიკური ანალიზი კი, მიუხედავად გარკვეული აქტუალურობისა³, მაინც მეორეხარისხოვან ფაქტორად რჩება. აღნიშნული გაკვირვებას ინვეს, ვინაიდან ამერიკელმა ეკონომისტმა გარი ს. ბეკერმა (*Gary S. Becker*, 1930-2014) ჯერ კიდევ 1968 წელს დაუკავშირა დანაშაულს ეკონომიკურობის ასპექტი⁴, ხოლო 1992 წელს ეკონომიკური მეცნიერების დარგის ნობელის პრემია მიიღო, მათ შორის, დანაშაულის კვლევასთან დაკავშირებული ნაშრომების გამო. ზოგადად, უნდა ითქვას, რომ ეკონომიკური ანალიზის ფესვები საკმაოდ ძველია. ჯერ კიდევ 200-ზე მეტი წლის წინ, ფოიერბახ-

1 *Kirstein*, *Ökonomische Analyse des Rechts*, CSLE Discussion Paper No. 2003-6, 2 m.w.N.

2 *Schäfer/Ott*, *Lehrbuch der ökonomischen Analyse des Zivilrechts*, 6. Aufl. 2021.

3 ob. მხოლოდ *Werner*, *KritV* 1992, 433 ff.; *Wittig*, *Der rationale Verbrecher*, *Der ökonomische Ansatz zur Erklärung kriminellen Verhaltens*, 1993; *Curti*, *Abschreckung durch Strafe*, *Eine ökonomische Analyse der Kriminalität*, 1999; *Entorf*, *Ökonomische Theorie der Kriminalität*, in: *Ott/Schäfer*, *Die Präventivwirkung zivil- und strafrechtlicher Sanktionen*, 1999, S. 1 ff.; *Hey*, *Die ökonomische Analyse ausgewählter Wirtschaftsstraftaten im historischen Normenkontext*, 2001; *Follert*, *ZStW* 130 (2018), 430 ff.

4 *Becker*, *Crime and Punishment. An Economic Approach*, in: *Journal of Political Economy* 76 (1968), 169 ff.; nachfolgend *Posner*, *An Economic Theory of the Criminal Law*, *Columbia Law Review* 85 (1985), 1193 ff.; Fortentwicklung zu einem „Marktmodell“ durch *Ehrlich*, *Crime, Punishment, and the Market for Offenses*, *Journal of Economic Perspectives* 10 (1996), 43 ff.

მა (*J. P. A. v. Feuerbach, 1775-1833*) განიხილა⁵ ხარჯისა და სარგებლის ურთიერთმიმართება „სახელმწიფო და ფსიქოლოგიური იძულების“ დანაშაულის თეორიის ფარგლებში.⁶

ეკონომიკა სწავლობს ეკონომიკური აქტორების ქცევას. ის იკვლევს და გვთავაზობს პასუხებს კითხვაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს რესურსების ეფექტიანად გამოყენება იმგვარად, რომ მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს მოთხოვნილებები.⁷ აღნიშნული მსჯელობის ფარგლებში, განხილვის საგანია განსაკუთრებული გარემოებებისას მიღებული გადაწყვეტილებები (მაგალითად, როგორიცაა, რესურსების სიმცირე) და/ან კონკრეტული მიზნ(ებ)ის განსახორციელებლად მიღებული გადაწყვეტილებები.⁸ ამასთანავე, დაკვირვების საგანია როგორც ცალკეული ინდივიდები და საწარმოები (მიკრო ეკონომიკა), ასევე მთლიანი ეკონომიკური სექტორი (მაკრო ეკონომიკა).

სამართლის ეკონომიკური ანალიზი სამართლის ნორმების ეფექტიანობას აფასებს საკანონმდებლო ღონისძიებების ზეგავლენის კვლევით.⁹ ამ გზით, ის გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა იყოს მოწყობილი მართლწესრიგი კონკრეტული მიზნების მისაღწევად. ამრიგად, სისხლის სამართლის ეკონომიკური ანალიზის შედეგად შესაძლებელია გარკვეული დასკვნების გაკეთება, რათა დანაშაულის შესამცირებლად სისხლის სამართლის ეფექტურად გამოყენება მოხდეს.

II. დანაშაული მიკრო-ეკონომიკური პერსპექტივიდან

1. ძირითადი ეკონომიკური მოდელი

დანაშაულის ძირითადი ეკონომიკური მოდელი, რომელიც გვთავაზობს პასუხებს კითხვაზე, თუ რატომ ჩადიან ადამიანები დანაშაულს, მარტივია. მას საფუძვლად უდევს დაშვება/გარაუდი, რომ ადამიანები მოქმედებენ

5 *Feuerbach, Lehrbuch des gemeinen in Deutschland gültigen peinlichen Rechts*, 3. Aufl. 1805, §§ 8 ff.

6 *Werner, KritV* 1992, 433, 438 m.w.N.

7 *Hannemann/Dietlein/Nordmeyer, ZJS* 2013, 163, 166.

8 *Kirstein, Ökonomische Analyse des Rechts, Discussion Paper No. 2003-6*, 2 f.

9 *Hannemann/Dietlein/Nordmeyer, ZJS* 2013, 163; *Werner, KritV* 1992, 433, 434 f.

რაციონალურად, როცა ისინი განგრძობითად, სისტემატურად ბრუნავენ მათი მიზნების (საჭიროებების) სისტემაში სარგებლის გაზრდაზე. აქ დანაშაული მიიჩნევა ქცევის სხვადასხვა ალტერნატივებს შორის ერთ-ერთ რაციონალურ გადაწყვეტილებად, რომლითაც ადამიანს სურს თავისი სარგებელის გაზრდა. ამრიგად, ადამიანი დანაშაულს ჩადის, როდესაც მოსალოდნელია, რომ დანაშაულის გზით მიღებული სარგებელი აღემატება მისთვის გადებულ ხარჯს ($N(x) > K(x)$).¹⁰ დანაშაულისთვის გადებული „ხარჯი“ კი დაკავშირებულია დანაშაულის ჩადენისთვის მსჯავრდების ალბათობასთან (რომლის წინა ეტაპებიცაა დანაშაულის გამოვლენა, გამოძიება და გახსნა) და ასევე სასჯელის ოდენობასთან. ხოლო „სარგებელი“ არის ის ღირებულება, რაც მოიპოვება და რჩება დანაშაულის ჩადენის შედეგად (b), სასჯელის მოლოდინის (s) და მსჯავრდების ვარაუდის გამოვლენით (w). აღნიშნულის შედეგად შესაძლებელია სარგებლის ფორმულის შედგენა ($N(x) = b - w \cdot s$). ამრიგად, დანაშაულის ჩადენა ხდება მხოლოდ მაშინ, როცა მას მისი სარგებელი აღემატება ხარჯს ($b - w \cdot s > 0$). სწორედ ასე უნდა მოხდეს შედეგიანი სასჯელის გამომავც. შესაბამისად, აღნიშნული მოდელის თანახმად, რაც უფრო მძიმეა სასჯელი და მალაღობა მსჯავრდების ვარაუდი, მით უფრო ძლიერია პრევენციული ეფექტი და შესაბამისად, მით უფრო ნაკლებია დანაშაული.

2. მსჯავრდების ალბათობა და სასჯელის მოლოდინი

დანაშაული უშუალო კავშირშია მსჯავრდების ალბათობასთან და სასჯელის მოლოდინთან. ამასთანავე, მსჯავრდების ალბათობა გამომდინარეობს დანაშაულის გამოვლენის და მისი გამოძიების და გახსნის ალბათობიდან. აქ განმსაზღვრელია არა მხოლოდ დაზარალებულის მზაობა საჩივარზე ან სახელმწიფო ორგანოების ზედამხედველობის და კონტროლის ეფექტიანობა, არამედ ასევე დანაშაულის გამოძიების და გამოვლენის ის წნეხი, რომელიც მომდინარეობს პოლიციისგან და პროკურატურისგან. დანაშაულის გამოძიებისა და გახსნის მაღალი მაჩვენებლები ასევე ზრდის მსჯავრდების ალბათობას. ამრიგად, სახელმწიფოს

10 ob. მხოლოდ *Curti*, *Abschreckung durch Strafe*, 1999, 27 ff.; *Werner*, *KritV* 1992, 433, 436.

შეუძლია ეფექტური კონტროლისა და დანაშაულის ეფექტიანი გამოძიების გზით გააძლიეროს პრევენციის, დანაშაულის შემცირების ეფექტი. ხოლო, არაეფექტური კონტროლი და გამოძიება კი პირიქით, ამცირებს აღნიშნულ პრევენციულ ფაქტორს. ზემოთხსენებულისგან განსხვავებით, სასჯელის მოლოდინი გამომდინარეობს სასჯელის განმსაზღვრელი აბსტრაქტული ნორმისა და ინდივიდუალურად მოსალოდნელი სასჯელის ფორმისა და სახეობისგან. მაგალითად, აქ მხედველობაში მიიღება ისეთი ინდივიდუალური ფაქტორები, როგორიცაა, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე. მოსალოდნელი და სავარაუდოა, რომ დანაშაულის პირველად ჩადენის შემთხვევაში, სასამართლო სასჯელის დანიშნვისას უფრო მსუბუქი ფორმებისკენ გადაიხრება, როგორიცაა, მაგალითად, ფულადი ჯარიმა, რაც თავის მხრივ ასუსტებს პრევენციულ ეფექტს. თუმცა, ისეთ შემთხვევაში, როცა საქმე გვაქვს განმეორებით დანაშაულთან, რომლის შემთხვევაშიც სავარაუდოა სასჯელის დანიშვნა მაღალი ფულადი ჯარიმის ოდენობით ან თავისუფლების აღკვეთის სახით, პრევენციული ეფექტი, პირიქით ძლიერდება. მაშასადამე, სასჯელის სახესა და ზომასაც აქვს გავლენა დანაშაულის ჩადენაზე.

3. სხვა დამატებითი ფაქტორები

ზემოთ წარმოდგენილი ძირითადი ეკონომიკური მოდელი შესაძლებელია განვირცოვო სხვა ფაქტორების დამატებით. ჯერ კიდევ გარი ს. ბეკერი (*Gary S. Becker*) დაფიქრდა დანაშაულზე, როგორც შემოსავლის მიღების ერთ-ერთ ფორმაზე.¹¹ ამ დროს გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღება კანონიერი, ლეგალური შემოსავალი, რომლის მიღებაც შესაძლებელი იქნებოდა დანაშაულის ალტერნატიულად და ასევე მისი მოპოვებისთვის გაღებული რესურსი, როგორიცაა, მაგალითად, სამგზავრო ხარჯი, განწეული სამუშაო; დანაშაულის შემთხვევაში - მისი განხორციელებისთვის საჭირო საშუალებები და ა.შ. ეკონომიკაში ამას ე.წ. *მიუღებელი შემოსავლის ხარჯი* (opportunity costs) ეწოდება (e). რაც უფრო მაღალია კანონიერი გზით მისაღები შემოსავალი, მით უფრო ნაკლებად

11 *Becker, Crime and Punishment. An Economic Approach; in: Journal of Political Economy 76 (1968), 169, 177.*

„ღირს“ დანაშაულის ჩადენა. ამრიგად, აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით, დანაშაულის ჩადენა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საერთო სარგებელი აღემატება გაღებულ რესურსს ($b - w \cdot s - e > 0$). ასევე შესაძლოა იმ ფაქტორის გათვალისწინებაც, რომ პირი დანაშაულისკენ მიდრეკილი ხდება სარგებელის გარკვეული მაჩვენებლიდან (მღვრიდან) გამომდინარე. საინტერესოა ასევე რისკის შემცირების, ისევე, როგორც სოციალიზაციის ფაქტორების განხილვაც,¹² რაც გულისხმობს ქცევის სტანდარტის გათავისებას.¹³ სოციალიზაციის მაღალი ხარისხი დანაშაულის ჩადენის ნაკლებ რისკს ნიშნავს.

III. დანაშაული მაკრო-ეკონომიკური პერსპექტივიდან

ეკონომიკას ასევე შეუძლია დააკვირდეს დანაშაულს ზოგად-ეკონომიკური პერსპექტივიდან და გაგვცეს პასუხი კითხვაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს სახელმწიფო რესურსების ოპტიმალური განთავსება (ალოკაცია), რათა „ეფექტურად“ იყოს უზრუნველყოფილი შიდა უსაფრთხოება.

1. ეფექტურობის კრიტერიუმი

ეფექტურობა ხშირად განიმარტება იტალიელი ეკონომისტის, კეთილდღეობის ეკონომიკის ფუძემდებლის, ვილფრედო პარეტოს (*Vilfredo Pareto* 1848-1923) მიხედვით, რომლის თანახმადაც, მდგომარეობა/სიტუაცია „პარეტო-ოპტიმალურია“, თუ არ არის შესაძლებელი რე-ალოკაციის (ანუ სხვაგვარი გადანაწილება-განთავსების) გზით აქტორთა მდგომარეობის გაუმჯობესება, იმაგდროულად სხვა აქტორთა მდგომარეობის გაუარესების გარეშე.¹⁴ თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თეორიულად შესაძლებელია წარმოვიდგინოთ სიტუაცია, სადაც მიუხედავად „პარეტო-ოპტიმალური“

12 *Entorf*, *Ökonomische Theorie der Kriminalität*, in: Ott/Schäfer, *Die Präventivwirkung zivil- und strafrechtlicher Sanktionen*, 1999, 1, 14.

13 *Entorf*, *Ökonomische Theorie der Kriminalität*, in: Ott/Schäfer, *Die Präventivwirkung zivil- und strafrechtlicher Sanktionen*, 1999, 1, 17 f.

14 *Schäfer/Ott*, *Lehrbuch der ökonomischen Analyse des Zivilrechts*, 6. Aufl. 2021, 14.

მდგომარეობისა, საზოგადოებრივი სარგებელი იმატებს კომპენსაციების გაცემის გზით. ასეთ სიტუაციას ითვალისწინებს ე.წ. კალდორ-ჰიქს-კრიტერიუმი, რომელიც უკავშირდება ინგლისელი ეკონომისტების ნიკოლას კალდორის (*Nicholas Kaldor*, 1908–1986) და ჯონ რიჩარდ ჰიქსის (*John Richard Hicks*, 1904–1989) სახელებს. ამ კრიტერიუმის თანახმად, რესურსების განთავსება/გადანაწილება ეფექტურია, თუ ცვლილებით მოსარგებლებები მეტს იგებენ, ვიდრე კარგავენ ამ ცვლილებით დაზარალებული პირები და თუ მოსარგებლებები გამოხატავენ მზაობას დაზარალებულთა კომპენსირების თაობაზე.¹⁵

2. დანაშაულთან ბრძოლის ეფექტურობა

ანალიზის ამოსავალი წერტილია, ერთი მხრივ, ის მოსაზრება, რომ შიდა უსაფრთხოება დანაშაულის გამოძიების (პოლიცია, გამოძიება, პროკურატურა, სასამართლო) და სასჯელადსრულებების (სხვადასხვა სახის სასჯელადსრულების დაწესებულებები) სახით იწვევს შესაბამის საზოგადოებრივ ხარჯებს. ამასთანავე, ცხადია, რომ სახელმწიფო მის ხელთ არსებულ მთელ რესურსს ვერ მიმართავს შიდა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ვინაიდან მას ასევე სხვა საჯარო ვალდებულებებიც აქვს შესასრულებელი და ამდენად, უდიდესი ძალისხმევის შედეგადაც კი შეუძლებელია ყველა დანაშაულის თავიდან აცილება.

დანაშაული არის შეუქცევადი სოციალური ფენომენი, რომლის ნულოვან მაჩვენებლამდე დაყვანა ილუზიაა.¹⁶ გარდა ამისა, დანაშაულთან ბრძოლის საზოგადოებრივი სარგებელი მდგომარეობს იმაში, რომ დაიზოგოს ხარჯი პოტენციური დაზარალებულისა და ასევე საზოგადოებისთვის.¹⁷ მაგალითად, ბინის ქურდობის მსხვერპლი არა მხოლოდ კარის შეკეთების და სხვა სამუშაოებს განახორციელებს მომხდარი ქურდობის შემდეგ, არამედ ასევე იზრუნებს პრევენციაზე და დააყენებს სიგ-

15 *Kirstein/Schmidtchen*, *Ökonomische Analyse des Rechts*, Working Paper 2003, 11.

16 *Entorf*, *Ökonomische Theorie der Kriminalität*, in: *Ott/Schäfer*, *Die Präventivwirkung zivil- und strafrechtlicher Sanktionen*, 1999, 1, 11.

17 შუად. *Becker*, *Crime and Punishment. An Economic Approach*; in: *Journal of Political Economy* 76 (1968), 169, 170, 195.

ნალიზაციის სისტემას.¹⁸ გარდა ამისა, დაზარალებულს დანაშაულით მიყენებული ტრავმის შედეგად, შესაძლოა წარმოეშვას მკურნალობასთან და ჯანმრთელობის მდგომარეობით გამონვეულ შესაძლო განაცდურთან დაკავშირებული ხარჯი, რომელიც ტვირთად აწვება საზოგადოებას. საზოგადოების ხარჯის და მისი სარგებლის გათვალისწინება-გაანგარიშებით შესაძლებელია დანაშაულის „ოპტიმალური“ მაჩვენებლის განსაზღვრა. აღნიშნული მაჩვენებლიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ დამატებითი რესურსის მიმართვა შიდა უსაფრთხოებისკენ არაეფექტური იქნება, ვინაიდან დამატებითი დანაშაულის პრევენცია აღმატება მისგან გამომდინარე საზოგადოებრივ სარგებელს.¹⁹ გარდა ამისა, ეკონომიკური თვალსაზრისით, თავისთავად ცხადი გარემოებაა, რომ აუცილებელია ფულადი ჯარიმის უპირატესად განხილვა თავისუფლების აღკვეთის სასჯელთან მიმართებით, ვინაიდან ჯარიმა არათუ ტვირთად არ აწვება სახელმწიფო ბიუჯეტს, არამედ პირიქით, განტვირთავს კიდევ მას.²⁰

3. სახელმწიფოსა და კერძო სტრუქტურებს შორის სამუშაოს ეფექტიანი გადაწვევა

ეკონომიკური ანალიზი ასევე გვთავაზობს პასუხს კითხვაზე, თუ როგორ მიიღწევა როლების ოპტიმალური განაწილება სახელმწიფოსა და კერძო სტრუქტურებს შორის დანაშაულთან ბრძოლის მიზნებისათვის.²¹ კერძო სტრუქტურებს ან ცალკეულ პირებს სათანადო ღონისძიებების საშუალებით, როგორცაა ღირებულების, სეიფების, სიგნალიზაციის განთავსება, ასევე დაცვის სამსახურის გამოყენება, თავად შეუძლიათ თავიანთი ქონებრივი სიკეთეების დაცვა და ნაწილობრივ, დანაშაულის გამოძიებაც კი (მაგალითად, კერძო დეტექტივის დახმარებით). რაც შეეხება ამგვარი ღონისძიებებით წარმოშობილ ხარჯს, შესაძლებელია მისი და საზოგადოებრივი სარგებლის ურთიერთშეწონვა და შედარება.

18 Follert, ZStW 130 (2018), 420, 432.

19 Kirstein, Ökonomische Analyse des Rechts, Discussion Paper No. 2003-6, 15 f.

20 Entorf, Ökonomische Theorie der Kriminalität, in: Ott/Schäfer, Die Präventivwirkung zivil- und strafrechtlicher Sanktionen, 1999, 1, 4.

21 Kirstein, Ökonomische Analyse des Rechts, Discussion Paper No. 2003-6, 16.

IV. ეკონომიკური ანალიზის კრიტიკა

სამართლის ეკონომიკური ანალიზი, განსაკუთრებით გერმანიაში, უკვე დიდი ხანია, კრიტიკის საგანია.²² აღნიშნული მით უფრო ეხება სისხლის სამართლის ანალიზს.²³

1. *Homo oeconomicus*

პირველ რიგში, კრიტიკის საგანია დაშვება იმისა, რომ ნეოკლასიკური ეკონომიკის თეორია გამომდინარეობს ჰომო ეკონომიკუსის, ანუ, რაციონალურად მოაზროვნე და მოქმედი, ეკონისტური ადამიანის ქცევიდან.²⁴ რეალობაში კი ადამიანები მოქმედებენ სხვადასხვა მოტივით. ასეთი ადამიანის ფაქტორი არ მუშაობს ადამიანებთან, რომელთათვის უცხოა სარგებლის ცნება, რომლებიც მოქმედებენ ირაციონალურად ან რომლებზეც გავლენას არ ახდენს ეკონომიკური ფაქტორები და ეკონომიკური მიმზიდველობა. აღნიშნული არგუმენტაციის საწინააღმდეგოდ შეიძლება ითქვას, რომ ჰომო ეკონომიკუსის ფაქტორი არ არის გათვლილი ცალკეული შემთხვევების პროგნოზირებაზე, არამედ ის გათვლილია საზოგადოების „საშუალო, სტანდარტული წარმომადგენლის“ ქცევის პროგნოზირებაზე.²⁵ აგრეთვე, სრულიად უმნიშვნელოა, თუ რა ინდივიდუალური კრიტერიუმებით მოქმედებენ ცალკეული ჯგუფების წევრები, არამედ აქ განმსაზღვრელი და საინტერესოა „საშუალო მაჩვენებლები და მათი რეაქცია“. სწორედ აღნიშნულის დამსახურებით, ეს მოდელი განსაკუთრებულად გამოსადეგია კანონმდებლისთვის, რომელიც ქმნის აბსტრაქტულ რეგულირებებს, რათა შეამციროს და შეზღუდოს დანაშაული.

ამას ემატება, რომ ქცევის თანამედროვე ეკონომიკა და ასევე ნეიროეკონომიკა მუდმივად ამღიდრებს გადაწყვეტილების მიღების თეორიებს თავისი ღირებული დაკვირვებებით, რომელთა მეშვეობითაც დასტურდება ფაქტი, რომ რეალობაში, ადამიანები ვერც ალბათობებს განჭვრე-

22 იხ. მხოლოდ Fezer, JZ 1986, 817 ff., და ამის საპირისპიროდ Ott/Schäfer, JZ 1988, 213 ff.

23 შეად. Werner, KritV 1992, 433, 435 m.w.N.

24 Fezer, JZ 1986, 817, 822; Werner, KritV 1992, 433, 443 f.

25 Kirstein, Ökonomische Analyse des Rechts, Discussion Paper No. 2003-6, 6.

ტენ ბოლომდე და არც მხოლოდ პირადი მოგება და სარგებელი ამოძრაგებთ.²⁶ 1979 წელს ამერიკელმა ფსიქოლოგებმა დანიელ კანემანმა (*Daniel Kahneman* 1934) და ამოს ტვერსკიმ (*Amos Tversky* 1937-1996) შეიმუშავეს ახალი თეორია - ე.წ. მოლოდინების, პროგნოზის თეორია (*Prospect Theory*), რომელიც ყურადღებას ამახვილებს სარისკო სიტუაციებში გადაწყვეტილების მიღებაზე.²⁷ 2002 წელს კანემანმა ამისთვის ნობელის პრემიაც კი მიიღო.

2. მოდელი მორგებულია მხოლოდ ცალკეულ დანაშაულზე

ეკონომიკური ხარჯისა და სარგებლის მოდელის მიმართ ასევე გამოთქმულია კრიტიკა, რომ ის გამოსადეგია მხოლოდ ისეთი დანაშაულების მიმართ, სადაც მისი მონაწილეები ქონებრივი დანაშაულის მსგავსად, მოელიან ეკონომიკურ სარგებელს, რაც, პრინციპში, მართებულიცაა. თუმცა, აქ ყურადსაღებია, რომ ერთი მხრივ, არაქონებრივი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშიც შესაძლებელია გვექონდეს ეკონომიკური ფაქტორი. მაგალითად, ღირსების დაცვის მოტივით ჩადენილი დანაშაული შეიძლება კავშირში იყოს საკრედიტო ისტორიასთან და ასევე მკვლევლობაც, შესაძლოა ჩადენილი იყოს გამორჩენის, სიხარბის, გამდიდრების მოტივით. ხოლო, მეორე მხრივ, არაქონებრივი დანაშაული ასევე შეიძლება განხილულ იქნას მაკრო-ეკონომიკური თვალსაზრისითაც, ვინაიდან ასეთი დანაშაულიც წარმოშობს ხარჯებს, როგორც დამარალეულისთვის, ისე საზოგადოებისთვის და ეს ხარჯი სრულად ექვემდებარება ეკონომიკურ გაანალიზებას, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია მისი და საერთო-ეკონომიკური სარგებლის (რომელიც გამოიხატება ამგვარი დანაშაულის შემცირება-შემზუდვაში) ურთიერთშეწონვა.²⁸

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური მოდელი განსაკუთრებულად კარგად მუშაობს კომერციული ორგანიზაციების (კავშირების) მიერ ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებით, ვინაიდან ასეთ შემთხვე-

26 *Hannemann/Dietlein/Nordmeyer*, ZJS 2013, 163, 166 f.

27 *Kahneman/Tversky*, *Prospect Theory: An Analysis of Decision under Risk*, *Econometrica*, 47 (1979), 263 ff.

28 *Werner*, *KritV* 1992, 433, 439.

ვებში განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეკონომიკური გათვლებით მოქმედება. აღნიშნული შეუმჩნეველი არ დარჩენილა ევროკავშირის კანონმდებლისთვის; კომერციული ორგანიზაციების მიერ ჩადენილი არაერთი დანაშაულის შემთხვევაში, მაგალითად, როგორცაა, საბუღალტრო დანაშაული, ინსაიდერული ვაჭრობა, ბაზრის მანიპულაცია და ასევე მონაცემთა დაცვის დარღვევები, ევროკავშირის მასშტაბით, სანქციები და ანგარიშდება წლიური ბრუნვის მიხედვით,²⁹ რის შედეგადაც მათი ოდენობა ნამდვილად დრაკონულიც კი შეიძლება იყოს. ზემოთ განხილული ეკონომიკური თეორიის თანახმად კი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამგვარ სანქციებს აქვს დანაშაულის შემამცირებელი ძლიერი ეფექტი.

3. ფაქტორების განჭვრეტადობა

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ რთულია განმსაზღვრელი და არსებითი ფაქტორების განჭვრეტა და მათი ზუსტი გაანგარიშება.³⁰ ეს საჭიროებს „რთული ფორმულების გამოყენებას“.³¹ მაგალითად, მსჭავრედების ალბათობა ექვემდებარება მხოლოდ უხეშ გაანგარიშებას, ვინაიდან წინასწარ არ არის ცნობილი რამდენი დანაშაულის ჩადენა მოხდება რეალურად. მოსალოდნელი სასჯელი (იგივე სასჯელის მოლოდინი) კი დამოკიდებულია არა მხოლოდ ინდივიდუალურ, არამედ სხვა ისეთ ფაქტორებზეც, როგორცაა სასამართლო და მისი შემადგენლობა. იგივე ვრცელდება სხვა შესაძლო ფაქტორებზე, რომელთა სწორი იდენტიფიცირება და გაანგარიშება დაკავშირებულია სირთულეებთან და უზუსტობებთან.

4. სასჯელის მიზნები

არაერთხელ აღნიშნულა, რომ სამართლის ეკონომიკური ანალიზი სასჯელის მიზანს მხოლოდ ნეგატიურ გენერალურ პრევენციაში ხედავს.³² ამ

29 ინსაიდერულ ვაჭრობასთან და ბაზრის მანიპულაციებთან დაკავშირებით იხ. *Waßmer*, in: Fuchs (Hrsg.), *Wertpapierhandelsrecht*, 3. Auf. 2024, Vor §§ 119-126 WpHG Rn. 27.

30 *Hannemann/Dietlein/Nordmeyer*, ZJS 2013, 163, 168.

31 *Werner*, KritV 1992, 433, 438.

32 *Kirstein*, *Ökonomische Analyse des Rechts*, Discussion Paper No. 2003-6, 14.

მოსაზრებას უპირისპირდება ის გარემოება, რომ ეკონომიკური ანალიზი მორგებადი და თავსებადია სისხლის სამართლის ყველა თეორიასთან,³³ ვინაიდან მოსალოდნელი სასჯელი გამომდინარეობს სისხლის სამართლის რეგულაციებიდან. გერმანიის სისხლის სამართალი არის *შერეული თეორიის* მიმდევარი, რომლის მიხედვითაც სასჯელი ემსახურება როგორც რეპრესიას, ისე პრევენციას. ამრიგად, სასჯელი მიზნად ისახავს არა მხოლოდ საზოგადოების „დაშინებას“ (ნეგატიური გენერალური/ზოგადი პრევენცია) და მართლწესრიგის ეფექტური ფუნქციონირების მიმართ საზოგადოების ნდობის გამყარებას (პოზიტიური გენერალური/ზოგადი პრევენცია), არამედ ასევე საზოგადოების დაცვას დამნაშავესგან (ნეგატიური სპეციალური პრევენცია) და ასევე დამნაშავეს „დაშინებას“ (შეკავებას სამომავლო დანაშაულისგან) და მის რესოციალიზაციას (ნეგატიური სპეციალური პრევენცია). ხსენებული მიზნები ასახულია გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში. მაგალითისთვის, სისხლის სამართლის კოდექსის § 46-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, სასჯელის განსაზღვრის საფუძველია ბრალი, ხოლო იმავე ნორმის მეორე წინადადება დამატებით ადგენს, რომ სასჯელის განსაზღვრა-დადგენისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სასჯელის გავლენა მსჯავრდებულის სამომავლო ცხოვრებაზე. სისხლის სამართლის კოდექსის § 47-ის თანახმად, სასჯელის მიზანია ასევე მართლწესრიგის დაცვა. სისხლის სამართლის კოდექსის § 46-ის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასჯელის დადგენისას სავალდებულოა ამსრულებლისთვის სასარგებლო და მისი სანაწილმდეგო გარემოებების ურთიერთშეწონვა, რისთვისაც ნორმა კონკრეტულად მიუთითებს და ასახელებს რამდენიმე ყურადსაღებ გარემოებას. ასევე, სისხლის სამართლის კოდექსის მიღმა არსებული სისხლისსამართლებრივი ნორმები მიჰყვება სასჯელის მიზნებს, როცა ისინი გამომდინარეობს კონკრეტულ დანაშაულთან და ამსრულებელთან დაკავშირებული და მათი მახასიათებელი თავისებურებებიდან. სწორედ სასჯელის მიზნებიდან გამომდინარეობს განსაკუთრებულად მძიმე დანაშაულისთვის განსაზღვრული ასევე განსაკუთრებულად მძიმე სანქციები, ხოლო შესაბამისი პრივილეგიები - (განსაკუთრებულად) მსუბუქი დანაშაულის შემთხვევებში.

33 *Werner, KritV* 1992, 433, 441.

5. სასჯელის კონსტიტუციურსამართლებრივი ფარგლები

კრიტიკოსები ასევე აღნიშნავენ, რომ ეკონომიკური ფაქტორებით, როგორცაა, ეფექტიანობა და რაციონალურობა, დანახული სისხლის სამართალი არ იცნობს ზღვარს.³⁴ აღნიშნული კრიტიკა მიუთითებს კონსტიტუციურსამართლებრივი სტანდარტების გათვალისწინების მნიშვნელობაზე და ხაზს უსვამს, რომ სამართლის ეკონომიკური ანალიზისას სავალდებულოა ასევე მორალურ-ეთიკური ასპექტების გათვალისწინება. დანაშაულის სახეები და სასჯელის ფარგლები უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციურსამართლებრივ მოთხოვნებს. მაგალითად, გერმანიაში, ისევე, როგორც ბევრ სხვა სახელმწიფოში, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 ოქმის მიღებით გაუქმდა და აიკრძალა სიკვდილით დასჯა. ამას ემატება ისიც, რომ სასჯელი უნდა იყოს თანაზომიერი. დანაშაულის ეკონომიკური მოდელის ლოგიკისთვის ორგანულია და დამახასიათებელია მიდგომა, რომ დანაშაული, რომლის მიმართაც დაბალია მსჯავრდების ალბათობა, უნდა დაისაჯოს განსაკუთრებული სიმკაცრით, მაშინ, როცა ისეთი დანაშაულის შემთხვევაში, რომლის მიმართაც მაღალია მსჯავრდების ალბათობა, სასჯელი შესაძლებელია განსაკუთრებულად ლმობიერი იყოს. აღნიშნული შეუსაბამო იქნებოდა ზემოთ წარმოდგენილი მთელი სისტემისა და ცნობიერებისთვის, ვინაიდან სავალდებულოა, რომ სასჯელი შესაბამისობაში იყოს სამართლებრივი სიკეთეების დაცვასა და სასჯელის მიზნებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, მაგალითად, ქურდობისას, რომლის დროსაც მხოლოდ საკუთრების დაცვაა ამოსავალი წერტილი, სრულიად არასათანადო და არათანაზომიერი იქნებოდა ამსრულებლისთვის უვადო თავისუფლების აღკვეთის მისჯა. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ კრიმინოლოგიური ვკლევების თანახმად, მსჯავრდების მაღალ ალბათობას დანაშაულის შემცირების თვალსაზრისით, აქვს უფრო ძლიერი ეფექტი, ვიდრე მოსალოდნელ სასჯელს, რაც იმას ნიშნავს, რომ დანაშაულთან ბრძოლის ფარგლებში სწორედ პირველს უნდა მიენიჭოს ცენტრალური როლი.³⁵

34 *Werner, KritV* 1992, 433, 447 ff.

35 *Curti, Abschreckung durch Strafe*, 1999, 177.

6. დანაშაულობის „ოპტიმალური“ მაჩვენებელი

გარდა ზემოთხსენებულისა, საფუძვლიანი კრიტიკა იხმის ეკონომიკურად „ოპტიმალური“ დანაშაულობის მაჩვენებლის მიმართ, რომელიც ეფუძნება საზოგადოებისა და დანაშაულის პოტენციური მსხვერპლის გადმოსახედიდან დანაშაულის დევნით გამოწვეული საზოგადოებრივი ხარჯის შედარებას (შეწონვას) დანაშაულის პრევენციით წარმოშობილ სარგებელთან. აღნიშნული მოიაზრებს, რომ დანაშაული გარკვეულწილად დაშვებულია, ვინაიდან მისი კიდევ უფრო შემზღვევა-შემცირება ზედმეტად ხარჯიანი იქნებოდა.³⁶ გარდა იმისა, რომ რთულია არსებითი ფაქტორების დაანგარიშება და გათვლა (ასე მაგალითად, მზარდი დანაშაულის პირობებში იკლებს საზოგადოების მოთმინება დანაშაულის მიმართ), არსებობს დანაშაულები, მაგალითად კრიმინალური დაჯგუფებების ან ტერორისტული გაერთიანებების მიერ ჩადენილი დანაშაული, რომელთა თმენაც დაუშვებელია. ამრიგად, სახელმწიფოს მოქმედების მიზანი შესაძლებელია იყოს, არსებული რესურსებით ან მათი სხვაგვარი გადანაწილებით განსაკუთრებულად შეუტიოს კონკრეტულ დანაშაულს და ამ გზით აამაღლოს შიდა უსაფრთხოების „ეფექტიანობა“. გარდა ამისა, შეიძლება ასევე მიზანშეწონილი იყოს, გარკვეულ სფეროებში წვრილმანი დანაშაულის ძლიერი შემზღვევა (ე.წ. „ნულოვანი ტოლერანტობის სტრატეგია“).

7. ფუნქციების განაწილება სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის

და ბოლოს, სკეპტიკური მოსაზრებები გამოითქმის სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის ფუნქციების ეკონომიკურად „ეფექტიანი“ განაწილების თაობაზე. სახელმწიფო ვალდებულია, შიდა უსაფრთხოების დაცვის მიზნით შექმნას და უზრუნველყოს გამართული უსაფრთხოების სტრუქტურა, ვინაიდან დანაშაულთან ბრძოლა და მისი შემცირება სახელმწიფოს ამოცანაა. ამრიგად, დანაშაულისგან დაცვასთან დაკავშირებული ფუნქციების მომეტებული გადაკისრება კერძო სექტორისთვის არ შეიძლება იყოს მართებული.

36 *Entorf*, *Ökonomische Theorie der Kriminalität*, in: *Ott/Schäfer*, *Die Präventivwirkung zivil- und strafrechtlicher Sanktionen*, 1999, 1.

V. თანამდევნი ნაბიჯები

ყოველგვარი კრიტიკის მიუხედავად, დანაშაულის ეკონომიკური მოდელი გვადლევს სამართლებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას, ვინაიდან ის წარმოაჩენს დანაშაულის შემცირების, მისი შეზღუდვის შესაძლო ბერკეტებს. ამგვარად, მსჯავრდების ალბათობის და მოსალოდნელი სასჯელის მეშვეობით შესაძლებელი ხდება ამსრულებლისთვის დანაშაულის „ხარჯის“ გაზრდა.

კანონმდებელს შეუძლია განსაზღვროს, თუ სასჯელის რომელი სახითა და ზომით აპირებს დანაშაულზე რეაგირებას. ამასთანავე, სასჯელის სახეც და ზომაც პირდაპირ თანაფარდობაში უნდა იყოს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან. მოსალოდნელი სასჯელი ეფექტური იქნება დანაშაულის შესამცირებლად, თუ მის შედეგად დანაშაულებრივი ქმედების ხარჯი იმდენად გაიზრდება, რომ ასეთი ქმედება „მომგებიანი“ ვეღარ იქნება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ლოგიკურია, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ფულად ჯარიმას, ვინაიდან თავისუფლების აღკვეთა, უფრო ზუსტად კი, მისი აღსრულება სახელმწიფოსთვის ხარჯიანი სასჯელია.

აღმასრულებელ ხელისუფლებას შეუძლია მსჯავრდების ალბათობის მდგრადი გაზრდა, თუ ის სახელმწიფო რესურსებს მიმართავს შიდა უსაფრთხოების გასაძლიერებლად. მას შეუძლია იზრუნოს იმაზე, რომ საგამოძიებო ორგანოებმა გამოიძიონ და გახსნან რაც შეიძლება მეტი დანაშაული და უზრუნველყონ დამნაშავეების წარდგენა სასამართლოს წინაშე.

მართლმსაჯულებას კი, ამსრულებლების მსჯავრდების გზით, ხელეწიფება გავლენის მოხდენა დანაშაულის ჩადენის „ხარჯზე“, რითაც მსჯავრდებას ექნება გამაფრთხილებელი ეფექტი.³⁷

გარდა ზემოთხსენებულისა, შესაძლებელია ზომების მიღება მიუღებელი შემოსავლის ხარჯის (opportunity costs) ამალღების მიზნით. მაგალითად, შესაძლებელია კანონიერი/ლეგალური შემოსავლის გაზრდა. ასევე მიზანშეწონილია ფიქრი და მუშაობა განათლების სექტორში ინვესტიციების გაზრდაზე, რაც პირდაპირ კავშირშია შემოსავლის წყაროების

37 Curti, Abschreckung durch Strafe, 1999, 178.

სა და შესაძლებლობების ზრდასთან.³⁸ ასევე, აუცილებელია მუშაობის გაძლიერება უმუშევრობის დაძლევისა და კვალიფიკაციის შეცვლის, მისი ამალღების შესაძლებლობების გაზრდაზე.³⁹ გარდა ამისა, შესაძლებელია მიზანმიმართული მუშაობა სოციალიზაციის გაძლიერებაზე, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებისთვის მორალური ზღვრების აწევას. საბავშვო ბალებს, სკოლებსა და ოჯახებს (მშობლებს) შეუძლიათ ბავშვებსა და მოზარდებს გაუზიარონ და განუმტკიცონ ღირებულებები, რომლებიც მიმართულია თანადგომასა და ურთიერთმხარდაჭერაზე.⁴⁰

და ბოლოს, დანაშაულთან ბრძოლაში დახმარება ასევე შეუძლიათ ცალკეულ ადამიანებს, ოჯახებსა და სანარმოებს დანაშაულის პრევენციისა და გამოძიებისთვის სხვადასხვა გზებისა და რესურსის (მათ შორის, ადამიანურის) გამოყენების გზით.

VI. შეჯამება და დასკვნა

სისხლის სამართლის ეკონომიკური ანალიზი ეყრდნობა იმ ჰიპოთეზას, რომ დანაშაულის ჩადენა ხდება მაშინ, როცა მისი სარგებელი აღემატება ხარჯს. ხარჯის განსაზღვრისთვის არსებითია მსჯავრდების ალბათობა და მოსალოდნელი სასჯელი. აღნიშნული ეკონომიკური მოდელის გავრცობა შესაძლებელია სხვა დამატებითი ფაქტორების გათვალისწინებითაც, თუმცა, ამ მხრივ (ვინაიდან მოდელი ეფუძნება „ჰომო ეკონომიკუსის“ ქცევას), გამონწვევა ისეთი შემთხვევები, სადაც სუბიექტებზე ზეგავლენას არ ახდენს ეკონომიკური ფაქტორები. ამას ემატება, რომ საკმაოდ რთულია განმსაზღვრელი და არსებითი ფაქტორების სრულად განჭვრეტა და მათი ზუსტი გაანგარიშება. კონსტიტუციურსამართლებრივი თვალსაზრისით, თანაზომიერი უნდა იყოს არა მხოლოდ მოსალოდნელი სანქცია, არამედ დანიშნული სასჯელიც. სამართლებრივ-პოლიტიკური გადმოსახედიდან გამართლებულია დანაშაულის გარკვეული ფორმების მაქსიმალურად

38 *Kirstein*, *Ökonomische Analyse des Rechts*, Discussion Paper No. 2003-6, 15.

39 *Curti*, *Abschreckung durch Strafe*, 1999, 178.

40 *Curti*, *Abschreckung durch Strafe*, 1999, 179 f.

შემცირება სახელმწიფო რესურსის გამოყენების გზით, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შეუძლებელია ამ გზით დანაშაულის „ოპტიმალური“ მაჩვენებლის მიღწევა.

ეკონომიკური მოდელიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელმწიფოს ხელუწიფება დანაშაულის შეზღუდვა დამნაშავისთვის დანაშაულის ჩადენის ხარჯის გაზრდის გზით. კანონმდებელმა კი იმგვარად უნდა განსაზღვროს მოსალოდნელი სასჯელის სახე და ზომა, რომ მას ჰქონდეს შემაკავებელი (დანაშაულის შემამცირებელი) ეფექტი, რაც იმავდროულად თანხვედრაში იქნება სასჯელის მიზნების განხორციელებასა და სამართლებრივი სიკეთეების დაცვასთან. ხოლო, აღმასრულებელი ხელისუფლების ვალდებულებაა, სათანადოდ აღჭურვოს მართლმსაჯულება და საგამოძიებო უწყებები, რათა გაზარდოს მსჯავრდების ალბათობა. და ბოლოს, მართლმსაჯულება ვალდებულია, სათანადო განაჩენი გამოიტანოს დამნაშავის მიმართ.

ÖKONOMISCHE ASPEKTE DER STRAFGESETZGEBUNG

Prof. Dr. Dr. h.c. **Martin Paul Waßmer**, Universität zu Köln

I. Einführung

Die ökonomische Analyse des Rechts (Law and Economics) wird in den USA seit den 1960er Jahren betrieben und an den US-amerikanischen Law Schools intensiv erforscht. Auch in Deutschland befassen sich die Rechtswissenschaften seit den 1970er Jahren mit dieser Thematik.¹ Hier steht die ökonomische Analyse des Zivilrechts im Mittelpunkt.² Die ökonomische Analyse des Strafrechts spielt – obwohl immer wieder erörtert³ – nur eine Nebenrolle. Dies überrascht, da der US-amerikanische Ökonom *Gary S. Becker* (1930–2014) bereits 1968 das moderne Instrumentarium der Ökonomie auf die Kriminalität angewandt hatte⁴ und 1992 u.a. für seine Werke zur Kriminalität den Alfred-Nobel-Gedächtnispreis für Wirtschaftswissenschaften erhielt. Im Übrigen reichen die Wurzeln der ökonomischen Analyse des Strafrechts weit zurück. Kosten-Nutzen-Erwägungen spielten bereits für die Straftheorie des „psychologischen Zwangs im Staate“, die *J. P. A. v. Feuerbach* (1775–1833) vor über 200 Jahren entwarf,⁵ eine Rolle.⁶

Die Ökonomie untersucht das Verhalten von Wirtschaftsakteuren. Sie gestat-

1 *Kirstein*, Ökonomische Analyse des Rechts, CSLE Discussion Paper No. 2003-6, S. 2 m.w.N.

2 *Schäfer/Ott*, Lehrbuch der ökonomischen Analyse des Zivilrechts, 6. Aufl. 2021.

3 Siehe nur *Werner*, KritV 1992, 433ff.; *Wittig*, Der rationale Verbrecher, Der ökonomische Ansatz zur Erklärung kriminellen Verhaltens, 1993; *Curti*, Abschreckung durch Strafe, Eine ökonomische Analyse der Kriminalität, 1999; *Entorf*, Ökonomische Theorie der Kriminalität, in: *Ott/Schäfer*, Die Präventivwirkung zivil- und strafrechtlicher Sanktionen, 1999, 1 ff.; *Hey*, Die ökonomische Analyse ausgewählter Wirtschaftsstraftaten im historischen Normenkontext, 2001; *Follert*, ZStW 130 (2018), 430 ff.

4 *Becker*, Journal of Political Economy 76 (1968), 169 ff.; nachfolgend *Posner*, Columbia Law Review 85 (1985), 1193 ff.; Fortentwicklung zu einem „Marktmodell“ durch *Ehrlich*, Journal of Economic Perspectives 10 (1996), 43 ff.

5 *Feuerbach*, Lehrbuch des gemeinen in Deutschland gültigen peinlichen Rechts, 3. Aufl. 1805, §§ 8 ff.

6 *Werner*, KritV 1992, 433, 438 m.w.N.

tet Antworten auf die Frage, wie Ressourcen effizient genutzt werden können, um einen möglichst hohen Grad der Bedürfnisbefriedigung zu erreichen.⁷ Hierzu werden Entscheidungen analysiert, die unter bestimmten Bedingungen (Knappheitsrestriktionen) getroffen werden und/oder bestimmte Ziele (effizient) erreichen sollen.⁸ Betrachtet werden können sowohl Individuen und Unternehmen (Mikroökonomie) als auch die Gesamtwirtschaft (Makroökonomie).

Die ökonomische Analyse des Rechts bewertet vorwiegend die Effizienz von Rechtsnormen, indem sie die Auswirkungen von gesetzgeberischen Maßnahmen untersucht.⁹ Damit kann sie aufzeigen, wie die Rechtsordnung ausgestaltet werden sollte, um bestimmte Ziele zu erreichen. Die ökonomische Analyse des Strafrechts kann somit Anhaltspunkte dafür geben, wie das Strafrecht ausgestalten ist, um Kriminalität effizient einzudämmen.

II. Kriminalität aus mikroökonomischer Perspektive

1. Ökonomisches Grundmodell

Das ökonomische Grundmodell der Kriminalität, das darauf eine Antwort gibt, warum Akteure Straftaten begehen, ist einfach. Es beruht auf der Grundannahme, dass Akteure *rational agieren*, indem sie fortwährend gemäß ihrem individuellen Zielsystem ihren Nutzen maximieren. Eine Straftat wird als rationale Entscheidung zwischen mehreren Verhaltensalternativen begriffen, mit der ein Akteur seinen Nutzen mehren will. Die Begehung einer Straftat erfolgt, wenn zu erwarten ist, dass der Nutzen der Tatbegehung deren Kosten übersteigt ($N(x) > K(x)$).¹⁰ Die „Kosten“ einer Straftat resultieren im Kern aus der Wahrscheinlichkeit der Verurteilung (welche die vorangegangene Entdeckung und Aufklärung der Tat erfordert) und der Höhe der Strafe. Der „Nutzen“ entspricht dem Wert, der aus der Straftatbegehung resultiert (b), abzüglich des Produkts aus Straferwartung (s) und Verurteilungswahrscheinlichkeit (w). Damit lässt sich eine Nutzenfunktion formulieren ($N(x) = b - w \cdot s$). Eine Straftat wird nur dann begangen, wenn sie einen positiven

7 *Hannemann/Dietlein/Nordmeyer*, ZJS 2013, 163, 166.

8 *Kirstein*, Ökonomische Analyse des Rechts, Discussion Paper No. 2003-6, S. 2 f.

9 *Hannemann/Dietlein/Nordmeyer*, ZJS 2013, 163; *Werner*, KritV 1992, 433, 434 f.

10 Siehe nur *Curti*, Abschreckung durch Strafe, 1999, S. 27 ff.; *Werner*, KritV 1992, 433, 436.

Nutzen hat ($b - w \cdot s > 0$). Eine wirksame Strafe muss folglich so bemessen sein, dass die Kosten der Tatbegehung deren Nutzen übersteigen. Je höher die Strafe und je höher die Verurteilungswahrscheinlichkeit, desto höher fällt der kriminalitätsdämpfende Effekt aus und desto weniger Straftaten werden begangen.

2. Verurteilungswahrscheinlichkeit und Straferwartung

Kriminalität ist unmittelbar von der Verurteilungswahrscheinlichkeit und Straferwartung abhängig. Hierbei resultiert die *Verurteilungswahrscheinlichkeit* aus der Entdeckungs- und Aufklärungswahrscheinlichkeit. Maßgebend ist hierfür nicht nur die Anzeigebereitschaft von Geschädigten bzw. die Effizienz der Kontrolle durch die Behörden, sondern auch der Verfolgungsdruck, den Polizei und Staatsanwaltschaft ausüben. Eine hohe Aufklärungsquote erhöht die Verurteilungswahrscheinlichkeit. Der Staat kann also durch eine effiziente Kontrolle und Aufklärung von Straftaten den Dämpfungseffekt erhöhen, während eine ineffiziente Kontrolle und Strafverfolgung den Effekt mindern. Dagegen resultiert die *Straferwartung* aus der abstrakten Strafandrohung einer Strafvorschrift und der individuell erwarteten Art und Höhe der Strafe. So spielt es etwa eine Rolle, dass die Gerichte bei Ersttätern zu einer Geldstrafe tendieren, womit der Dämpfungseffekt geringer ausfällt. Umgekehrt ist der Effekt stärker, wenn für die wiederholte Tatbegehung eine höhere Geld- oder gar Freiheitsstrafe droht. Demnach hat auch die Strafzumessung Einfluss auf die Begehung von Straftaten.

3. Weitere Faktoren

Dieses ökonomische Grundmodell kann durch die Einbeziehung weiterer Faktoren erweitert werden. Bereits *Gary S. Becker* begriff die Begehung einer Straftat als eine Form der Erzielung von Einkommen.¹¹ Berücksichtigt werden können demnach das legale Einkommen, das während des Tatzeitraums alternativ erzielt werden könnte, und der zu betreibende Aufwand, wie die Fahrtkosten und die Arbeits- bzw. Tatmittel. Ökonomisch sind dies sog. *Opportunitätskosten* (e). Je höher das erzielbare legale (Netto-)Einkommen ist, desto weniger „lohnt“ sich

11 *Becker*, Journal of Political Economy 76 (1968), 169, 177.

